

## გლეხსაზღვრა ჩხვიძე



## სამხედრო სკოლა

ალექსანდრე ჩხეიძე

# სამხედრო სკოლა

თბილისი

2018

UDC (უაკ) 37.035+355.231/232+355(479.22)(09)

ჩ-971

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს  
სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან  
ურთიერთობის დეპარტამენტი



რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
**არჩილ ჩაჩხიანი**

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო  
ისტორიის დოქტორმა **ლელა სარალიძემ**

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხონბალაძე**  
ტექნიკური ჯგუფის უფროსი: ვიცე-პოლკოვნიკი **დავით ჩოგოვაძე**  
დიზაინერი: **ვახტანგ ონიანი**  
დამკაბადონებელი: **მარიამ ჭონიშვილი**

წიგნი მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში დაცულ  
მასალებზე დაყრდნობით

© საავტორო უფლებები დაცულია. Copyrights reserved.

ISBN 978-9941-8-0065-8

თბილისი  
2018



*ედღვნება საქართველოს  
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის  
აღდგენის მე-100 წლისთავს*



# ს ა რ ჩ ე ვ ი

სარჩევი	5
წინასიტყვაობა	7
სამხედრო სკოლა	21
სქემები	120
ბიბლიოგრაფია	123



## წინასიტყვაობა

გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა. მის მიერ აღზრდილმა ქართველმა იუნკრებმა საბრძოლო ნათლობა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ომში მიიღეს, როდესაც 16 მაისს ქართული სამხედრო სკოლა სადახლოს ფრონტზე გაემგზავრა. პირველი საბრძოლო დანაკარგები კი, საიუნკრებმა 1920 წლის 2 მაისის ღამეს, სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკთა თავდასხმის მოგერიების დროს განიცადეს.

ნამდვილი მხედრული სიმამაცისა და გმირობის მაგალითები იუნკრებმა უკვე 1921 წლის რუსეთ-საქართველოს თემერვალ-მარტის ომის მსვლელობისას, კოჯორი-ტაბახმელის ფრონტზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს აჩვენეს. ისინი, ძირითადად, ტაბახმელას პოზიციებზე იბრძოდნენ თავგანწირვით და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან, ზოგი მათგანი კი, ბრძოლის ველზე დაეცა. საბოლოოდ, ვერაგ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში, საფრანგეთში წავიდა და შემგომ წლებში იქედან იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ქართველი პოლიტიკოსების და დიპლომატების ძალისხმევით, 1933 წლის ივლისამდე პარიზში საქართველოს ლეგაცია ოფიციალურად არსებობდა. რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტის (1932 წლის 29 ნოემბერი)<sup>1</sup> დადების შემდეგ კი, საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა ქართული ლეგაცია, რომელიც პარიზში ქართველთა თავისუფლების უანასკნელ კუნძულს წარმოადგენდა, გაეუქმებინა. მიუხედავად ამისა, ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, იმ სასტიკი ოკუპაციური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ქართველ ხალხს ძალით მოახვია თავს, კვლავ აქტიურად გრძელდებოდა.

საქართველოს იძულებითი ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, ქართული სამხედრო ელიტა, ძირითადად პოლონეთში დამკვიდრდა. გენერალმა ალექსანდრე ჩხეიძემ, ქართული სამხედრო სკოლის ბოლო უფროსმა,

---

<sup>1</sup>სარალიძე, „რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია (1921წ.) და ევროპის სახელმწიფოების დამოუკიდებულება“, საიტზე: <http://expertclub.ge>



მოგონებები სამხედრო სკოლის ისტორიასა და სკოლის პირადი შემადგენლობის გმირულ წარსულზე, ძირითადად კონსტანტინოპოლსა და პოლონეთში დაწერა. მისი მოგონებები ქართულ სამხედრო სკოლაზე ემიგრაციულ ჟურნალში — „მხედარი“<sup>2</sup> დაიბეჭდა. მის მიერ გამოთქმულ კრიტიკას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებისა და სახალხო გვარდიის მისამართით, ემიგრაციაში არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. ალექსანდრე ჩხეიძემ ამ კრიტიკას ემიგრაციაში გამომავალ ჟურნალ „მხედარში“<sup>3</sup> მრავალი წერილი მიუძღვნა, სადაც საკუთარი მოსაზრებები დამატებულად დაასაბუთა. ერთი რამ ვი, ცხადზე ცხადია - პირველი ქართული რესპუბლიკის თვით ოპოზიციურად განწყობილი ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ სამხედრო მოღვაწე, ქართული სამხედრო სკოლის აღზრდილი იუნკრების მისამართით ქებას არ იშურებდა. დიახ, ქართველო იუნკრები ერთმნიშვნელოვნად გმირები არიან.

ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა გურამ შარაძემ. მან საზღვარგარეთიდან ლევილისა და ჰანგარდის არქივებთან, მემუარულ და სხვადასხვა შინაარსის უამრავ ლიტერატურასთან ერთად, ემიგრაციული პრესის მასალებიც ჩამოიტანა. მისი ამაგი შეუფასებელია, რადგან ფაქტობრივად, მან გააცნო ქართველ საზოგადოებას ემიგრანტების სამშობლოსათვის თავდადება, გააცოცხლა და ძეგლი დაუდგა იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებიც სამშობლოდან იძულებით გადახვეწილნი, „რკინის ფარდის“ მიღმა თავდადებით იღწვოდნენ

<sup>2</sup> იხ. ჟურნალი „მხედარი“, №13, გვ.3-69, პარიზი, 1933.

<sup>3</sup> ჟურნალი „მხედარი“ — ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო (№№1-12); ქართველ მხედართა ორგანო (№№13-21), პარიზში, სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა. რედაქცია და გამომცემლობა „ქართველ იუნკერთა კავშირი“, „ქართველ მხედართა საზოგადოება“, ფასი 3-5 ფრანკი, რედაქტორები: პროკოფი აბულაძე (1929-1931 წ.წ. №№1-10), ვიტალი უგრეხელიძე - სარედაქციო კოლეგია (1931-1937 წ.წ. №№11-21). ქართველ იუნკრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი საკუთარი ბეჭდვითი ორგანო დაეარსებინათ. 1922 წელს ქ. ათენში ლადო მახარაძის რედაქტორობით, ქართველმა იუნკრებმა გამოსცეს ჟურნალი: „ატროკებული ტვინი“ (სულ 3 ნომერი გამოვიდა). იმავე წელს, პოლონეთში მყოფმა ქართველი იუნკრების ჯგუფმა ჟურნალის — „ჭაბუკის კვნესა“ გამოცემა დაიწყო. 1924 წელს იუნკრებმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა გამოსცა ჟურნალი: „ჩვენი რვეული“, რომელშიც იუნკრების მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. 1926 წელს, იუნკერ პროკოფი აბულაძის რედაქტორობით, ვარშავაში გამოვიდა ჟურნალი — „მთვარიდა“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჟურნალი ხელ-ბეჭდვით იყო შესრულებული, რის გამოც გამოვიდა თითო-თითო ცალი. იხ. გურამ შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტომი 4, გვ.7-12, თბილისი, 2003.

საკუთარი სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის. ბევრი მათგანი ვერ ელინსა საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას, ისე აღესრულა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოლოდინში.

70 წლის განმავლობაში, სოციალისტური საქართველო გასაბჭოების დღეს ზეიმობდა. საბჭოთა რეჟიმს კი, ეს დღე — 1921 წლის 25 თებერვალი, ღირსსახსოვარ დღესასწაულთა ნუსხაში ჰქონდა შეტანილი. ამ დღის გახსენება რევოლუციონერთა და კომუნისტთა თაობებს თუ სიამაყეს ჰგვრიდა, ქვეყნის ერთგულ შვილებს დამოუკიდებლობაწართმეული საქართველოს მწარე ხვედრზე აფიქრებდა. მაშინ, როდესაც დიდი რუსეთის ფრთებქვეშ შეფარებული ქართველები ზემით აღნიშნავდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დღეს, მოსახლეობის მეორე და არც თუ მცირე ნაწილი ჩუმად უნთებდა ეკლესიაში სანთლებს 1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსეთ-საქართველოს ომში სამშობლოსათვის დაღუპულ მამულიშვილთა ნათელ სხოვნას. გულმოკლული ქართველი ემიგრანტები კი, შორიდან ელოდნენ სამშობლოს უკეთეს მომავალს.

გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მემუარული ხასიათის ნაშრომი ქართული სამხედრო სკოლის შესახებ გურამ შარაძის ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის რვატომეულის მე-4 ტომში სრულად დაიბეჭდა<sup>4</sup>.

1919 წელს, ქართველი სამხედრო მოღვაწეების, და პირველ რიგში, გენერალ გიორგი კვინიტაძის<sup>5</sup> დიდი შრომითა და ძალისხმევით

<sup>4</sup> გურამ შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტომი 4, გვ.372-439, თბილისი, 2003.

<sup>5</sup> კვინიტაძე — გიორგი ივანეს ძე კვინიტაძე (1874-1970წ.წ.) გამოჩენილი ქართველი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, ქართული არმიის გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი და ფაქტობრივად, ბოლო მთავარსარდალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი 1916 წლიდან, რუსეთ-იაპონიის, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, 1918 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრის თანაშემწე, 1918 წლის მაისიდან კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე. 1919 წლის სექტემბრიდან, ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1920 წლის მაისიდან, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო აგრესიის გამო, ისევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად დაინიშნა. იმავე წლის ოქტომბერში, თანამდებობიდან გადადგა და სამხედრო სკოლას დაუბრუნდა. 1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკების მხრიდან ახალი სამხედრო ინტერვენციის გამო, მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მიერ კვლავ საქართველოს შეიარაღებული

სამხედრო სკოლა შეიქმნა, რომელიც ქართული მხედრული დიდებისა და ძველი ქართული სამხედრო ხელოვნების ღირსეული გზის გაგრძელება იყო.

1918-1921 წლები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდი იყო. თავიდანვე მტრულ საგარეო გარემოცვაში მყოფი ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ეს ურთულესი პრობლემა, ცხადია, ეროვნული პროფესიონალი სამხედრო კადრების მომზადების გარეშე ვერ გადაიჭრებოდა. მართალია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა და მსახურობდა რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ ნამსახურები მაღალი და საშუალო რანგის პროფესიონალი და პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ოფიცერთა კორპუსი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდების ზიარება სამხედრო საქმესთან და სამხედრო ხელოვნებასთან. საჭირო იყო ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ისეთი უმცროს ოფიცერთა კადრების მომზადება, რომლებიც მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს იქნებოდნენ დაუფლებულნი. სწორედ ამაში მდგომარეობდა ქართული სამხედრო სკოლის შექმნის და იდუის მთავარი არსი. „სწავლა და განათლება“ და არა მხოლოდ „წერთა და ვარჯიში“, „ფიქრი და აზროვნება“ და არა მხოლოდ „დამახსოვრება და მიბაძვა“, „რწმენა და ღირსება“ და არა მხოლოდ „რიდი და მოვალეობა“, „ეროვნული სულისკვეთება და პატრიოტიზმი“ და არა მხოლოდ „შიში და მორჩილება“.

სწორედ ამ აზრობრივი დატვირთვით იქნა არჩეული ქართული სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სიტყვები „სამხედრო სკოლა“ და „იუნვერი“ პირველი ქართული რესპუბლიკის მომავალი სამხედრო კადრის სამჭედლოსა და მომავალი ახალგაზრდა ოფიცრებისთვის, და არა უბრალოდ სიტყვა „მსმენელი“, ან რუსული სიტყვები — „კურსანტი“ და „სამხედრო სასწავლებელი“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სკოლის მომავალი უფროსის, გენერალ კვინიტაძის პრინციპული პოზიცია იყო. იგი წერდა: „უმეტესობის აზრი იყო, რომ სახელი აგველო რუსული სახელის უშუალოდ თარგმანიდან და დავგერქო „სამხედრო სასწავლებელი“, ხოლო თვით სამხედრო განათლება

---

ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი, 1921 წლის წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

მაქსიმალურად ყოფილიყო შეკვეცილი წვრთნისა და თეორიული სწავლების პრაქტიკული მინიმუმით. მე წინაუკმო აზრისა ვიყავი და როგორც სკოლის მომავალმა უფროსმა, გავიყვანე შემდეგი აზრი: ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართული სამხედრო დოქტრინის კათედრა; ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედრო სასწავლებელი“.<sup>6</sup>

სიტყვა „იუნკერს“ (Juncherre) გერმანული წარმომავლობა აქვს და აზრობრივად იგი მიწათმფლობელს, მემამულეს აღნიშნავდა. პირდაპირი მნიშვნელობით კი, იგი „ახალგაზრდა ბატონს“ ნიშნავს. იუნკერთა ფენის წარმოქმნა და აღმავლობა გერმანელთა დიდი აღმოსავლური მიგრაციისა და მათი პრუსიაში დასახლების პერიოდს უკავშირდება, რაც რომის საღვთო იმპერიისა და გერმანელი რაინდების ტევტონთა ორდენის ტერიტორიული გაფართოების შედეგი იყო. ფრიდრიხ მეორე „დიდის“ ეპოქაში კი, იუნკრები უკვე სამხედრო არისტოკრატიულ კლასად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ჩრდილოეთ გერმანული მიწების უმეტესობას ფლობდნენ.

სწორედ ქართველი სამხედრო არისტოკრატები უნდა აღეზარდა ქართულ სამხედრო სკოლას და ამიტომაც შეირჩა ამ სკოლის მოსწავლეთა აღსანიშნავად დასახელება „იუნკერი“.

ქართული სამხედრო სკოლა 1919 წლის 5 სექტემბერს გაიხსნა. სკოლაში სწავლის მსურველთა წინაშე დასმული ძირითადი მოთხოვნა საშუალო განათლების ქონა, კარგი ფიზიკური მომზადების დონე და რაც მთავარია, პატრიოტული სულისკვეთება იყო. სამხედრო სკოლის ორგანიზაციის თვალსაზრისით, საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სკოლაში, ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ იწვრთნებოდა და აღზრდას ღებულობდა როგორც მომავალი ოფიცერი, ასევე რიგითი ჯარისკაცი - მომავალი ნაცვალი (სერჟანტი), რომლებიც მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ სამხედრო სამსახურს რეგულარული ჯარის ნაწილებში გააგრძელებდნენ

ქართული სამხედრო სკოლის იუნკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მტერთან ყოველი შეტაკებისას, ისინი ყოველთვის გამარჯვებულნი

---

<sup>6</sup> არჩილ ჩაჩხიანი. ქართველი იუნკრები - „ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენტებში“. კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2(13) 2013.

რჩებოდნენ, მათ ბრძოლა არ დაუთმიათ და უკან არ დაუხევიათ, თუმცა მსხვერპლიც არ დაჰკლებიათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამხედრო სკოლის მთელი პირადი შემადგენლობა, როგორც იუნკრები, ასევე ნაცვალთა ქვედანაყოფი, იყო პატარა გმირული ერთეული, აღჭურვილი საუკეთესო მხედრული თვისებებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი შალვა მალლაკელიძე,<sup>7</sup> რომელიც აკრიტიკებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კურსს და საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახალხო გვარდიას მათი პარტიული კუთვნილების გამო, რუსეთ-საქართველოს

---

<sup>7</sup> შალვა მალლაკელიძე (1893-1976წ.წ.) — ქართველი პოლიტიკოსი, იურისტი და სამხედრო მოღვაწე, ვერმანის გენერალი და გერმანიის მესამე რაიხის ქართული ლეგიონის მეთაური. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, შალვა მალლაკელიძე სამაჰმადიანო საქართველოში (არტაანი, ფოცხოვი, ახალციხე, ახალქალაქი) სამხედრო და სამოქალაქო საქმეებისთვის საგანგებო რწმუნებულად დაიშნა. 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, მას მთავრობისგან მეტად დამოუკიდებელი პოზიცია ეკავა და ცდილობდა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებით ემოქმედა. იგი მოგვიანებით ქუთაისის მაზრის კომისრად, შემდეგ თბილისის გუბერნიის კომისრად მსახურობდა. 1919 წელს თბილისის გენერალ-გუბერნატორად, შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნა. 1921 წლის 23 თებერვალს, შალვა მალლაკელიძე აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს რუსეთის IX არმიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. აფხაზეთიდან სამ კვირაში წამოვიდა, ამ დროს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკვე ბათუმში იყო და საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა. შალვა მალლაკელიძე ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად დატოვეს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესთან — გრიგოლ ლორთქიფანიძესთან და სამხედრო მინისტრთან — პარმენ ჭიჭინაძესთან ერთად. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ცოლ-შვილთან ერთად მშობლიურ სოფელს შეაფარა თავი. მეუღლე გერმანელი ჰყავდა, წარმოშობით ლატვიიდან. მამისეულ სახლში დიდხანს არ გააჩერეს. 1921 წლის 13 მაისს დააპატიმრეს და მომდევნო წლამდე ციხეში ამყოფეს. განთავისუფლების შემდეგ, ლატვიაში, ცოლის ნათესავებთან გაღწევა მოახერხა. ოჯახი რიგაში დააბინავა, თვითონ კი, პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობის რეკომენდაციით, 1923 წელს პრდაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. თავად შალვა არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, გიმნაზიის წლებიდანვე იგი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. 1941 წლიდან პოლკოვნიკი შალვა მალლაკელიძე გერმანულ არმიაშია და ფრონტის წინა ხაზზე იბრძვის საბჭოელების წინააღმდეგ. იგი მესამე რაიხის ქართულ ლეგიონს ხელმძღვანელობდა, რომელიც 1941 წელს ქართველ პატრიოტთა მიერ ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად. 1944 წელს, დაბადების 50 წლისთავზე ვერმანის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1953 წლიდან დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა. 1954 წლის 1 აგვისტოს, საბჭოთა სპეცსამსახურებმა შალვა მალლაკელიძე მოიტაცეს და ძალდატანებით გადაიყვანეს აღმოსავლეთ გერმანიაში. ოჯახთან ერთად ჯერ მოსკოვში ჩაიყვანეს, შემდეგ საიდუმლოდ, ყალბი პასპორტით გადმოიყვანეს თბილისში. 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა რუსთავში, შემდეგ თბილისში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1976 წლის 7 ნოემბერს, 83 წლის ასაკში.

1921 წლის თებერვალ-მარტის ომში, საქართველოს დამარცხების მიზეზებზე საუბრისას, ქართველი იუნკრების შესახებ თავის მოგონებებში წერს: „...ნამდვილი ბრძოლა ტაბახმელასთან მოხდა იმიტომ, რომ ბრძოლაში ჩაებნენ თბილისის სამხედრო სასწავლებლის მომზადებული იუნკრები. უფროსი იყო გენერალი ჩხეიძე, ადრე ჩემი მასწავლებელი, ასეულის მეთაური, გვარდიის კაპიტანი, შესანიშნავი ვაჟკაცი. ამით იმის თქმა მინდა, რომ როდესაც იუნკრების სახით ნამდვილი, რეგულარული, მხედრული თვალსაზრისით მომზადებული ქართული ჯარი შეხვდა, ბატონო, საბჭოების ჯანს და აღზრდილი იყვნენ ჩხეიძის და კვინიტაძის სულისკვეთებით, — ემსახურება ერს და პოლიტიკაში არ ერევა — მისცეს შესანიშნავი ბრძოლა ტაბახმელასთან. ეს არის ერთადერთი სახელოვანი ბრძოლა. სხვათა შორის, იუნკერთა შორის იყო ახლა აქ აკადემიკოსი ბრძანდება, ნიკო კეცხოველი<sup>8</sup>, დაიჭრა და ველარ გაყვა მათ. კარგი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ე.ი. ქართველმა იუნკრებმა და მათმა

---

<sup>8</sup> ბატონ ნიკო კეცხოველთან და მისი დაჭრის ამბავთან დაკავშირებით ბატონი შალვა მალააკელიძე აშკარად ცდება. ნიკო კეცხოველი კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლების დროს არ დაჭრილა. ეს უფრო ადრე მოხდა, 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, როდესაც მისი ემელონი მტრის გარემოცვაში მოჰყვა დებედას ხეობაში. რაც შეეხება თავად ნიკო კეცხოველს (1897-1982წ.წ.) — იგი იყო გამოჩენილი ქართველი ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი და პატრიოტი, სწავლული და მეცნიერი ბოტანიკოსი, მწერალი და ესეისტი. საქართველოში ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი (1937), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოსი 1941 წლიდან, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1945), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-1952 წლებში. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი დირექტორი (დღეს ეს ინსტიტუტი მის სახელს ატარებს). აღსანიშნავია ნიკო კეცხოველის დამსახურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. 1917 წელს იგი ესწრებოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობას და 1924 წლის სექტემბრამდე იყო ამ პარტიის თვალსაჩინო წევრი: შედიოდა მის მთავარ კომიტეტში და იყო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. 1918 წელს, გენერალ აბელ მყაშვილის შენაერთის შემადგენლობაში მონაწილეობდა ქართული ჯარების მიერ ახალციხის მახრის დაკავებაში, იმავე წლის ბოლოს კი, იბრძოდა სომხეთ-საქართველოს ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა კიდევ. 1919 წელს გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის იგი „ეთერი გიორგის“ ჯვრით დაჯილდოვდა. 1922-1924 წლებში შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერპარტიული ჯგუფის პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობაში. 1924 წელს, აგვისტოს აჯანყებამდე მცირე ხნით ადრე, დაპატიმრებულ იქნა საქართველოს სსრ ე.წ. „საგანგებო კომისიის“ (ე.წ. „ჩეკა“) მიერ. 1941-1942 წლებში, სხვა ცნობილ ქართველ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან ერთად (ნ. მუსხელიშვილი, მ. ზანდუკელი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გ. წერეთელი და სხვანი), ფარულ პატრიოტულ ორგანიზაციას — „სამანი“ თანაუგრძნობდა. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მასწავლებლებმა, მეფის ოფიცრებმა გვასახელეს ჩვენ. ვიმეორებ, რომ ყოფილიყო ნამდვილი პატრიოტული სამხედრო ორგანიზაცია, პარტიების გარეშე მყოფი, როგორც მიღებული იყო წარსულში — რომ ჯარისკაცი არ უნდა ეკუთვნოდეს პარტიას, ჯარისკაცი ეკუთვნის სახელმწიფოს, მის ერს და ფიცს აძლევს ერს, მიწა-წყალს თავისას, ის არ შეიძლება პარტიებით იყოს გადახურდავებულ-გადმოხურდავებული, ბატონო, — სხვა იქნებოდა...“<sup>9</sup>

გენერალ შალვა მაღლაკელიძის მიერ იუნკერთა მისამართით გამოთქმულ შეფასებებს, რა თქმა უნდა ვიზიარებთ, თუმცა აქ მცირე კომენტარიც უნდა გავეთქვას. დიდი ქართველი სწავლული და მეცნიერი, პატრიოტი და მამულიშვილი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იუნკერი არ ყოფილა და იგი კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე არ იბრძოდა, თუმცა იგი ნამდვილად მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებშიც იღებდა მონაწილეობას. 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომში კი, იგი მძიმედ დაიჭრა.

გენერალი ალექსანდრე დავითის ძე ჩხეიძე 1873 წლის 5 ივლისს, ქუთაისის გუბერნიაში დაიბადა. მან საფუძვლიანი სამხედრო განათლება მიიღო: 1892 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი. 1892-1893 წლებში მოსკოვში, ალექსანდრეს სახელობის მესამე სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ პორუჩიკის ჩინით რუსეთის იმპერიის სამეგრელოს მე-16 ქვეით პოლკში დაინიშნა. რუსეთის არმიაში ალექსანდრე ჩხეიძეს იცნობდნენ როგორც განთქმულ სპორტსმენს, მოფარნიკავებსა და მსროლელს, იყო სამხედრო-სპორტული შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული. მისი სამხედრო კარიერა სწრაფად განვითარდა – 1894 წლის 13 აპრილს პოლკის დაბვერვის უფროსად დაინიშნა, 1897 წლის 5 მარტიდან პოლკის შეიარაღების უფროსი გახდა. 1904–1905 წლებში, როგორც რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი, რუსეთ-იაპონიის ომში იბრძოდა. 1908-1909 წლებში შტაბის კაპიტნის ჩინი ჰქონდა და მასწავლებლად იყო მივლინებული თბილისის სამხედრო სასწავლებლის პროპორშიკთა სკოლაში.

---

<sup>9</sup> შალვა მაღლაკელიძე, „მოგონებები“, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, გვ. 121, გამომცემლობა „პეგასი“, თბილისი, 2012.

პირველ მსოფლიო ომში ალექსანდრე ჩხეიძე უკვე პოლკოვნიკის ჩინით მონაწილეობდა. 1915-1917 წლებში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, თბილისის მე-15 ქვეითი პოლკის შემადგენლობაში იბრძოდა. 1917 წელს, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ბრუნდება და დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-ალმშენებლობით საქმეში ებმება. 1917 წლის ნოემბრიდან იგი ამიერკავკასიის ფედერაციის კავკასიის არმიის ქართულ კორპუსში მსახურობდა. იყო ნაცვალთა (სერუხანტთა) კურსების დამაარსებელი და მეთაური. 1919 წლის გაზაფხულზე, ისლამისტების აჯანყებისა და ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაკავების გამო, კურსების ოფიცრები ახალციხის ფრონტზე გაიწვიეს, სადაც პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ბორჯომის და შემდეგ, ახალციხე-აწყურის ხაზის მეთაური გახდა.

1919 წლის სექტემბერში, თბილისში, რუსეთის იმპერიის ყოფილი სამხედრო სასწავლებლის შენობაში ქართველ იუნკერთა ორწლიანი სამხედრო სკოლა გაიხსნა. სკოლის უფროსმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, თავის თანაშემწედ პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე მიიწვია (მას ცოლად ჰყავდა გიორგი კვინიტაძის და, სოფიო კვინიტაძე). ალექსანდრე ჩხეიძეს სკოლისთვის კადრების შერჩევა ევალებოდა.

1920 წლის 2 მაისს, ღამით, რუს ბოლშევიკთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა უიარაღო იუნკრებს და მათ იძულებით გადაზინებას შეეცადა. პოლკოვნიკი ჩხეიძე ოჯახით ამავე შენობაში ცხოვრობდა. თავის მოგონებებში იგი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გამოვარდა გარეთ მოულოდნელი ხმაურის დროს. მან სროლით გაიკვალა გზა იუნკერთა ოთახისკენ (გზაში მოკლა ორი თავდასხმელი), შეაღწია დატყვევებულ იუნკრებთან და მათი დახმარებით მომხდურთა გარეკვა შეძლო. 1920 წლის მაისშივე, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დაწყებასთან დაკავშირებით, გენერალ კვინიტაძეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ნიშნავენ, სამხედრო სკოლას კი, სათავეში, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ჩაუდგა.

1920 წლის 19 მაისს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე აზერბაიჯანიდან შემოჭრილი მე-11 წითელი არმიის შენაერთებთან საბრძოლველად შექმნილ „სადახლოს საარმიო ჯგუფის“ უფროსად დაინიშნა, სადაც საარმიო ჯგუფის შემადგენლობაში სხვა საჯარისო



ნაწილებთან ერთად ქართული სამხედრო სკოლის ოუნკერთა ქვედანაყოფიც იყო ჩართული.

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1920 წლის აგვისტოში, პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით სამხედრო სკოლის დანაყოფებმა და გვარდიის ბატალიონმა ბოლშევიკების აგიტაციის გამო აჯანყებული ლავოდებში დისლოცირებული მე-ნ ქართული პოლკის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ ალყაში მოაქციეს პოლკის ცალკეული ქვედანაყოფები და იარაღის დაყრაც აიძულეს, რის შემდეგაც ბოლშევიკი აგიტატორებიც დააპატიმრეს.

1921 წლის 17 თებერვალს, უკვე საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მეორე ომის მსვლელობისას, მთავარსარდალის — გენერალ გიორგი კვინიტაძის ბრძანებით, სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად ოუნკერთა სკოლამ 7 კილომეტრიანი საბრძოლო პოზიციები დაიკავა კოჯორ-ტაბახმელასთან. ასე შეიქმნა თბილისის დაცვის ფრონტის კოჯორი-ტაბახმელას უბანი, რომელსაც სათავეში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ჩაუდგა. მთელი საომარი კამპანიის განმავლობაში, ქართველ ოუნკრებს მყარად ეკავათ საბრძოლო პოზიციები და ბოლომდე მდგრად იგერიებდნენ ბოლშევიკთა აღმატებული ძალების შემოტევებს. ქართველი ოუნკრები რამდენჯერმე იერიშზეც გადავიდნენ და რუსები აიძულეს უკან დაეხიათ. 19 თებერვალს გარშემოვლითი ფლანგური მანევრით კოჯორის დაკავების შემდეგ ბოლშევიკები წავკისისა და ტაბახმელის მიმართულებით დაეშვნენ. ტაბახმელის პოზიციებზე მყოფ ქართულ ნაწილებს ალყაში მოქცევის საფრთხე მოელოდა, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს ტაბახმელის დატოვება და ბრძოლით მამადავითისკენ დახევა უბრძანა. ა. ჩხეიძემ იცოდა, რომ თავისი ძალებით კოჯორის გათავისუფლებას ვერ შეძლებდა, მაგრამ საჭირო იყო მტრის შეჩერება, სანამ მთავარსარდალი დამატებით ძალებს გამოგზავნიდა; ამიტომ იგი გენერალ ანდრონიკაშვილთან ჩავიდა შტაბში და სარდალი არსებული ძალებით კონტრშეტევის განხორციელების აუცილებლობაში დაარწმუნა. გენერალი ანდრონიკაშვილი დათანხმდა. ოუნკრები შეტევაზე გადავიდნენ და მტერიც შეაჩერეს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მთავრობამ და ჯარებმა თბილისი დატოვეს. მთავარსარდალი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების ორგანიზებას მცხეთასთან და

მოგვიანებით საშურთან, <sup>10</sup> რის შემდეგაც მძლავრი შეტევითი მოქმედებებით ისევ დაიბრუნებდნენ დედაქალაქს. თუმცა, მისი ეს მოლოდინები არ გამართლდა, ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიის რაზმებმა დასავლეთისკენ დაიწყეს უკანდახევა. თბილისის დატოვების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმში გადავიდა და იქ გამართული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე თავისი უფლებამოსილება დროებით შეაჩერა.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და კონსტანტინოპოლისკენ გაემართა. მთავრობის წევრებთან ერთად საზღვარგარეთ იძულებით ემიგრაციაში ბევრი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეც გაემგზავრა. მათ შორის იყვნენ ქართული სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე და მასთან ერთად 69 ოფიცერი. ისინი პირველ ხანებში კონსტანტინოპოლში ცხოვრობდნენ, ნაწილი სამხედროებისა – საბერძნეთში, 1922 წლიდან კი, ქართველ ოფიცერთა და ოფიცერთა ძირითადი ნაწილი პოლონეთის მაშინდელმა მთავრობამ შეიფარა. 1922-1923 წლებში ალექსანდრე ჩხეიძე პოლკის მეთაურთა კურსებზე პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში ასწავლიდა. 1924-1926 წლებში იგი სამხედრო სკოლისა და პოლონეთის არმიის მე-16 ქვეითი დივიზიის ინსტრუქტორი იყო. მიუხედავად დატვირთული სამსახურეობრივი რეჟიმისა, ალექსანდრე ჩხეიძე თავის ყურადღებას ქართველ ოფიცრებს არც უცხოეთში აკლებდა, ბინას ყოველთვის მათთან ახლოს იკავებდა და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართველი ოფიცრების აღზრდისა და წვრთნის საქმეს. 1927 წელს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე პოზნანის მე-14 ქვეითი დივიზიის მეთაურად ინიშნება და აქვე ენიჭება პოლონეთის არმიის გენერლის წოდებაც. ამ თანამდებობაზე მან 1931 წლამდე იმსახურა. კონტრაქტის დასრულებამდე (31.08.1931) კი, იგი პოლონეთის არმიის მე-7 კორპუსის შტაბის განკარგულებაში იმყოფებოდა. სამხედრო სამსახურის დასრულებისა და თადარიგში გასვლის შემდეგ გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ქალაქ ლუბლინში გადავიდა, სადაც თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად დამკვიდრდა.

---

<sup>10</sup> დიმიტრი სილაქაძე, „ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 239-255, თბილისი, 2011.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ისევ კადრში ბრუნდება. 1939 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის საიდუმლო ხელშეკრულებით (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) პოლონეთზე განხორციელებული ერთობლივი თავდასხმის დროს, პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი, ალექსანდრე ჩხეიძე, ქალაქ ლვოვის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. 1939 წლის სექტემბერშივე, საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის მიერ პოლონეთის შუაზე გაყოფის შემდეგ, იგი გესტაპომ დააპატიმრა და საბჭოთა მხარეს გადასცა.

1940 წლის ივნისში, გენერალი ჩხეიძე ლვოვის ციხიდან კიევის ციხეში გადაიყვანეს, სადაც შემდეგი ბრალდება წაუყენეს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახური, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვარშავის ქართული კომიტეტის წევრობა და პოლონეთის არმიაში სამსახური“. იმავე წლის 16 დეკემბერს „ხალხის მტრად“ შერაცხული გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მოსკოვში გადაიყვანეს და „ჩეკა“-ს ლუბიანკის ციხეში გადაიყვანეს. იგი სავარაუდოდ 1941 წლის ზამთარში, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის („ნკვდ“-ს) სამეულის ბრძანებით დახვრიტეს.

ალექსანდრე ჩხეიძის ტყუპი ვაჟები, გიორგი და დავითი, მამის მსგავსად, პოლონეთის არმიის ოფიცრები იყვნენ. გიორგი, მეორე მსოფლიო ომამდე უმედური შემთხვევით გარდაიცვალა. დავითი კი, 1939 წელს საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისგან ქალაქ ლვოვის დაცვისას გმირულად დაიღუპა. გენერალ ჩხეიძის მეუღლე, სოფიო კვინიტაძე (გენერალ გიორგი კვინიტაძის და) საბჭოთა შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს, ბრალად „ხალხის მტრის“ მეუღლეობა წაუყენეს და შუა აზიაში გადაასახლეს, საიდანაც საქართველოში მხოლოდ წლების შემდეგ, მძიმედ დაავადებული დაბრუნდა. დაბრუნებიდან მოკლე ხანში იგი გარდაიცვალა კიდევ.

აი, ასეთი მძიმე და ტრაგიკული იყო გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის ცხოვრება. ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელსაც მუდამ სამშობლოს მაჯისცემაზე ეჭირა ხელი და ემიგრაციაშიც სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით აგრძელებდა ცხოვრებას და მოღვაწეობას. მისი საფლავი კი, არ ანსებობს და სმშობლოსათვის შეწირული რაინდის მიერ განვლილი საბრძოლო გზა მომავალი თაობებისათვის მისაბამ მაგალითად გვესახება.

ქართული სამხედრო სკოლის იუნკრები კი, მხოლოდ დიდებით შეგვიძლია ვახსენოთ – გენერალ კვინიტაძისა და გენერალ ჩხეიძის მიერ აღზრდილი იუნკრები ბოლომდე იმყოფებოდნენ კოჭორი-ტაბახმელას საბრძოლო პოზიციებზე და ბოლომდე ეკავათ მათზე გაპიროვნებული ფრონტის ხაზი. მათ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევიათ უკან და ბოლოს გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან. ისინი უკან დახეული ქართული შენაერთების არიერგარდს წარმოადგენდნენ და ბოლომდე სამშობლოსა და სამხედრო ფიციის ერთგულნი დარჩნენ. სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის პირველი კურსის პირადი შემადგენლობისაგან განსხვავებით, ქართველ იუნკერთა გამოშვება არ შემდგანა, მათ კოჭორი-ტაბახმელას ბრძოლებში დაასრულეს თავისი ყრმობაც და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურის კარიერაც. საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკრები ქართველი ოფიცრები ვერ გახდნენ – მაგრამ ისინი ბოლომდე სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად, ბოლომდე ქართველ იუნკრებად დარჩნენ და ასე ეზიარნენ უკვდავებას...

სამშობლო არ ივიწყებს მისთვის თავდადებულ გმირებს. ღვაწლმოსილი გენერლის, ალექსანდრე ჩხეიძის დამსახურების პატივსაცემად, 2013 წლის სექტემბერში, თბილისში, ქართული სამხედრო სკოლის ყოფილი შენობის (ყოფილი მიხაილოვის ქუჩა, ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი №148) ფასადზე მისი მემორიალური დაფა გაიხსნა, ხოლო 2017 წლის 24 თებერვალს, გორში, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე იუნკერთა მემორიალური ქვა დაიდგა, რომელიც შთამომავლობას და ახალგაზრდა ოფიცერთა მომავალ თაობებს ყოველთვის შეახსენებს საამაყო ქართველი იუნკრების სამაგალითო თავდადებისა და გმირობის ამბავს.

## **ლელა სარალიძე**

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი



## სამხედრო სკოლა

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაიწყო განაპირა ქვეყნების რუსეთისაგან ჩამოშორების პროცესი. ამა ხნიდან ირღვევა კავკასიის ფრონტი და შინ მიმავალ რუსის ჯარებს ნელ-ნელა შემოსდევნენ თურქის ჯარები ამიერკავკასიაში.

დაარსდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა<sup>11</sup> - საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის შემადგენლობით.

დაიწყო ნაციონალური კორპუსების<sup>12</sup> შედგენა. ქართული კორპუსის შედგენა მიენდო პოლკოვნიკ ახმეტელაშვილს.<sup>13</sup> კორპუსის შტაბის უფროსად დაინიშნა შტ.-კაპიტანი ი.

---

<sup>11</sup> ამიერკავკასიის რესპუბლიკა — კონფედერაციული ტიპის რესპუბლიკა, რომელმაც 1918 წლის აპრილი-მაისის პერიოდში იარსება. მასში შედიოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები. 1918 წლის გაზაფხულისათვის ამიერკავკასიაში შექმნილი რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაიშალა 1918 წლის 26 მაისის ნაშუადღევს სამ საათზე, ხოლო 4 საათსა და 50 წუთზე საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითმა ორგანომ — საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. გაჩნდა საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ორი დღის შემდეგ, 1918 წლის 28 მაისს, დამოუკიდებლობა სომხეთმა და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს.

<sup>12</sup> კორპუსი — მუდმივი ან დროებითი (საექსპედიციო კორპუსი) სამხედრო ფორმირება დამოუკიდებლად (ცალკეული კორპუსი) ან არმიისა და ფრონტის (არმიათა ჯგუფის) შემადგენლობაში სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად. პირველად ფორმირებულ იქნა ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ. კორპუსი, როგორც წესი, შედგება სხვადასხვა გვარეობის ჯარების ნაწილებისა (დივიზია, ბრიგადა) და ქვედანაყოფებისაგან, მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად. ამავე დროს, კორპუსი წარმოადგენს შუალედურ სამხედრო შენაერთს დივიზიასა და არმიას შორის. სამტატო-საორგანიზაციო განრიგით, კორპუსს როგორც წესი, მეთაურობს გენერალ-ლეიტენანტის (სამვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

<sup>13</sup> ახმეტელაშვილი — სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) (1877-1922 წ.წ.), ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. მეფის რუსეთის არმიის ქართველი ოფიცერი, 1916 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, რუსეთ-იაპონიის, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი, 1918 წლის დასაწყისში ქართული საარმიო კორპუსის სარდალი, 1919 წლის დასაწყისში თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსი და სახალხო გვარდიის შენაერთის სარდალი, საქართველოს სასაზღვრო ჯარების პირველი სარდალი, სომხეთ-საქართველოს ომში, ეკატერინენფელდის ფრონტის სარდალი, წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი, 1921 წელს, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომში, კახეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდალი. დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

გედევანიშვილი.<sup>14</sup> ეს პირები იმ დროს ჩვენი რევოლუციური მოღვაწეების განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. სამართლიანობა კი მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი თავის დანიშნულებას არ შეეფერებოდა; პირველი — ხაზის კარგი ოფიცერი იყო, მაგრამ აკლდა კორპუსის უფროსისათვის საჭირო მომზადება, გამოცდილება და საერთოდ გაგება ასეთი ფრიად სერიოზული საქმისა. მეორე — 12-15 წელიწადი ჯარის გარეთ იმყოფებოდა შტ.-კაპიტანის ხარისხში და შეიძლება ითქვას, სამხედრო პირი აღარ იყო.

ამაინრად, ამ პირების ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა დიდ შეცდომას წარმოადგენდა.

კორპუსის შედგენის პირველ დღეებშივე, ნათელ იქმნა სამხედრო სკოლის დაარსების აუცილებლობა ნაცვალთა<sup>15</sup> და ოფიცერთა მოსამზადებლად.

სამხედრო სკოლის პროექტის შესადგენად შტაბში მიმიწვიეს მე. გადაწყდა ჯერ-ჯერობით ქართულ კორპუსთან დაარსებულიყო

---

<sup>14</sup> ი. გედევანიშვილი — იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი (1873-1939 წ.წ.) — ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1905-1923 წლებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, 1924 წლიდან – სკკპ წევრი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოების - საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917წ.) და დამფუძნებელი კრების (1919წ.) წევრი. გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილების უფროსი ძმა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ფედერალისტთა საბრძოლო რაზმის მეთაური, 1919 წელს აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის განმათავისუფლებელი ანტიდენიკინური ქართული შენაერთის სარდალი. 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. 1921 წლის 11-12 თებერვლის დამეს ე. წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში“ განლაგებულ ქართულ შენაერთებზე თავდასხმით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. სწორედ, ამ მიმართულებაზე დისლოცირებულ ქართულ სამხედრო ნაწილებს სარდლობდა გენერალი იოსებ გედევანიშვილი. საბრძოლო მოქმედებების დროს ჯარების გაშლისა და ოპერაციების მართვის საქმეში მის მიერ დიდი შეცდომები იქნა დაშვებული, რაზეც გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის მეთაური აკაკი კვიციანიშვილიც საუბრობს თავის მოგონებებში (იხ. ა. კვიციანიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ“, ჟურნ. „განთიადი“, №2, გვ. 121, თბილისი, 1990). მე-11 წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა.

<sup>15</sup> ნაცვალი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის შეიარაღებულ ძალებში უმცროსი სამეთაურო შემადგენლობის ზევადიანი სამხედრო მოსამსახურე. შეესაბამებოდა დღევანდელ სერჟანტს.

ორგუნდიანი<sup>16</sup> ნაცვალთა ათასეული<sup>17</sup>. ათასეულის უფროსობა მე დამეკისრა.

1917 წლის მიწურულში გამოცხადდა შტატები. სკოლის ორგანიზაცია უნდა მომხდარიყო ცალკე ათასეულის მსგავსად. სწრაფად ავირჩიე ოფიცერთა შემადგენლობა და გამოვძებნე ძველი უვადო ნაცვლები. საუბედუროდ, ცვალეზადი შემადგენლობა, ანუ მოსამზადებელი მასალა ჯერ არსად სჩანდა და ეს იმიტომ, რომ ამ დროისათვის ჯერ არც პოლკების<sup>18</sup> ორგანიზაცია იყო დასრულებული და არც გაწვევა იყო გამოცხადებული. მართალია, ამ მიზეზის გამო სკოლა უმოქმედობდა, მაგრამ დრო მაინც არ იკარგებოდა და გროვდებოდა ათასეულისათვის საჭირო ქონება და მოწყობილობა.

1918 წლის 26 მაისს ჩვენი ერის ცხოვრებაში მოხდა დიდი ისტორიული მოვლენა: საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მაგიერ შეიქმნა სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ნაცვალთა სკოლა<sup>19</sup> და აგრეთვე მთელი კონრუსი, ცხადია, იმ სახით და შემადგენლობით, როგორც არსებობდა, გადმოვიდა საქართველოს ფარგლებში.

გადაწყდა ნაცვალთა მომზადება გადასცემოდა პოლკებს, მხოლოდ ნაცვალთა ათასეულის მაგიერ დაარსებულიყო სამხედრო სკოლა ოფიცერთა მოსამზადებლად.

---

<sup>16</sup> გუნდი — სამხედრო ქვედანაყოფის არქაული დასახელება. ამ შემთხვევაში — ასეული.

<sup>17</sup> ათასეული — სამხედრო ქვედანაყოფის ან ნაწილის არქაული დასახელება. ამ შემთხვევაში — ბატალიონი.

<sup>18</sup> პოლკი — ტაქტიკური დანიშნულების მქონე სამხედრო ფორმირება (სამხედრო ნაწილი), რომელიც შედგება ბატალიონების, ასეულებისა და/ან ესკადრონებისა და ბატარეებისგან. უმეტესი ქვეყნების პოლკებს, საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი. ორგანიზაციულად პოლკი წარმოადგენს დამოუკიდებელ საბრძოლო, სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საჯარისო ერთეულს. ძველ დროში პოლკები სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძირითად საბრძოლო ერთეულებს წარმოადგენდნენ და მათი ერთობლიობა ქმნიდა ჯარებს. დღეისათვის პოლკები ქმნიან ბრიგადებს ან დივიზიებს. პოლკების სტრუქტურა და პირადი შემადგენლობის რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნების არმიების პოლკებში სხვადასხვაა და იგი 1000-დან 3000-მდე მერყეობს.

<sup>19</sup> ნაცვალთა სკოლა — სერჟანტთა სკოლა.



ნაცვალთა ათასეულმა ამნაირად დაასრულა თავისი არსებობა ისე, რომ არც ერთი ნაცვალი არ გამოუშვა, მაგრამ არ ითქმის, სრულიად არათფერი გაეკეთებინოს: ერთი ღამის განმავლობაში, მაგალითად, შეაიარაღა და მოკაზმა ის ისტორიული გუნდი, გერმანელ ტყვეებისაგან შემდგარი, რომელიც ლეიტენანტმა კაიზერმა გამოიყვანა ფრონტზე და აუმართა წინ ოსმალების წინსვლას;<sup>20</sup> გარდა ამისა, ათასეულმა შეასრულა 1200 კაციან ოფიცერთა რაზმის ლიკვიდაციისა და ანგარიშების გასწორების დავალება.

1918 წლის 20 აგვისტოს გამოცხადდა ქართული ჯარების ახალი შტატები. სხვათა შორის იქ იყო, აგრეთვე, პრინციპიალური გადაწყვეტილება სამხედრო სკოლის დაარსების შესახებ.<sup>21</sup>

სკოლის უფროსად დაინიშნა გენ. ბენაშვილი.<sup>22</sup> სკოლის უფროსის თანაშემწედ - მე. სკოლა არსებობდა ერთი გუნდით,

---

<sup>20</sup> აქ საუბარია პირველ მსოფლიო ომზე და კავკასიის ფრონტზე გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიისა და მისი ნაწილების შეტევით მოქმედებებზე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთის მიმართულებებზე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტისათვის, ე.ი. 1918 წლის მაისისათვის, ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები. კერძოდ, ტაო-კლარჯეთი და ყარსის ოლქი, ბათუმი და ბათუმის ოლქი, აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები.

<sup>21</sup> 1918 წლის 20 აგვისტო უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში. სწორედ ამ დროს დაამტკიცა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და პარლამენტმა მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული არმიის ჩამოყალიბებას — „დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“, „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“, „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითადი დებულება“ და „კანონი ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევისა“. არჩილ ჩაჩხიანი, ნიკოლოზ ჯანჯღავა. „პირველი ქართული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის სამართლებრივი ასპექტები“, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ისტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 1(20). 2017.

<sup>22</sup> ბენაშვილი - ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი (1868-1941წ.წ.) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. პეტრე მელიქიშვილთან ერთად ანდრია ბენაშვილი უნივერსიტეტის პირველი პროფესორი იყო ბუნებისმეტყველების დარგში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ქართული არმიის გენერალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახურს იწყებს 1887 წელს, სამეგრელოს

რადგან ოფიცერთა შემადგენლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოწვეული; ყოფილ ნაცვალთა ათასეულის ყველა ოფიცერი ათასეულის ქონებიანად (რომელიც დიდი იყო იმ დროს), გადმოვიდნენ ახლად დაარსებულ სამხედრო სკოლაში. ამიტომ არის, რომ ქართული სამხედრო სკოლის ისტორია ნაცვალთა ათასეულის არსებობის დროსაც უნდა შეეხოს.

ამავე ხანებში დაშლილ იქმნა ტფილისის<sup>23</sup> კადეტთა კორპუსი.<sup>24</sup> სამხედრო მინისტრის მიერ მე დავინიშნე კორპუსის მმართველობისაგან ჩამბარებელი კომისიის თავმჯდომარედ, სამხედრო მინისტრისადმი<sup>25</sup> ჩემი მოხსენების მიხედვით, ამ ქონების დიდი ნაწილი სამხედრო სკოლას გადაეცა.

სკოლა უნდა მოთავსებულიყო ყოფილი რუსეთის „ტფილისის სამხედრო სასწავლებლის“ შენობაში. დასაწყისში გადმოგვეცა

---

გრენადერთა მე-16 პოლკში. 1896 წელს ირიცხება გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზისტურ განყოფილებაზე, რომლის დასრულების შემდეგ იცავს გეოდეზისტის დოქტორის ხარისხს. 1902 წლიდან იწვევენ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. პირველ მსოფლიო ომში მსახურობდა პოლკის მეთაურისა და დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობებზე. 1918 წლიდან კავკასიის არმიისა, შემდეგ თბილისის სამხედრო სასწავლებლის უფროსია. 1919 წელს პროფ. ანდრია ბენაშვილს დაევალა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა. ამავე დროს, იგი ლექციებს კითხულობდა ქართული სამხედრო სკოლის იუნკრებთან. იგი პროფესორთა საბჭოს იმ სხდომას თავმჯდომარეობდა, სადაც ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. გენერალი ბენაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტისა და საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. გარდაიცვალა სოხუმში, 1941 წელს.

<sup>23</sup> ტფილისი — საქართველოს დედაქალაქი თბილისი. 1936 წლის 17 აგვისტომდე იხსენიება როგორც „ტფილისი“, თუმცა ტოპონიმი „თბილისი“ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულს, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში იხსენიებოდა, როგორც „ტფილისი“-ს ექვივალენტური ტერმინი.

<sup>24</sup> დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ტფილისის კადეტთა კორპუსი წარმოადგენდა მეფის რუსეთის არმიის სამხედრო განათლების საწყის რგოლს. იგი 1882 წელს გაიხსნა თბილისის სამხედრო გიმნაზიის ბაზაზე, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე, რომელიც აქ 1875 წლიდან არსებობდა.

<sup>25</sup> სამხედრო მინისტრი — აქ იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი - გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე (1879-1937 წ.წ.), ცნობილი ქართველი პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. 1918 წლის დასაწყისიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, ხოლო 1918-1919 წლებში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი. 1920 წლიდან ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი.

მხოლოდ შენობის ნაწილი, ვინაიდან დანარჩენი გვარდიელებს და იმათ ქონებას ეკავა.

1918 წლის შემოდგომისათვის ყველაფერი მზად იყო სკოლაში მოწათფეთა მისაღებად, მაგრამ მოვლენები აფერხებდნენ ახალგაზრდათა მოგროვებას; დრო კი ძვირად ღირდა და ამისათვის, ჩემი თხოვნის მიხედვით, მოეწყო განმეორებითი კურსები იმ ოფიცერთათვის, რომელთაც დაასრულეს რუსულ სასწავლებლებში მოკლევადიანი კურსები.

1918 წლის 20 სექტემბერს გამოიგზავნა პოლკიდან სკოლაში, სამთვიან კურსებზე, 40 ოფიცერი კაპიტნის ხარისხამდე. კურსების პროგრამა ინსტრუქტორულ და ტაქტიკურ მომზადებასა და წესდებათა შესწავლას შეიცავდა.

9 ქრისტეშობისთვის<sup>26</sup> დაიწყო ფაქტიურად სომხეთ-საქართველოს ომი; მობილიზაცია კი 16-მდე არ გამოცხადებულა, რადგან ჩვენი მთავრობის აზრით, ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ უპასუხისმგებლო ბანდები მოქმედებდნენ.<sup>27</sup>

16-ს, მობილიზაციის გამოცხადებასთან ერთად, გამოიცა ბრძანება განმეორებითი კურსიდან ოფიცრების პოლკებში დაბრუნების შესახებ.

სამხედრო სკოლას დაევალა ჩვენი ჯარების ზურგში საეტაპო გუნდების მოწყობა. 31 დეკემბერს 24 საათზე, როდესაც ერთი დღით წინ ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს შულავერთან<sup>28</sup> სომხები და

---

<sup>26</sup> ქრისტეშობისთვის — დეკემბერი.

<sup>27</sup> აქ ავტორი მცირე უზუსტობს უშვებს. სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საომარი მობილიზაცია ძალიან დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 1918 წლის 18 დეკემბერს გამოაცხადა და არა 16 დეკემბერს, როგორც ამას ღრმად პატივცემული ავტორი აღნიშნავს. დემობილიზაცია გამოცხადდა მხოლოდ მაშინ, როცა სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და დაშლავთა საბრძოლო რაზმების მიერ უკვე საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები იყო ოკუპირებული.

<sup>28</sup> შულავერი — სოფელი საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის მარნეულის მუნიციპალიტეტში, შულავერის თემში. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარეების ხრამისა და დებედას შუამდინარეთში. ქალაქი მარნეულიდან დაშორებულია 15 კილომეტრით.

შედენეს ისინი ბამბაკის<sup>29</sup> ხეობაში, ინგლისელების მოთხოვნის გამო ჩამოვარდა დროებითი ზავი.<sup>30</sup>

1919 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში განმეორებით კურსებზე შეიკრიბა უმცროს ოფიცერთა მეორე შემადგენლობა; მაგრამ იმ დროს დაიწყო შეტაკებები ახალციხის ფრონტზე, ვილაც გამოურკვეველ და ფანტასტიურ მუსულმანურ მთავრობის ჯარებთან.<sup>31</sup> გაკვეთილების მეორე საათზე მოვიდა ბრძანება ოფიცრების პოლკებში დაბრუნების შესახებ.

---

<sup>29</sup> ბამბაკი — მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდინარე დებედას სათავის მთიან ხეობას. IX-X საუკუნეებში ბამბაკი შედიოდა ჯერ ანისის სამეფოს, შემდეგ კი ტაშირ-ძორაგეთის კვირიკიანთა სამეფოს შემადგენლობაში. მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ფარგლებში იყო. XVII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყიზილბაშური ირანის ექსპანსიის შედეგად, თურქმანული პოლიტიკური ერთეულები - ბორჩალოს სახანო და ლორეს სასულთნო შეიქმნა. ბამბაკი ბორჩალოს სახანოს შემადგენლობაში მოჰყვა. XVIII საუკუნის II ნახევარში იგი გამოეყო ბორჩალოს და ჩამოყალიბდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად - ბამბაკის სამოურავოდ, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფის მიერ დანიშნული ქართველი მოურავი მართავდა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ბამბაკი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის შემადგენლობაში იქნა ჩართული. მისი სამხრეთი ნაწილი კი, XIX საუკუნის II ნახევრიდან, ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში შევიდა.

<sup>30</sup> დროებითი ზავი — იგულისხმება სომხეთ-საქართველოს ომი, შეიარაღებული კონფლიქტი სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1918 წლის დეკემბერში, საქართველოს თავდაცვითი ომი სომხეთის წინააღმდეგ. სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები 1918 წლის 9 დეკემბერს, ლორესა და ჯავახეთში ქართულ სასაზღვრო ნაწილებზე, სომხეთის ჯარების მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო. ომი ფაქტობრივად დასრულდა მათი დამარცხებით შულავერ-სადახლოს და ბოლნი-ხაჩინის ბრძოლებში 30 დეკემბერს და დაზავების შეთანხმებით 31 დეკემბერს. 1919 წლის 9-17 იანვარს, თბილისში, სომხეთ-საქართველოს სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა, რომლის მუშაობაში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მოლაპარაკებების პროცესში განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობის წარმომადგენლები აქტიურობდნენ. მიღწეული შეთანხმებით, ბორჩალოს მაზრის სადავო ტერიტორია „ლორეს ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა და დადგინდა მისი საზღვრები. „ლორეს ნეიტრალური ზონის“ გენერალ-გუბერნატორად ბრიტანელი ოფიცერი დაინიშნა. ქართულმა სახელმწიფომ თავის ისტორიულ მიწებზე დე-იურე და დე-ფაქტო იურისდიქცია დაკარგა.

<sup>31</sup> აქ საუბარია ისლამისტური ტიპის პროოსმალური ორიენტაციის თვითგამოცხადებულ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ ან სხვანაირად ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ ფსევდოსახელმწიფოსა და მის შეიარაღებულ ძალებზე, რომლის ქვედანაყოფებმა და საბრძოლო რაზმებმაც 1919 წლის 17 იანვარს გადმოლახეს საქართველოს დე-ფაქტო საზღვრები და მოახდინეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ოკუპაცია.

სკოლის კადრის ოფიცრებმა ჩემი საშუალებით მიმართეს თხოვნით გენერალ კვინიტაძეს, რომელმაც შესცვალა გენ. მაზნიაშვილი<sup>32</sup> ახალციხესთან ჩვენი ჯარების მარცხის შემდეგ, რომ მათთვისაც მიეცა რამე სამუშაო.

ნაზრძანები იყო ეტაპების მოწყობა ბორჯომში და აგრეთვე ჯართა წინსვლასთან შეფარდებით, აწყურში და ახალციხეში. მე დამნიშნეს მთელი ეტაპის ხაზის უფროსად; ორი სკოლის ოფიცერი შევიდა ოფიცრების რაზმების უფროსთა შემადგენლობაში (კაპ. ალავიძე<sup>33</sup> და კაპ. არონიშიძე<sup>34</sup>).

---

<sup>32</sup> გენ. მაზნიაშვილი — გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი (1871-1937წ.წ.) — დიდი ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი. რუსეთ-იაპონიის, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. 1917 წლის ბოლოდან საქართველოში მოღვაწეობს. აქტიურად მონაწილეობს ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში, დაინიშნა ქართული საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1918 წლის დასაწყისიდან, თბილისის გარნიზონის და ზორჩალოს მაზრის დაცვის უფროსი. 1918 წლის მაისიდან, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარის სარდალი. 1918 წლის ნოემბრიდან, ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი. 1918 წლის დეკემბრიდან, სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდში, შულავერის ფრონტის სარდალი. 1919 წლის თებერვლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში დისლოცირებული ქართული ჯარების გარნიზონის სარდალი. 1920 წლის დეკემბრიდან, ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსი. 1921 წლის თებერვლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სოღანლუღის ფრონტის სარდალი. 1921 წლის მარტში, დასავლეთ საქართველოს ფრონტის სარდალი და ბათუმის გარნიზონის ჯარის სარდალი. წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოში დარჩა და მონაწილეობა მიიღო ქართული წითელი შენარის ფორმირებაში. დაინიშნა საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. მცირე ხნით იმყოფებოდა ემიგრაციაში საფრანგეთში, საიდანაც მალევე დაბრუნდა. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ რეპრესირებული, 1937 წელს დახვრიტეს შვილთან ერთად.

<sup>33</sup> ალავიძე — ალექსანდრე (სანდრო) ალავიძე (1891-?), ქართველი და პოლონელი სამხედრო მოღვაწე, მაიორი. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე.

<sup>34</sup> არონიშიძე — არტემ მიხეილის ძე არონიშიძე (შეცვლილი და პოლონიზირებული გვარ-სახელი — იან პილეცკი) (1891-1950 წ.წ.). ქართველი და პოლონელი სამხედრო მოღვაწე, მაიორი. სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მეტყვიაიმფრქვევითა ასეულის ოფიცერი. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის — „ვირტუტი მილიტარი“-ს კავალერი.

მაისის დასაწყისში ბრძოლები გათავდა და ჩვენც, ფრონტზე მივლინებული ოფიცრები, სკოლას დავებრუნდით.<sup>35</sup>

გაზაფხულის განმავლობაში გამომუშავებული იყო და 1919 წელს 1 აგვისტოს დამტკიცდა ახალი შტატები. ამ შტატების მიხედვით, შეიცვალა სრულიად სამხედრო სკოლის მდგომარეობაც და შემდეგი სახე მიიღო:

სამხედრო სკოლის მოწაფეთა რიცხვი იფარგლებოდა 180 კაცით. ეს უნდა ყოფილიყო ერთი გუნდი. ამათგან 90 მოწაფე უნდა მიგველო პირველ წელიწადს; შემდეგში ყოველწლიურად 90 კაცი.

პირველ კურსზედ მოწაფენი გადიოდნენ საერთო თეორიულ სამხედრო კურსს და ქვეითი ჯარის მეცადინეობას; 1 მაისს, ბანაკად გასვლისას, მოწაფენი ნაწილდებოდნენ იარაღის სპეციალურ დარგებზე: 60 მიდიოდა ქვეითი ჯარის განყოფილებაზე, 10 საინჟინროზე, 15 საარტილერიოზე და 5 ცხენოსან დარგში. ასე შემდეგ წლებშიაც. ამნაირად, სკოლის მეორე კურსზე მოწაფენი ოთხი დარგისაგან შემდგარ პატარა რაზმს წარმოადგენდნენ.

სამხედრო სკოლასთან, იუნკერთა გუნდის გარდა, ორგანიზაციის მიხედვით, უნდა ყოფილიყო ნაცვალთა ათასეული ნაცვლების მოსამზადებლად, შემდეგი შემადგენლობით:

სამი ქვეითი გუნდი, სამი ბრიგადის საჭიროებისათვის; გუნდი 150 კაციანი; გარდა ამისა, ერთი გუნდი 70 კაციანი სანაპირო ჯარისა; ერთი ტყვიამფრქვევთა გუნდი 150 კაცით და 8

---

<sup>35</sup> ავტორი აქაც მცირე უზუსტობას უშვებს თარიღთან დაკავშირებით. ქართულმა მხარემ, ახალციხისა და ახალქალაქის მახრების გენერალ-გუბერნატორის და აქ გაშლილი ქართული ჯარების სარდლის, გენერალ კვინიტამის მეთაურობით პროოსმალური ორიენტაციის თვითგმოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ რესპუბლიკის, ანუ ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ ჯარებისა და ისლამისტთა საბრძოლო რაზმებისაგან ახალციხე გაათავისუფლა 7 მარტს, 19 მარტს — ახალქალაქი, ხოლო 21 აპრილს — არტანის (არდაგანი). იმავე დღეს ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარებმა დაამხეს ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ მთავრობა, დააპატიმრა მისი წევრები და ისინი კუნძულ მალტაზე გადაასახლა. ამით ე.წ. „ყარსის რესპუბლიკამ“ არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, „ყარსის რესპუბლიკის“ ჯარების წინააღმდეგ განხორციელებული ბოლო სამხედრო ოპერაცია იყო 1919 წლის 21 აპრილის არტანის გათავისუფლების ოპერაცია.

ტყვიამფრექვევით; 80 კაციანი ბატარეა<sup>36</sup> 2 საველე ზარბაზნისა, 2 ქვემეხით და ერთი ჰაუბიცით. შემდეგში ამას კიდევ დაემატა 25 კაციანი ცხენოსანი მწყობრი.<sup>37</sup>

კურსის დაწყების დღედ დაინიშნა იუნკერთათვის 1 სექტემბერი; ათასეულისათვის — 15 ნოემბერი. ნაცვლებისათვის ათასეულში კურსი იყო რვათვიანი.

გენერალი ბენაშვილი დანიშნული იქმნა ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსად. აგვისტოს პირველ რიცხვებში სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე.

აგვისტოს განმავლობაში ყველაფერი მომზადებული იყო იუნკრების მისაღებად. მზადებაში იყო შენობა და ქონება ათასეულისათვის.

1919 წლის 5 სექტემბერს მიღებულ იქმნა 90 იუნკერი.

იმავე კედლებში, რომლის შიგნით ვზრდიდი 12 წლის განმავლობაში რუსის იუნკრებს<sup>38</sup>, ბოლოს შეიკრიბა ქართველობა — ქართულ სამხედრო სკოლაში.

ცხადია, ოფიცრები დიდი სურვილითა და გატაცებით შევუდექით ჩვენი მშობლიური ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც აღმოჩნდა მართლაც შესანიშნავი სამხედრო მასალა.

მართალია, იუნკრების გუნდის უმცროსი ოფიცრები თვით ახალგაზრდები იყვნენ და ზოგიერთი მხოლოდ მოკლევადიან კურსებიდან, მაგრამ საკუთარი ჯარისათვის მუშაობის სურვილი და ენერგია დაუშრეტელი ჰქონდათ. მე ვეხმარებოდი მათ ჩემი

---

<sup>36</sup> ბატარეა — სამხედრო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საცეცხლე და ტაქტიკურ საჯარისო ერთეულს არტილერიაში, საჭაერო თავდაცვის ნაწილებსა და სარაკეტო ჯარებში. ბატარეა შეესაბამება ქვეითი და მოტომსროლელი ჯარების ასეულს.

<sup>37</sup> მწყობრი — სამხედრო ქვედანაყოფის არქაული დასახელება. ოცეული, ამ შემთხვევაში — საკავალერიო ოცეული.

<sup>38</sup> იუნკერი — პრუსიიდან რუსეთში შემოსული ტერმინი, რომელმაც აქ სუფთად სამხედრო დატვირთვა მიიღო. იგი წარმოადგენდა რუსეთის არმიაში 1918 წლამდე არსებული სპეციალურ სამხედრო წოდებას უნტერ-ოფიცერსა და ობერ-ოფიცერს შორის. აღნიშნული წოდება ენიჭებოდა სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ობერ-ოფიცერის პირველი წოდების მისანიჭებლად კანდიდატებს წარმოადგენდნენ. მოგვიანებით, იუნკერს რუსეთში ზოგადად სამხედრო სასწავლებლების მსმენელებსა და მოსწავლეებს უწოდებდნენ.

მრავალწლოვანი გამოცდილებით და ასე თანდათანობით საქმეს შესაფერის მსვლელობა მიეცა.

საარტილერიო და ცხენოსან განყოფილებათა უფროსად დანიშნენ ძველი გამოცდილი ოფიცრები: კაპ. ქარუმიძე<sup>39</sup> და კაპ. სულხანიშვილი.<sup>40</sup> გენ. კვინიტაძის წინადადებით, იუნკერთა გუნდის უფროსობა მიიღო პოლკ. გარდაფხაძემ<sup>41</sup>, ძველმა გამოცდილმა და გამოჩენილმა კადრის ოფიცრმა. შემდეგში ის დაიღუპა სამშობლოსათვის სახელოვანი სიკვდილით.

მთავრობის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ გადასინჯა და იქონია მსჯელობა მთელი ჯარის შტაბ-ოფიცრების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მე და პოლკოვნიკი გარდაფხაძე დაჩუნებული ვიქენით კომისიის მიერ. ამის მიუხედავად, გენერალ კვინიტაძის მოთხოვნის შედეგ, ჩვენ მაინც შევედით სკოლის შემადგენლობაში და ამგვარად, მე დავრჩი სკოლის უფროსის თანაშემწედ.

თავიდანვე მუშაობა ჩვენს შორის შემდეგნაირად განაწილდა: მე ვმუშაობდი სამხედრო სწავლა-აღზრდის საქმეში და სამხეო ნაწილს ვუთვალყურებდი; გენ. კვინიტაძე კი მეტ ყურადღებას აქცევდა სკოლის სასწავლო თეორეტიულ ნაწილს და სკოლისათვის სკოლის გარეშე მუშაობას.<sup>42</sup> ასეთი სამუშაო კი იმ დროს ბევრი იყო. სასწავლო ნაწილს დიდი სიძნეელები ჰქონდა წინ: — სრულებით არ მოიპოვებოდა სამოსწავლო წიგნები; ლექტორების მონახვა

---

<sup>39</sup> კაპ. ქარუმიძე — დავით ქარუმიძე (?-1937), ქართველი სამხედრო მოღვაწე, არტილერიის კაპიტანი. იუნკერთა ასეულის ოფიცერი. ატარებდა მეცადინეობებს არტილერიის ტაქტიკასა და წესდებებში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

<sup>40</sup> სულხანიშვილი — გიორგი სულხანიშვილი. ქართველი სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. იუნკერთა ასეულის ოფიცერი. 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე.

<sup>41</sup> გარდაფხაძე — ნესტორ გარდაფხაძე. ქართველი სამხედრო მოღვაწე, მაიორი. ქართული სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მეთაური. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე.

<sup>42</sup> გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობისა, გენერალი კვინიტაძე იუნკერთა ბატალიონის პირადი შემადგენლობისათვის ლექციებს კითხულობდა სამხედრო ისტორიასა და ტაქტიკაში, ხოლო თავად პოლკოვნიკი ჩხეიძე სროლისა და ფარეკაობის ინსტრუქტორიც იყო.



გაძნელებული იყო; ზამთრის განმავლობაში ორჯერ გამოიყვალა კლასების ინსპექტორი. ამისათვის იყო, რომ გენ. კვინიტაძემ უმთავრესად აქეთ მიაპყრო თავისი ყურადღება.<sup>43</sup>

დღეს საკვირველად მისაჩნევია, რომ სკოლისათვის სკოლის გარეთ ბევრი იყო საკეთებელი; არსებობდა მაგალითად, ზუსტად აღნიშნული შტატები და დებულებები, მაგრამ მთელი ქონება, მასალა და საკვები მოდიოდა სკოლაში მხოლოდ ხანგრძლივი ცდისა და წვალების შემდეგ. ამ მხრივ, გენერალ კვინიტაძის დაუინებით იერიშები ხშირად სასურველ მიზანს აღწევდა: მივიღეთ დიდი ქონება, იარაღი და ცხენები ათასეულისათვის, ბატარეისათვის და ტყვიამფრქვევთა გუნდისათვის. ამავე გზით ჩავაცვიტო იუნკრებს თავისებური იტალიური ღია-მოლურჯო ფერის ფარაჯები; იუნკრები ჩაცმულ-დახურული იყვნენ საკმაო რიგიანად; ღია-მოლურჯო ფარაჯები კობტაობით და საყელოსა და ქუდზე მოვლებულ ეროვნულ-ფერებიან ყაითნების მონთულობით მეტად გამოჩნდნენ ისინი ქალაქში.

**იუნკრების ფორმა იყო:** ქართული ხალათი და თუშური ქედი ეროვნული ფერების ყაითნებ მოვლებული; წითელ-ვიდურიანი სამხრეულები ინიციალებით „სკ“ - სკოლა, და ზამთარში ბოხოხი. ოფიცრებს ეცვათ ინგლისური ჭრილობის ფრენჩი და ფრანგული გამოჭრილობის ფარაჯა.

სკოლაში ერთბაშად დამყარდა მკაცრი, მაგრამ შეგნებული დისციპლინა. უფროსთა შემადგენლობამ მიაგნო და შეეხო ჩვენი ახალგაზრდობის თავმოყვარეობის სიმებს. იუნკრებიც ერთგულად ასრულებდნენ დავალებებს... გასაგებიც არის! ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ისინი იყვნენ პირველი ქართველი ჯარისკაცები; რომ საზოგადოება მათ უფრო მკაცრი მოთხოვნილებით და განსაკუთრებული თვალთ დაუწყებდა ყურებას; და ამისათვის

---

<sup>43</sup> აუცილებლად აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ქართულ სამხედრო სკოლაში მოღვაწეობდნენ და ლექციებს კითხულობდნენ ქართული პედაგოგიური და სამეცნიერო სკოლის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე, ვასილ ზარნოვი, გენერალი და პროფესორი ანდრია ბენაშვილი და სხვანი. გარდა ამისა, იუნკრებთან სამხედრო სპეციალურ საგნებში ლექტორებად მოწვეულნი იყვნენ ქართველ ოფიცერთა კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ისეთი ხალისით და მონდომებით იღებდნენ ჩვენგან სამხედრო საქმეს, რომ ჩვენთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მოკლე ხანში შესანიშნავი შედეგებისათვის მიგვეღწია.

როდესაც სამი კვირის დამწყვედვის, სალმის მიცემისა და სამხედრო ქცევის შესწავლის შემდეგ, დავრწმუნდით მათ მიერ აუცილებელ სამხედრო ცოდნათა შეთვისებაში და გავუშვიტ ქალაქის შვებულეებაში, შთაბეჭდილება იყო აუჩერელი.

იმ დროს მიმდინარეობდა ქართული ჯარების რეორგანიზაცია; ჯარები ჩაცმული იყო მით, რაც დარჩა რუსის არმიას; მხედრული ქცევა და მხედრული გამომეტყველება ჯერ კიდევ არ იყო. დისციპლინა სუსტობდა და საერთოდ ნამდვილ ჯარისკაცებს სუსტად წააგავდნენ.

ქალაქის მცხოვრებნი, მართალია დაშორებულნი არიან სამხედრო საქმეს, მაგრამ ჯარისკაცის ჯარისკაცისგან გარჩევის უნარი იმათაც შესწევთ; 1914 წლის შემდეგ, აღარ ენახათ ნამდვილი სანიშნო ჯარისკაცი და როდესაც ერთ მშვენიერ ღვინობისთვის<sup>44</sup> დღეს, ჩვენი ხელიდან ქალაქში 90 იუნკერი გამოვიდა, შთაბეჭდილება იყო სრული!

ქალაქში ყველამ შეამჩნია რაღაც სამხედრო ნაწილი, რომელიც მეტად ირჩევა სხვა სამხედრო ნაწილებისაგან. ოფიცრებმა შეამჩნიეს ვიღაც მხედრები, რომლებიც სალამს ასე ბეჯითად, სწრაფად და სანიშნოდ იძლევიან; ყოველი მათგანი, ამ მოვლენით გაკვირვებული, იძულებული იყო შეჩერებულიყო, თვალი გაედევნებინა და გულში გაეთქვა: „კი მაგრამ, ვინ არიან ესენი?“

ჩვენ იუნკრებს მიაქციეს ყურადღება აგრეთვე, საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო წარმომადგენლებმა. ყველა დაინტერესებული იყო, ყველა კითხულობდა: „ვინ არიან?“ ვინ არიან?“ და იღებდნენ პასუხს: - ესენი ქართული სამხედრო სკოლის იუნკრები გახლავან! ქართული ჯარის სილამაზე და სიამაყე! ლაშქრის მომავალი ფუძე და ქვაკუთხედი! - ეხლა კი შეიძლება დავუმატოთ: - მომავალი ტაბახმელელები!

---

<sup>44</sup> ღვინობისთვის — ოქტომბერი.

მართლაც და შეხედულება წარმოსადეგი ჰქონდათ: ინტელიგენტური სახე, ტანი სარო, გვერდზე გადაწეული თუშური ქუდი, ეროვნული ფერების ყაითნებით მოვლებული. ყველაფერი ეს ჰარმონიულად შეხმატკბილებული მოალენსე თვალებს იპყრობდა.

გენ. კვინიტაძეს, მე და სკოლის ოფიცრებს მოგვაყარეს ყოველი მხრიდან მოლოცვები და ქება.

ერთმა რუსის პოლკოვნიკმა გამაჩერა ქალაქში და პირდაპირ მითხრა: „მე რუსის ოფიცერი ვარ, მაგრამ არ შემიძლია არ გადმოგცეთ ის კმაყოფილება, რომელსაც განვიცდი თქვენი იუნკრების შეხვედრის დროს; დიდი ხანია ჩემს გამოცდილ თვალებს არ უნახავს ასეთი ყოჩაღები“-ო.

ეს იყვნენ პირველი მერცხლები, მალე გამოჩნდნენ წეროებიც!

ოქტომბრის დამლევს, იუნკრები ძლივს ერთი კვირა იყვნენ თოფებით წამეცადინებულნი, გვეკითხება შტაბი: — „შეგიძლიათ თუ არა გამოიყვანოთ ყარაული უცხოელი გენერლის შესახვედრად“-ო?

იმხანებში შესდგა სკოლის ორკესტრი; ორკესტრს ლოტბარობდა ტფილისში კარგად ცნობილი ბატონი ე. გიჯინი.<sup>45</sup>

ყარაული გაგზავნილ იქმნა და შეხვედრამ შესანიშნავად ჩაიარა. დამსწრე მაღალმა უფროსებმა და მთავრობის წევრებმა პირველად ნახეს იუნკრები უკვე თოფებით, წყობაში.

მოსულ გენერალს შეხვდნენ საყვირებით (ფანფარებით). მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზე, მაგრამ ამ შემთხვევას ჰქონდა არახელსაყრელი შედეგიც სკოლისათვის; ამის შემდეგ, მოსვენებას აღარ გვაძლევდნენ; ყოველ თვე 2-3-ჯერ გამოგვყავდა საპატიო ყარაული, წინ და უკან მიმავალ უცხოელ გენერლებისა თუ წარმომადგენლებისათვის. უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან გვარწმუნებდნენ, რომ ამით კეთდება პოლიტიკური საქმეო.

მაგრამ ერთხელ კი, როდესაც სკოლის უფროსის მოადგილედ ვიყავი, კატეგორიულად ავმხედრდი:

---

<sup>45</sup> ე. გიჯინი — ერნესტო გიჯინი, იტალიური წარმომავლობის ქართული სამხედრო სკოლის ორკესტრის ხელმძღვანელი.

ტფილისში ჩამოდიოდა ბოლშევიკების წარმომადგენელი კიროვი<sup>46</sup>; ამისათვის საჭირო შექმნილიყო ყარაულის გამოყვანა. როდესაც მითხრეს ბოლშევიკების წარმომადგენელი ჩამოდისო, მე ვუპასუხე: - „ძალიან დიდი პატივი იქნება მისთვის, რომ სკოლამ გაუმართოს საზეიმო შეხვედრა“- მეთქი.

ვსთხოვე მოეხსენებინათ სამხედრო მინისტრისათვის, რომ სკოლაში მიდის გადაუდებელი რეპეტიციები და ამის გამო არ შემიძლია საპატიო ყარაულის გამოყვანა“.

ასე დაიწყო ნორჩი სამხედრო სკოლის ცხოვრება.

იმავე 1919 წლის ნოემბრის 15-დან 30-მდე, ნაცვალთა ათასეულში ცვალებადი შემადგენლობის შესავსებად ახალმა გაწვეულმა ჯარისკაცებმა დაიწყეს დენა.

---

<sup>46</sup> კიროვი — სერგეი მირონის ძე კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი) (1886-1934 წ.წ.). პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსი და საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, წითელი ტერორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1904 წლიდან. 1917 წლის ბოლომდე მენშევიკური იდეოლოგიის მატარებელი და რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი. რუსეთში ბოლშევიკთა მიერ მოწყობილი ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ბოლშევიკების მხარეს გადადის. 1918 წლის ივლისში, დამკვირვებლის სტატუსით საბჭოების მე-5 ყრილობის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას. 1919 წლის თებერვლიდან, ასტრახანის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა. აქ იგი ანტიბოლშევიკურად განწყობილ მუშათა და სასულიერო პირთა დახვერტებს ხელმძღვანელობს. 1919 წლიდან, მე-11 წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი და სერგო ორჯონიკიძის „მარჯვენა ხელი“ გახდა. 1920 წლის დასაწყისიდან, რკპ (ზ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი. იმავე წლის აპრილის ბოლოს, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ინტერვენციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წლის ივნისიდან საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 წლის ოქტომბრიდან, პოლონეთთან წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს. 1921 წელს, რკპ(ზ)-ს მე-10 ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს. იმავე წელს, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა. 1923 წლიდან, რკპ(ზ) მე-12 ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. 1926 წლიდან, ბოლშევიკური პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანია, ასევე, რკპ(ზ) ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს მდივანი. იმავე წელს, რკპ(ზ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატია. 1930 წლიდან, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო 1934 წლიდან ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ცკპა-ს საორგანიზაციო ბიუროს წევრი. მოკლეს 1934 წელს.

გენ. კვინიტაძემ უფლება მიიღო დაეგზავნა თავისი ოფიცრები ახლად გაწვეულ ჯარისკაცთა შემკრებ პუნქტებზე. აქ ისინი არჩევდნენ წერა-კითხვის მცოდნე და თვალ-ტანად ჯარისკაცებს და აგზავნიდნენ პირდაპირ სკოლაში.

დეკემბრისათვის უკვე შესდგა ათასეული: 4 გუნდი, 1 ბატარეა, 1 ტყვიამფრევევთა გუნდი. მალე ცხენოსანთა პოლკიდან მოვიდა ცხენოსანი მწყობრიც. სულ ათასეულში იყო 800 კაცი.

ამგვარად, სამხედრო სკოლა სრული შემადგენლობით გახურებულ მუშაობას შეუდგა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენი სკოლა ამზადებდა როგორც მომავალ ოფიცრებს, აგრეთვე ნაცვლებს; ყველა იწვრთნებოდა და იზრდებოდა ერთი მიმართულებით, ყველა ითვისებდა ერთ შეხედულებას და, ცხადია, სამსახური სწარმოებდა მკაცრი, სრულიად წესდების მიხედვით. უდაოდ, სკოლის ასეთი ორგანიზაცია შეიძლება ჩაითვალოს იდეალურ ორგანიზაციად. 5-10 წლის შემდეგ, მთელი ლაშქარი არამც თუ იქნებოდა წვრილმანამდე გაწვრთნილი, ერთობლივი და შედუღებული ერთი და იმავე შინაგანი მაგარი წესრიგით, არამედ ჯარების სული გამომუშავებული იქნებოდა ერთი მიმართულებით და გამობრძმედილი ერთი შეხედულებით საერთო საქმეზე.

თუ როგორ იყო საქმე დაყენებული, — ტაბახმელის ბრძოლებმა გამოააშკარავეს.

ზოგიერთი პოლკის უფროსები ეჭვის თვალით უცქეროდნენ ნაცვლების ერთ ადგილას მომზადების სისტემას და ბჭობდნენ მის სარგებლიანობაზე: ერთმა მათგანმა გამოსთქვა შემდეგი აზრი: „მე ჩემი პოლკისათვის თვითონვე შემიძლია მოვამზადო ნაცვლები ისე, როგორც მე მინდა“-ო. ამის მტკიცება, რასაკვირველია, სუსტი და შემცდარია.

ნაცვალთა მომზადება დამოკიდებული უნდა იქმნეს არა ამა თუ იმ პოლკის უფროსის ნება-სურვილზე, არამედ უნდა დაფუძნებული იყოს სამხედრო კომისიაში შემუშავებულ პროგრამაზე და დადგენილებებზე; ცხადია, მათი განხორციელება უფრო ადვილია

ერთ ადგილას, სადაც მოსწავლე ნაცვლებს ხელმძღვანელობს ოფიცერთა ერთი და იგივე შემადგენლობა და ერთი უფროსი.

აი ერთი მაგალითი: — მე-4 პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი ჯიჯიხია<sup>47</sup> აწარმოებდა პოლკში სწავლას გერმანული წესდების მიხედვით.

ჩვენმა ახალგაზრდა ჯარისკაცებმა სანუკვარი შთაბეჭდილება მოახდინეს ოფიცრებზე. სიცოცხლით სავსენი, ფიცხელნი და გონიერნი, სწრაფად იგებდნენ ყველაფერს, რაც მოეთხოვებოდათ; როგორც თეორიაში, ისე წყობაში მეცადინეობდნენ დიდი ხალისით და მიღწევებით; მკვირცხლად ერკვეოდნენ ტოპოგრაფიაში და რელიეფურ გეგმებზე; ყველაფერი ეს იმის საწინდარი იყო, რომ შეძლება გვექონოდა აღგვედგინა თამარ მეფისა და ერეკლეს დროინდელი, ქართული ჯარის წარსული დიდება...

ასე გავიდა ზამთარი დაჭიმულ მუშაობაში.

რადგან იუნკრები სამი თვით წინ იყვნენ წყობის პრაქტიკულ სწავლაში, ოფიცრების უშუალო თვალ-ყურის ქვეშ, დავნიშნე ისინი ინსტრუქტორებად ნაცვალთა ათასეულში. თვითეულს ჰყავდა მუდმივი მოწაფეები.

ამ გზით ერთი მხრივ, მიიწევდა წინ ნაცვალთა მომზადება, მეორე მხრივ, სკოლაში ხდებოდა მომავალი ოფიცრებისა და ნაცვლების გაცნობა-დაახლოვება.

ყველაფერი წყნარად და ნორმალურად მიმდინარეობდა.

დადგა გაზაფხული და შევეუდექით დაბა მუხროვანში საბანაკოდ გასვლისათვის მზადებას; იქ უნდა მოწყობილიყო სამხედრო სკოლის ბანაკი და საარტილერიო პოლიგონი.

გაზაფხულზე ტფილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენ. შიხლინსკი<sup>48</sup>. იგი ეწვია ჩვენს სკოლას, დაესწრო მეცადინეობაზე და გულისყურით დაათვალიერა სკოლა.

---

<sup>47</sup> ჯიჯიხია — არტემ მურზაყანის ძე ჯიჯიხია (1874-1939წ.წ.), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919 წ.), პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, რომლის დროსაც აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე იბრძოდა. 1918-1919 წლებში მე-4 პოლკის შტაბის უფროსი, 1919-1921 წლებში, სახალხო გვარდიის სამმართველოს უფროსი. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს ლილოს ფრონტის სარდალი. 1938 წელს რეპრესირებული.

ვინაიდან დაუინებით ამბობდნენ, რომ გაზაფხულზე ბოლშევიკები დაიწყებენ ამიერკავკასიისაკენ მოძრაობას, სწარმოებდა მოლაპარაკება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმებული მოქმედების შესახებ.

ამ მიზნით, 20 აპრილს, აზერბაიჯანში გაიგზავნა ჩვენი სამხედრო კომისია გენერალ კვინიტაძის (როგორც მომავალი მთავარსარდლის) მეთაურობით. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობის წრეებში ყველაფერი არ იყო რიგზე; მთავრობის ზოგიერთმა წევრმა მოამზადა ბოლშევიკების შემოსვლა.

1920 წლის 26 აპრილს, ბოლშევიკებმა მოულოდნელად გადმოლახეს საზღვარი, ზღვის ნაპირით, დაღესტნიდან. როგორც სჩანს, აზერბაიჯანის ჯარებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ბოლშევიკებიც ბაქოში თავისუფლად მატარებლით შემოვიდნენ.<sup>49</sup>

---

<sup>48</sup> შიხლინსკი — ალი-ალა ისმაილ შიხლინსკი (1863-1943 წ.წ.) - ცნობილი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მხედართმთავარი, არტილერისტი, „რუსული არტილერიის მამა“, საბჭოთა კავშირის სამხედრო მოღვაწე, არტილერიის გენერალი. 1876 წლის აგვისტოში ჩაირიცხა თბილისის სამხედრო გიმნაზიაში, რომელიც შემდგომში კადეტთა კორპუსად გადაკეთდა. აღნიშნული სასწავლებელი 1883 წელს დაამთავრა. სამხედრო სამსახური, 1883 წლის 1 სექტემბერს, სანკტ-პეტერბურგში, მიხაილოვის საარტილერიო სასწავლებელში იუნკერად დაიწყო. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და საბრძოლო დამსახურებების გამო, 1905 წლის 28 სექტემბრის უმაღლესი ბრძანებით, ალი-ალა შიხლინსკი წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წლის 29 დეკემბრიდან 1920 წლის 28 აპრილამდე, აზერბაიჯანის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამდე, შიხლინსკი აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიის სამხედრო მინისტრის, გენერალ სამედ ბეგ მეხმანდაროვის თანაშემწედ მსახურობდა.

<sup>49</sup> აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოური ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის ძალებით განხორციელდა. ოპერაცია შემუშავებულ იქნა კავკასიის ფრონტის სარდლის, მიხაილ ტუხაჩევსკისა და ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრის, სერგო (გრიგოლ) ორჯონიკიძის მიერ. 1920 წლის 20 აპრილისათვის კავკასიის ფრონტის შენაერთები უკვე აზერბაიჯანის საზღვრებთან იყვნენ გაშლილები. საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა მიხაილ ეფრემოვის 4 ჯავშანმატარებელი, კასპის ფლოტი და ვოლგის ფლოტილია სადესანტო ნაწილებით, ვიოდორ რასკოლნიკოვის საერთო მეთაურობით. მე-11 არმიის მიხაილ დევანდოვსკი სარდლობდა, აზერბაიჯანის ოკუპაციის საერთო სამხედრო-იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას კი, სერგო ორჯონიკიძე ანხორციელებდა. მიუხედავად პირადი შემადგენლობის რიცხოზობრივი სიმცირისა - სულ 12500 კაცი, 1920 წლის 28 აპრილისათვის მე-11 არმიამ წარმატებით მოახდინა ბაქოს ოკუპაცია, სადაც ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის მთავარ დამრტყმელ ძალებს ჯავშანმატარებლები წარმოადგენდნენ. ამ ფაქტით სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე შეექმნათ.

ჩვენი სამხედრო მისია უკანვე ბრუნდებოდა და მშვიდობიანად ტფილისში ჩამოვიდა.

27 აპრილს სკოლის უფროსი გენ. კვინიტაძე დაინიშნა მთავარსარდლად;<sup>50</sup> მე დავიკავე სკოლაში მისი ადგილი.

ბოლშევიკების ჩვენს მიწა-წყალზე თავდასხმას მოელოდნენ და ამისათვის ზომებს იღებდნენ. მაისის პირველ რიცხვებში, ბოლშევიკებმა მართლაც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, განიზრახეს მოეწყოთ ჩვენთვის ყაზახის<sup>51</sup> მხრიდან იგივე, რაც აზერბაიჯანში ქნეს. საზღვარზე გამორღვევის გასაადვილებლად, შინაურმა ბოლშევიკებმა<sup>52</sup> მიზნად დაისახეს შეექმნათ უწყობა ტფილისში და უკეთეს შემთხვევაში ხელთ ჩაეგდოთ მთავრობა; ამ მიზნით, მაისის ორს ჩვენს სამხედრო სკოლას დაესხნენ თავს, ვინაიდან სკოლის ხელში ჩაუგდებლივ ქალაქში ისინი გამოსვლას ვერ ბედავდნენ. ჩვეულებრივად პოლიცია ხშირად იძლეოდა ცნობებს ბოლშევიკების მოსალოდნელი გამოსვლების შესახებ, მაგრამ იმ კვირაში, წინაუკმოდ, ცნობები დამამშვიდებელი იყო და რომ შრომაში გართული იუნკრები და ჯარისკაცები არ მოგვეცდინა,

---

დღესავით ნათელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესია გარდაუვალი იყო. საკითხი კი ასე დაისვა — როდის და რა სქემით.

<sup>50</sup> მიუხედავად იმისა, რომ გენერალი კვინიტაძე მთავარსარდლად ფაქტობრივად 27 აპრილისათვის გამწესდა, ფორმალურად მისი დანიშვნის ბრძანება მხოლოდ 1920 წლის 4 მაისს გამოიცა. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27, ფურცელი 140.

<sup>51</sup> ყაზახი — მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში, მდინარე აღსთაფას ქვემო წელზე (ახლანდელი აზერბაიჯანი, ყაზახის რაიონის ტერიტორია). IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის ბალაზურის ცნობით, VIII საუკუნის 30-იან წლებში სარდალმა მარვან იბნ მუჰამადმა (მურვან ყრუმ) აქ ქალაქი „კასალი“ დააარსა (ახლანდელი რაიონული ცენტრი ყაზახი მის ადგილზეა, ხოლო სახელწოდება არაბული ტოპონიმის სახენაცვალი ფორმაა). სომხური და ქართული წყაროები რეგიონს და ქალაქს მორს ან მოროფორს უწოდებენ. XII-XIII საუკუნეებში ყაზახი გაგისა და ლორეს საერისთავოებს ეკუთვნოდა, მდინარის ზემოთი - გაგის საერისთავოს, მდინარის ქვემოთი - ლორეს საერისთავოს. ყაზახის მხარეში თურქმან ტომთა დასახლება XV საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო; 1478 წელს უზუნ-ჰასანის მიერ ქართლის მოხრების შემდეგ აქ გაჩნდნენ ე.წ. „თათრის ელები“. შემდგომ ხანებში, ქართლზე ყოველი ახალი თავდასხმის შემდეგ, მტკვრისპირა დაბლობზე თურქმანთა ახალ-ახალი ნაკადები ესახლებოდნენ. XVI საუკუნის შუა ხანებში ირანის შაჰმა თამაზ I-მა აქ სახანო დააარსა. გვიანდელ შუა საუკუნეებში ყაზახის სახანო დროდადრო ქართლის მეფეს ექვემდებარებოდა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ სახანო საერთოდ გააუქმა და ამიერიდან ყაზახს ქართლ-კახეთის მეფის მოურავები განაგებდნენ.

<sup>52</sup> შინაური ბოლშევიკები — იგულისხმება ქართველი ბოლშევიკები.



არ გვეჩონდა თავდაცვის განსაკუთრებული ზომები მიღებული. სკოლას, როგორც სამოსწავლო ნაწილს, გათვალისწინებული არ ჰქონდა, რომ მას ბოლშევიკები ასეთ პატივს მიანიჭებდნენ, მაგრამ თურმე მათ ყველაზე უფრო, სწორედ, სკოლისა ემინოდათ. მართლებიც გამოდგენ!

სჩანს, კარგად იცოდნენ თუ რას წარმოადგენდა სკოლა!

ლამის სრულ 12 საათზე ბოლშევიკების ჯგუფი 20-25 კაცი, ა. მახარაძის<sup>53</sup> ხელმძღვანელობით გადმოხტა ბაღის ლოპზე, გამოიარა სკოლის სამზარეულოსთან და ავიდა იუნკერთა გუნდში.

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს, რომ ჯერ იუნკრებს ჩაიგდებდნენ ხელში და შემდეგ ათასეულის ჯარისკაცებს თავის მხარეზე გადაიტყუილებდნენ. იუნკრების ოთახებში განაწილება ხელს უწყობდა ბოლშევიკებს მიზნის განხორციელებაში; ამაში, როგორც ეტყობათ, კარგად იყვნენ გარკვეული.

იუნკრებს უკვე ეძინათ. ისინი მოთავსებული იყვნენ 4 ოთახში: NN1, 2, 4, 5; ოთახში N3 ეწყო თოფები და სკივრი ვაზნებით; მაგიდასთან იჯდა კარებისაკენ ბურგით მიქცეული დღიური; მორიგე იუნკერი ისკანდარაშვილი<sup>54</sup> წასული იყო მორიგე ოფიცერთან პატაკით, რომ — ქალაქის შვებულეებიდან ყველა დაბრუნდა (კვირა დღე იყო) და უკვე სძინავთ. დღიურს ქამარზე ხიშტი ეკიდა.

<sup>53</sup> ალექსანდრე (სანდრო) მახარაძე (1896-1920წ.წ.) — ძველი ბოლშევიკი და ტერორისტი, პროფესიონალი რევოლუციონერი. მონაწილეობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში პეტროგრადში. 1918 წელს არალეგალურ მუშაობას ეწეოდა სამეგრელოში. ალექსი გეგეჭკორთან, შალვა ასკურავასთან და სხვებთან ერთად მოამზადა და ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სენაკის მზრამი მოწყობილ აჯანყებას. 1919 წლის ოქტომბრის დასასრულს მოსკოვში გაიწვიეს, საიდანაც მორიგი საბრძოლო ტერორისტული დავალებით გაგზავნეს ბაქოში. იქ დააპატიმრეს, მალე პატიმრობიდან გაიქცა და საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ აქაც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, საიდანაც 1920 წლის თებერვალში სხვა პატიმრებთან ერთად კვლავ გაიქცა. 1920 წლის გაზაფხულიდან არალეგალურ ანტისახელმწიფოებრივ და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა ქართული არმიის ჯარისკაცთა შორის. სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა 1920 წლის 2 მაისს ბოლშევიკების გამოსვლას თბილისში და იყო სამხედრო სკოლაზე თავდასხმის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. რკპ(ბ) კავშიუროს დავალებით იგი მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც დაიღუპა კიდევ ერთ-ერთი შეტაკების დროს.

<sup>54</sup> ისკანდარაშვილი — აქ სამხედრო სკოლის საარტილერიო განყოფილების იუნკერ ვახტანგ ისკანდარაშვილზეა საუბარი.

ბოლშევიკები რიცხვით 8-10 კაცი ავიდა კიბეებით გუნდის დერეფანში; დაესხენ ჩუმად დღიურს და დაუღერეს რევოლვერები. შემდეგ რევოლვერების დაღერებით შევიდნენ ოთახში N4 და N5; ყველა ააყენეს ლოგინიდან და გამოიყვანეს ოთახში NN1, 2.

ამავე დროს თოფებთან მსველეები ჰყავდათ დაყენებული. მე-2 ოთახში დასტოვეს 4 მაუზერიანი ამხანაგი და დანარჩენები მახარაძის მეთაურობით დაეშვნენ ქვევით, კლასების დერეფანში; აქედან განზრახული ჰქონდათ გაეგლოთ სკოლის მოედანი, მისულიყვნენ ნაცვალთა ათასეულის გუნდებში; ეს უკანასკნელნი მეტად დაშორებული იყვნენ ქუჩას და ოფიცერთა სადგომებს.

ბოლშევიკებს კიბეზე შეეჩეხათ მორიგი ოფიცერი, კაპ. ქარუმიძე, რომელიც სკოლის შემოვლას აკეთებდა და არავითარ საფრთხეს არ მოელოდა — ერთბაშად შემოეხვიენ მას, დაიჭირეს და განაიარაღეს. განაიარაღების შემდეგ, აიყვანეს და დასტოვეს იუნკრებთან ერთად თავიანთი ამხანაგის მეთვალყურეობაში. როდესაც მორიგე იუნკერ ისკანდარაშვილს არ დახვდა კაპ. ქარუმიძე სამორიგეო ოთახში, გამობრუნდა გუნდში; დერეფნის ყურედან დაინახა, როგორ დაიჭირეს კიბეზე და განაიარაღეს მორიგი ოფიცერი. ამის შემდეგ გუნდში ასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ იგი არ დაიბნა და სკოლის შეიდნიდან ოფიცრების სადგომისაკენ გამოეშურა.

ბოლშევიკები კაპ. ქარუმიძის დატუსაღების შემდეგ ჩამოვიდნენ ძირს, სამორიგეო ოთახში. აქ შემთხვევით იმყოფებოდა კაპ. ჯათვანიძე;<sup>55</sup> ესეც დაიჭირეს და წაიყვანეს იუნკრებთან; ჩამოსწყვიტეს ტელეფონი და გამოვიდნენ მოედანზე. ამ წუთს ქალაქიდან ბრუნდებოდა მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე. ბინაზე შესვლისას, სამორიგეო ოთახიდან მოესმა ხმაურობა; გაიძრო ფარაჯა და გამოვიდა სამორიგეო ოთახში. აქ მან ნახა დიდი უწყსრიგობა, ოღონდ იქ აღარავინ იყო. ჩამოვიდა კლასების დერეფანისაკენ და შეამჩნია ვიღაც საზაფხულო პალტოში. ამან შეამჩნია თუ არა გენერ. კვინიტაძე, რევოლვერით სროლა აუტეხა. გენ. კვინიტაძემ

---

<sup>55</sup> აქ ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულის ოფიცერზე, კაპიტან გრიგოლ ჯაფარიძეზეა საუბარი.

სროლითვე უპასუხა, ხოლო მეორე გასროლისას ლულაში გაეჩხირა ტყვია. გენერალი ბინაზე შემოტრიალდა მეორე რევოლვერის ასაღებად, კარებამდე ტყვიებით მიაცილეს, მაგრამ უბედურებას ასცდა.

იმ დროს, როდესაც კაპ. ჯაფარიძის დაჭრვისა გამო, სამორიგეო ოთახში ჩოჩქოლი ხდებოდა, იუნკერი ისკანდარაშვილი უკვე კარებზე მიკაკუნებდა აივნისიდან... მე მეძინა. გავიგონე თუ არა კაკუნი, ავდექი, მიველ კარებთან და შევეკითხე - ვინ იყო. „მე ვარ მორიგე იუნკერი ისკანდარაშვილი“ და შემდეგ ჩემ შეკითხვაზე დაუმატა: „მომზადნით ბატონო ჩქარა სამორიგეო ოთახში, მორიგე ოფიცერს თავს დაესხნენ ვიღაც კერძო პირები“-ო. — „კარგი“, ვუპასუხე მე და გავარდი ჩასაცემელად. სწრაფად ჩავიცვი შარვალი, ჩექმები, ტყავის კურტკა, დავიხურე ბოხობი, ყველაფერი ეს, რაც საუცბათოდ მომხვდა ხელში; ასეთი ჩაცმულობისათვის კინალამ არ მომკლა საკუთარმა ყარაულმა. ვსტაცე ხელი ჩემ სანადირო ყარაბინს, რომელიც განსაკუთრებით მიყვარდა და ვენდობოდი და რომელიც ყოველთვის მომზადებული მქონდა. ჯიბეში ჩავიდე ორი რევოლვერი და გამოვარდი აივანზე. იქ იუნკერი აღარ დამიხვდა, მაგრამ ამან არ შემაეჭვიანა, ვინაიდან მე ის ხმაზე გარკვევით ვიცანი.

ჩაცმის დროს გამიელვა აზრმა — ვინ უნდა დაგვცემოდა? და სხვა პასუხი ვერ მომენახა — თუ არა მცარცველნი, რომელთაც სურდათ ფულის ყუთის გატაცება, სადაც იმ დროს ინახებოდა რამოდენიმე მილიონი. დარწმუნებული, რომ შემოსავალთან სდგას მცარცველთა ავტომობილი, გადაუსწყვიტე ყველაზე ადრე ხელში ჩამეგდო შოფერი<sup>56</sup> და ამ მიზნით, მოედნიდან გავექანე ჭიშკრისაკენ.

როდესაც ჩემი ბინის სასადილო ოთახში გამოვდიოდი, საათი აჩვენებდა 12-ის 7 წუთს. ღამე იყო მთვარიანი. გამზადებული თოფით მივრბოდი ქვაფენილით ჭიშკრისაკენ; ერთბაშად კლასების დერეფანში მოედნიდან შემავალ ალაყათთან შევამჩნიე ორი ვინმე. ერთი სამხედრო ჩაცმულობით და მეორე შავებში; მივუახლოვდი

---

<sup>56</sup> შოფერი — მძღოლი

25 ფეხის ნაბიჯზე და ვიცანი სამხედრო ტანისამოსიანი — ეს იყო მეორე გუნდის უფროსი მაიორი ბალუაშვილი;<sup>57</sup> შავებში მეგონა რომელიმე ჩვენი დაქირავებული მოსამსახურე. ისინი დამშვიდებულად იდგნენ და მეც გადავსწყვიტე, რომ მთელი განგაში შეცდომითა და გაუგებრობით იყო გამოწვეული; ხუთი ნაბიჯის მანძილიდან შევეკითხე მაიორ ბალუაშვილს: - „სად არის მორიგე ოფიცერი!“ და მინდოდა მეთქვა — „რა მოხდა“, რომ გადავიყუდე თოფი მარჯვენა მხარზე და მშვიდად მივუახლოვდი მათ; 3-4 ფეხის ნაბიჯზე გავარდა რევოლვერი - ტყვიამ გაიწივლა ჩემს სახესთან. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მაიორი ბალუაშვილი დაჭერილია და შავებში ჩაცმული ბოლშევიკია.

ნასროლი ისე ახლოდან იყო, რომ ცეცხლმა თვალები დამიბნელა და მეც ვისროლე ალალ ბედზე, ცეცხლის მიმართულებით; კიდევ წუთი და შევხედე ეკლესიის მიმართულებით ქვაფენილზე გაქცეულ შავ ლანდს; ის განაგრძობდა სროლას, მაგრამ ძნელი სათქმელია — საით.

ეხლა იგი უკვე ჩემს ხელში იყო. ჩემი ყარაბინის მეორე გავარდნაზე, ის დაეცა. შემდეგ შემოვბრუნდი და მინდოდა მიმემართა მაიორ ბალუაშვილისათვის, მაგრამ მისი კვალიც არსად სჩანდა.

ვერც კი მოვასწარი შეემჩნია, თუ საით მიიმალა მაიორი ბალუაშვილი! შემდეგში იგი მარწმუნებდა: — როდესაც მათ უუახლოვდებოდი, თითქოს დამიძახა: „ბატონო ალექსანდრე, თავს უშველე“-ო. ამას კატეგორიულად უარვყოფ: პირიქით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ისე დამშვიდებულად და უმოძრაოდ იდგა, რომ ამ გარემოებამ მაიძულა თოფი მხარზე გადამედო და ასე გაუფრთხილებლივ მათ მივახლოვებოდი. ღამე სამარისებურად ჩემი იყო და არ შეიძლებოდა მისი დაყვირება არ გამეგო. თავის სასწრაფო წასვლას იგი იმით ამართლებდა, რომ გაბრუნდა თოფის

---

<sup>57</sup> აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ამ ეპიზოდში იგი სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მე-3 ასეულის მეთაურზე, მაიორ ანდრო ბალუაშვილზე საუბრობს. ნაცვალთა ბატალიონში მეორე ოფიცერიც მსახურობდა, გვარად ბალუაშვილი და იგი მართლაც მე-2 ასეულში ირიცხებოდა, მაგრამ მას სახელად ვარლამი ერქვა და მას არა ასეულის მეთაურის, არამედ ასეულის ოფიცრის თანამდებობა ეკავა.

მოსატანად, მაგრამ თოფითაც გამოჩნდა მაშინ, როდესაც ყველაფერი გათავებული იყო.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ იუნკერ ისკანდარაშვილს ეცნობებია მაიორ ბალუაშვილისათვის ყველაფერი და ისიც სამორიგეო ოთახისაკენ მიდიოდა, მაგრამ გზაში იქმნა ბოლშევიკების მიერ განიარაღებული.

მაიორი ბალუაშვილი რომ ველარ ვნახე, გამოვეშურე ქუჩის ჭიშკრისაკენ; აქ დღიურმა მომახსენა, რომ მას არავინ უნახავს და არც არავინ მოსულა ავტომობილით. შემოვედი მოსავალ კარებიდან ბაქანზე, სადაც გამოდიოდა გენ. კვინიტაძის ბინის კარები. ზემოთ, შემდეგ ბაქანზე, იგდა ჩვენი ყარაული ფულის ყუთთან. როგორც მერმე გამოირკვა, 1-2 წუთით ამის წინ აუტეხეს სროლა გენ. კვინიტაძეს. მე მის კარებს დავეუკაუნე, მაგრამ აღარ მომიცდია; ჩქარა ავირბინე ზევით, ფულის ყუთთან, ვინაიდან მაინც ვფიქრობდი, რომ მცარცველები იქ იყვნენ. როდესაც ნახევარი კიბე ავირბინე, მომესმა ყვირილი და მუქარა, რომ მესროდნენ. შევჩერდი. თავში აზრმა გამიელვა: — „- ჰაა“ „მაშ ისინი აქ არიან!“, მაგრამ როდესაც გავიგონე იუნკერ გეგეჭკორის<sup>58</sup> გაკვირვებული შეკითხვა: - „ბატონო პოლკოვნიკო, თქვენა ბრძანდებით?“, მაშინ მომაგონდა ჩემი ნაჩქარევი ჩაცმულობა, რომელმაც კინაღამ არ დამლუპა.

ვერც ყარაულიდან გავიგე რამე. გამოვეშურე სამორიგეო ოთახში, აქ შევამჩნიე უწესრიგობა: იატაკზე ეგდო ბალიში, ტელეფონი ჩამოწყვეტილი იყო. ოთახში აღარავინ. გადავსწყვიტე გავექცეულიყავ იუნკერთა გუნდში და საბოლოოდ გამომერკვია თუ რა ხდებოდა.

ჩამოვედი მისაღებ ოთახში; თოფი გამზადებული მქონდა. კლასების შესავალ კარებთან ბოლშევიკს შევეჩხე. ჩვენს შორის მანძილი იყო არა უმეტეს არშინ-ნახევრისა.<sup>59</sup> საჭირო იყო თავდაპირველად წამის მეთაღებში გამომერკვია - მტერია ეს თუ

<sup>58</sup> გეგეჭკორი — აქ ვალერიან გეგეჭკორზეა საუბარი, ქართული სამხედრო სკოლის ქვეითთა სპეციალობის იუნკერზე.

<sup>59</sup> არშინი — ძველებური რუსული სიგრძის საზომი საზომი, უდრიდა 16 ვერშოკს (71,12 სანტიმეტრს), იხმარებოდა საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ჩემიანი და შემდეგ გადამეწყვიტა, როგორ მოვექცეულიყავ. მე გარკვევით შევამჩნიე მის მარცხენა ხელში შიშველი ხმალი და მარჯვენაში, განზე გაშვერილი დიდი რევოლვერი; ყველაფერი მოხდა, როგორც იტყვიან, ელვის სისწრაფით. ჩემმა ხელებმა, ელექტრონის დენთან შეერთებულსავით, გამართეს თოფი წინ და რომ კონდახის მხარზე მიღებთ დრო არ დამეკარგა, ვესროლე პირდაპირ ხელებიდან. თოფის ტუჩი თითქმის მკერდზე მიეჭინა. ბოლშევიკმა მოასწო რევოლვერის ატანა სარტყელის სიმაღლემდე და სროლა.

ძნელი სათქმელია, რომელი ნასროლი იყო პირველი. მისი ტყვია ჩემი მარჯვენა ჯიბის სიმაღლეზე მიერჯო კარებს. ტყვია აღმოჩნდა მსკდომი; რევოლვერი — პანაბელუმი. იგი დაეცა პირდაპირ ჩემს ფეხებთან. მოვამზადე თოფი და მივაცქერდი დერეფნის სიღრმეს, უმთავრესად იუნკერთა გუნდში ასავალ კარებს. ამ დროს, უკანიდან მოიწვინა ჯარისკაცმა და მიაქცია ჩემი ყურადღება, რომ დაჭრილი ბოლშევიკი ჩემს მიმართულებით რევოლვერის აწევას სცდილობს — „ბატონო, სროლას აპირებს“-ო. სხვა გზა არ იყო. ყოველი წუთი ძვირად ღირდა და რევოლვერის წართმევაზე დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა, — ვესროლე მეორედ და ვუბრძანე აერთმიათ რევოლვერი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ შევხედე იუნკერთა სადგომისაკენ გაშვერილ თითს. ჯარისკაცი ჩუმად მანიშნებდა, რომ ვილაც მოდისო. მართლაც, შემომესმა აჩქარებული ფეხის ხმა და კარებს თოფი დაუმიზნე; წუთი და კარებიდან შემოვარდა კაპიტანი ქარუმიძე; მხოლოდ მონადირის სიტურთხილემ და თავშეკავებამ მომცა საშუალება ჯერ გამეზომა და მერე შემოქმედნა... კაპიტანი ქარუმიძე იყო უხმლო, ურევოლვერო და უქულო. მან შემატყობინა ბოლოს რაშიც იყო საქმე; მითხრა, რომ ოთხი ბოლშევიკი რევოლვერებით იუნკრებს ყარაულოზენ და დანარჩენები სადღაც წავიდნენ. თვითონ გამომძვრალიყო N4-ის ფანჯრიდან და საყარაულოში მოწვინდა... მას გადავეცი ერთი რევოლვერი და ვუჩვენე ხმალზე, შემდეგ, ყარაულებიდან გამოვიძახე ორი ჯარისკაცი და მათთან ერთად ავედი იუნკერთა გუნდის დერეფანში.

აქ შევხვდი სამ იუნკერს — კობიაშვილს<sup>60</sup>, ამირეჯიბს<sup>61</sup> და თოხაძეს<sup>62</sup>, რომლებიც აგრეთვე ფანჯრიდან გადმომძვრალიყვნენ. ორი ჯარისკაცი დავტოვე დერეფნის საყარაულოდ და იუნკრებით წავედი მე-3 გუნდში. იქ დავურივე იუნკრებს თოფები და ჩემი ჯიბიდან სამ-სამი ვაზნა.

მესამე გუნდში და ბატარეაში ყველას ეძინა და არაფერი არ იცოდნენ. შემოვბრუნდი იუნკერთა გუნდში და მინდოდა შუა ოთახის კარებთან მისვლა, რომ იუნკერ კობიაშვილმა მთხოვა დამეთმო მისთვის პირველი გასროლა; ამავე დროს, ვუბრძანე იუნკერ ამირეჯიბს, გადამძვრალიყო ისევ იუნკრებთან და იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკები ჩვენი სროლის შემდეგ, იუნკრებს სროლას აუტეხდნენ, ცეცხლი გაეხსნა. კობიაშვილმა დაიწყო კარებთან ფრთხილად მისვლა, მაგრამ ამ მომენტში შიგნით გავარდა თოფი. ამას მოჰყვა ჩქარ-ჩქარი სროლა. სინათლე ჩაჰქრა; შემდეგ ისევ ანთო. ეს ისროდა ამირეჯიბი. მას ბოლშევიკები უპასუხებდნენ.

ჩემთან მყოფ იუნკრებმა და ჯარისკაცებმა დაიწყეს სროლა დერეფნის სივრცეზე. თოფი მზად მქონდა კარებისაკენ მიმიზნებული, მაგრამ სასროლად არაფინა სჩანდა. ერთხელ გამოჰყო თავი ვილაცამ, მაგრამ სწრაფ დაიმალა. 15-20 წუთის შემდეგ, იუნკრები ყიჟინით შევარდნენ შუა ოთახში და ეცნენ თოფებს; სროლა გრძელდებოდა... მე ვფიქრობდი, რომ იუნკრებმა შერევეს ბოლშევიკები უკანასკნელ ოთახში და აწარმოებდნენ მათთან

---

<sup>60</sup> კობიაშვილი — სვიმონ (სიკო) ვლადიმერის ძე კობიაშვილი (1902-1976 წ.წ.), ქართველი სამხედრო მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის ქვეითი სპეციალობის იუნკერი, 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტია. გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში. პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, კაპიტანი, „იუნკერთა კავშირის“ (1928-1932 წ.წ.) წევრი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

<sup>61</sup> ამირეჯიბი — დიმიტრი ამირეჯიბი, ქართული სამხედრო სკოლის ქვეითი სპეციალობის იუნკერი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში, კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა სახეში.

<sup>62</sup> თოხაძე — ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე (1901-1975 წ.წ.), ქართველი სამხედრო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის სამხედრო სკოლის არტილერიის სპეციალობის იუნკერი. ირიცხებოდა იუნკერთა ბატალიონის საარტილერიო განყოფილებაზე. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტია. გაიგზავნა საფრანგეთში. საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის ოფიცერი, პოლკოვნიკი, „იუნკერთა კავშირის“ (1928-1932 წ.წ.) წევრი, ჟურნალ „მხედარი“-ს ავტორი-თანამშრომელი.

სროლას. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. შევედი შუა ოთახში და შევეკითხე იუნკერებს: — „სად არიან ბოლშევიკები?“ — „ყველანი დაეხოცეთ!“ — მიპასუხეს.

ღროს დაკარგვა შეუძლებელი იყო; იუნკერები მოედანზე გავიყვანე და ვუბრძანე დაწყობა. აქ შევხვდი კაპიტან ალავიძეს<sup>63</sup> და კაპ. არონიშიძეს. აქედან გავაგზავნე სამი მზვერავი ჯგუფი: პირველი კაპ. ალავიძის მეთაურობით - საყდარისაკენ, მეორე, კაპ. არონიშიძის მეთაურობით - ტყვიამფრქვევთა გუნდის სადგომისაკენ და მესამე - ომსერვატორიისაკენ. დანარჩენი იუნკერები კედელთან დავაყენე. ამ ღროს გენერალი კვინიტაძე გამოვიდა. არ გასულა ორი წუთი და კაპ. ალავიძის ჯგუფსა და ბოლშევიკებს შორის სროლა ასტყდა: ბოლშევიკები იმყოფებოდნენ პირველი გუნდის შესავალ კარებთან. მათი ტყვიები, სწორედ ჩვენს მიმართულებით მოდიოდნენ: იუნკერები გაიშალენ შარაში,<sup>64</sup> მაგრამ იუნკერი მაყაშვილი<sup>65</sup>, უფროსი, უკვე მძიმედ იყო დაჭრილი; მზვერავთა ჯგუფში დაიჭრა იუნკერი კვიციანი, ხელში;<sup>66</sup> იუნკერების მიერ მოკლულ იქმნა ერთი ბოლშევიკი, რომელსაც თავის ქალა

<sup>63</sup> ალავიძე — ალექსანდრე (სანდრო) ალავიძე (1891-?), ქართველი სამხედრო ოფიცერი, მაიორი. სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მე-2 ასეულის ოფიცერი. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე.

<sup>64</sup> შარა — ქვეითთა ხაზოვანი საბრძოლო წყობა.

<sup>65</sup> მაყაშვილი — მიხეილ მაყაშვილი — გენერალ-მაიორ სოლომონ მაყაშვილის ვაჟი. ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი. ჯერ კიდევ სამხედრო სკოლაში შესვლამდე, 19 წლისას სომხეთ-საქართველოს ომში გამოჩენილი მამაცობისთვის მიღებული ჰქონდა წმინდა გიორგის ჯვარი. 1920 წლის 2 მაისს, ქართულ სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკების თავდასხმისას, მძიმედ დაიჭრა და 21 წლის ასაკში დაიღუპა. იგი პირველი ქართველი იუნკერი იყო, ვინც რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების აგრესიას შეეწირა. უკვე 1921 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, მიხეილის ბიძაშვილი - ცნობილი ქართველი ლიტერატორისა და მწერლის, კონსტანტინე მაყაშვილის ქალიშვილი მარო მაყაშვილი დაიღუპა. მიხეილის ძმა იყო ზორის მაყაშვილი, ასევე სამხედრო სკოლის იუნკერი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში არ წასულა. ერთ-ერთი დაკითხვის დროს, მან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებელი სცემა, რისთვისაც მას სასტიკად გაუსწორდნენ, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

<sup>66</sup> კვიციანი — გრიგოლ სოლომონის ძე კვიციანი (?-1935), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის საინჟინრო ასეულის იუნკერი, 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, როტმისტრი.



ნახევრად მომძვრალი ჰქონდა; სჩანს იგი მოკლულ იქმნა ერთი მათგანისაგან, ვისაც მე ვაზნები მივეცი, ვინაიდან სრულიად შემთხვევით შინიდან წამომელო სანადირო მსკდომი ტყვიები.

ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა. გუნდებმა ჩაიხვეს. ვუბრძანე გუნდები მოედანზე გამოეყვანათ, ბატარეა შეებათ და ოფიცრებს კაცები დავეუბავნე.

აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკების უმთავრესი ჯგუფი მისულიყო 1-ლ, მე-2 და ტყვიამფრქვევთა გუნდებში. აქ ისინი აიძულებდნენ ჯარისკაცებს თოფები აეღოთ და მოედანზე გამოსულიყვნენ; თანაც მათვე აჯერებდნენ, რომ მთავრობა დაჭერილია, მთელი გვარდია ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა და სხვა ამდაგვარი. ჯარისკაცები საერთოდ ძალიან თავდაჭერილად შეხვდნენ მათ და აქტიურად არ გამოვიდნენ. როგორც შემდეგში გამოიჩვენა, მთელ ათასეულში აღმოჩნდა მხოლოდ 4-5 კაცი, რომლებიც მათ აშკარად თანაუგრძნობდნენ.

ბოლშევიკებს უნდოდათ დაეხვრიტათ კაპ. ჯათვარიძე, რომელმაც მოისაზრა იუნკრების გუნდიდან თავის გუნდში გაქცეულიყო, და პირველი გუნდის ზემდეგი, ორივე ჯარისკაცებმა გადაარჩინეს.

ბოლშევიკების გაქცევის დროს, ერთი მათგანი შეიპყრეს მე-2 გუნდში; წაართვეს რევოლვერი და დაამწყვდიეს; ერთიც შეპყრობილი იქმნა ქუჩაზე.

ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ქალაქში საერთო ბოლშევიკური გამოსვლა მოხდა, ვსთხოვე გენერალ კვინიტაძეს, გაეგო — თუ როგორ იყო საქმე ქალაქში და რა მდგომარეობაშია მთავრობა. ვუთხარი, რომ 5-10 წუთში შემიძლია გამოვიდე ათასეულით ქალაქში მისაშველებლად; მაგრამ ქალაქში ყველგან სიწყნარე იყო, რადგან ბოლშევიკებს განზრახული ჰქონდათ — პირველად ჩვენ გაგვსწორებოდნენ და შემდეგ მოეწყოთ ქალაქში საერთო გამოსვლა და რუსის ბოლშევიკების ყაზახის მხრიდან ჩვენს საზღვარზე თავდასხმა.

სწოლის დროს, რალაცნაირად, პირველი გუნდის მოედანზე მოხვდა მე-10 უბნის კომისარი ორი მილიციონერით; ესენი ბოლშევიკების მიერ განიარაღებული იქმნენ.

ორმა გვარდიელმა, რომლებიც ვაზნების საწყობს ჰყარაულობდენ, იარაღი დაჰყარეს და ბოლშევიკები საწყობში შეუშვეს; იგივე მოიმოქმედა 18 კაცისგან შემდგარმა გვარდიელების მთელმა ყარაულმა.<sup>67</sup>

რამოდენიმე ხნის შემდეგ, მოვიდა გვარდიის ჯავზნოსნები, გამოჩნდა ჯუღელი<sup>68</sup>, მაგრამ ყველაზე ადრე მოვიდა სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე.<sup>69</sup>

---

<sup>67</sup> საქმე იმაშია, რომ თბილისის სამხედრო სკოლის ტერიტორიზე იუნკერთა ბატალიონისა და ნაცვალთა ბატალიონის გარდა, სახალხო გვარდიის ცალკეული საბრძოლო და ტენიკური რაზმებიც იყვნენ განთავსებულნი. მიუხედავად სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის არაერთი დაპირებისა გენერალ კვინიტაძისადმი, გვარდიელთა სამხედრო სკოლის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, ისინი ბოლომდე დარჩნენ აქ.

<sup>68</sup> ჯუღელი — ვალიკო (ვალერიან) ანთიმოზის ძე ჯუღელი (1887-1924 წ.წ.), ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი და რევოლუციონერი, პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მემუარისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, იშვიათი სიმამაცისა და მებრძოლი სულის სამხედრო მოღვაწე. ამიერკავკასიის ფედერაციის წითელი გვარდიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შემქმნელი და მისი უცვლელი სარდალი. სახალხო გვარდია, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იყო შედგენილი და მასში ძირითადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ გაერთიანებული, ხშირად სამხედრო პროფესიონალიზმს უგულვებელჰყოფდა. ვალიკო ჯუღელსა და მის „პრეტორიანულ“ გვარდიას ძალაუფლების გადამეტებასა და თვითნებურ მოქმედებებში ხშირად სდებდნენ ბრალს, რასაც მაგალითად 1918 წლის ივნისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა შედეგად, რომელიც ამ პოსტზე ნოე ჟორდანიამ შეცვალა. როგორც თავდადებული სოციალ-დემოკრატი და რევოლუციონერი, იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ქართული დემოკრატიის შესანარჩუნებლად აქტიურად იბრძოდა. ვალიკო ჯუღელი იყო 1918-1921 წლებში წარმოებული ყველა დიდ-პატარა ბრძოლისა თუ ომის აქტიური მონაწილე, სადაც თავის მებრძოლებს პირადად აძლევდა იშვიათი სიმამაცის მაგალითებს. ასევე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს (დამკომი) წევრი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში წავიდა, თუმცა საქართველოში დაბრუნდა 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მოსამზადებლად. იგი პარტიულ თანამებრძოლებთან - ბენია ჩხიკვიშვილთან და ნოე ხომერიკთან ერთად, თბილისში ჩამოვიდა. 1924 წლის აჯანყების დაწყებამდე, ვალიკო ჯუღელი „ჩეკა“-მ დააპატიმრა და იმავე წლის აგვისტოში, აჯანყების სხვა მონაწილეებთან ერთად, დახვრიტეს. გამოცემული აქვს მოგონებები-დღიური „მძიმე ჯვარი“.

დაჭრილები გვარდიის საავადმყოფოში გავაგზავნეთ. თანდათანობით ყველაფერი დამშვიდდა. მეც ვუთხარი იუნკრებს: — „აბა წავიდეთ ეხლა თქვენი დახოცილების სანახავად“ და წავედით გუნდში. იქ არც ერთი მკვდარი არ იყო, მაგრამ სისხლის კვალი კი ვნახეთ. როგორც გამოიჩვენა, ორი მათგანი წყალსადენის მილით ქუჩაზე ჩაცოცებულყო; ეს დაენახა მეგზოვს და დღიურს, - დანარჩენი ორი კი გაჰქრა. მე მგონია, ისინი დაიძალენ ლოგინების ქვეშ და როცა ჩვენ წავედით მოედანზე, მაშინ თავისუფლად გაიპარენ.

ბევრი ვინანე, რატომ მაშინათვე სანახავად არ წავედი, — მკვდრები რომ არ დამხვდებოდენ; ყველას ლოგინებს ქვეშ აღმოვაჩინდი. მეორე ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მშვერავეები არ გავაგზავნე, უკანა ებოს და ბალის მოვლით მთავარმართებლის ქუჩაზე, რის შედეგად დაჭერილი ან მოკლული იქნებოდა კიდევ რამოდენიმე კაცი. თუმცა სრულებით მშვიდათ განვაგებდი, მაგრამ მაინც ძნელია ყველაფრის გათვალისწინება; უმთავრესი კი ის არის, რომ საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, რათა ბოლშევიკებს საშუალება წართმეოდათ ჯარისკაცები გამოეყვანათ და იუნკრებისათვის შეეტაკებინათ. მე სრულიად ნათლად წარმოდგენილი მქონდა, რომ მათი მიზანი სწორედ ეს იყო.

---

<sup>69</sup> სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე — გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937 წ.წ.), ცნობილი ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთსადა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. გამომცემელი, პუბლიცისტი, მწერალი და ესეისტი, საქართველოში გამომავალი გაზეთების: „ეკალი“-სა და „სოციალ-დემოკრატიული ფურცლის“ რედაქტორი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ბოლშევიკების შეურიგებელი კრიტიკოსი. 1918 წლიდან საქართველოშია და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას აგრძელებს. არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, შემდეგ განათლების მინისტრი, 1920 წელს სამხედრო მინისტრი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეა. მოწინააღმდეგეა 1921 წლის მარტში, ქუთაისში, ბოლშევიკებთან გამართულ მოლაპარაკებებში, სადაც ბოლომდე პრინციპული პოზიცია ეკავა. რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში არ წასულა. იგი საქართველოში დარჩა და ბოლშევიკების მისამართით კრიტიკულ წერილებს წერდა. პირადად იცნობდა სტალინს და ხშირად ეპაექრებოდა მას ოფიციალურ პრესაში. 1937 წელს დახვრიტეს.

15 საათზე მოვიდა ბატონი ნოე ჟორდანია<sup>70</sup> და სკოლას მადლობა გამოუცხადა. დღისით მოვიდა ჩემთან დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი მდივანი<sup>71</sup> და მთხოვა გამეცნო

<sup>70</sup> ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია (1868-1953 წ.წ.) (პარტიული ფსევდონიმები: „კოსტროვი“, „ანი“, „ნარი“, „ნარიძე“ და სხვა) — ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი, ამიერკავკასიას და საქართველოში პირველი მარქსისტული ჯგუფის „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი და მისი შეუცვლელი ხელმძღვანელი, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების თავმჯდომარე. პუბლიცისტი და ესეისტი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოების — ეროვნული საბჭოს (1917წ.) და დამფუძნებელი კრების (1919წ.) წევრი. 1918 წლის 24 ივლისიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეორე და უცვლელი თავმჯდომარე (ნოე რამიშვილის შემდეგ). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, პოლიტიკური ემიგრანტია. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1953 წელს. დაკრძალულია ლევილი ქართველთა სასაფლაოზე.

<sup>71</sup> მდივანი სვიმონ — სვიმონ გურგენის ძე მდივანი (1876-1937 წ.წ.), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სომხეთსა და ქემალისტურ თურქეთში. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კვოტით, დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე, იგივე ვიცე-სპიკერი). 1921 წლის დასაწყისში, ანგორის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად დანიშვნის შემდეგ, მუსტაფა ქემალ ფაშას (შემდგომში ათათურქი) მთავრობასთან მოლაპარაკებების დროს, იგი საქართველოს ინტერესების დასაცავად ძალისხმევას არ ზოგავდა. 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ვერაგული თავდასხმის შედეგად, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და სვიმონ მდივანი იძულებული გახდა ანგორიდან ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში, საფრანგეთში წასულიყო. ბედის ირონიით, იმ დროს, როცა სვიმონი ქემალისტურ თურქეთში საქართველოს წარმოადგენდა, მისი ძმა – ბოლშევიკი ბუდუ (პოლიკარპე) მდივანი იქვე, საბჭოთა საქართველოს ელჩი იყო. სვიმონ მდივანი ოკუპირებული სამშობლოს ინტერესებს იცავდა გენუის 1922 წლის კონფერენციაზე. ემიგრაციის წლებში, იგი თურქეთისა და საფრანგეთის გარდა, როგორც დიპლომატი, პოლონეთშიც მოღვაწეობდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სვიმონ მდივანი საქართველოს ეროვნული ინტერესების ერთგული და შეუპოვარი დამცველი იყო. მან მონაწილეობა მიიღო „კავკასიის კონფედერაციის პაქტის“ შედგენაში და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. იგი იდგა „პრომეთეისტული“ მოძრაობის სათავეებთან, იყო კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი და იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური გაერთიანების წევრი (ვარშავის „პრომეთეს კლუბი“, „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, „ხუთთა მეგობრობის კომიტეტი“). სვიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავასთან ერთად, უცხოეთში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერად ითვლებოდა. სვიმონ მდივანი 1937 წლის 13 დეკემბერს, საფრანგეთში, ქალაქ სოშოში გარდაიცვალა. დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე. მას დარჩა შესანიშნავი მეუღლე - ნელი (ელენე) ნაკაშიძე და შვილები: ირინე, ელისაბედი, ელენე და ნინო.

მისთვის, რაც მოხდა. 3 მაისს 12 საათზე, დაჭრილების სანახავად წავედი; ვნახე კივიანი და ველაპარაკე; საწყალი მაცაშვილი ცნობადაკარგული იყო და სადამო უამს გარდაიცვალა. ის დაჭრილი იყო მუცელში; შეიძლება ტყვია იყო მსკდომი. სამხედრო პირები მუდამ მზად უნდა ვიყოთ შეტაკების დროს მსხვერპლისათვის, მაგრამ ძვირფასი იუნკერის, მაცაშვილის დაკარგვამ ყველა დაგვალონა და ჩვენი გამარჯვების ზეიმი შეამცირა.

ამ შემთხვევის შემდეგ, სკოლა გაიზარდა მთელი საქართველოს თვალში; გამოაშუარავდა, რომ ოფიცრებს ჰქონდათ დიდი ზეგავლენა ჯარისკაცებზე და ბოლშევიკების აგიტაცია სრულიად დამარცხდა. საბედნიეროდ, ბევრი დარწმუნდა (ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს უნდა დაერწმუნებია), რომ სკოლაში აღზრდის საქმე სწორადაა დაყენებული, რომ ოფიცრებმა შეესძელით ჯარისკაცებთან დაახლოვება და აღვიჭურვით მათი ნდობით. მთელ ათასეულში, ბოლშევიკების შესაფერი პროპაგანდის შემდეგ, აღმოჩნდა მხოლოდ ოთხი-ხუთი კაცი მათი მომხრე.

რამოდენიმე დღის შემდეგ, საცოდავ ჩვენს მეგობარს ასათლავებდნენ. დაასათლავეს დიდი ამბით. ვშიშობდი, რომ ბოლშევიკებს შემთხვევით არ ესარგებლათ და პროცესის დროს არევე-დარევა არ გამოეწვიათ; ამიტომ იუნკრებს თან ჰქონდათ საბრძოლო ვაზნები.

ამგვარად, ბოლშევიკებმა სკოლა ხელთ ვერ ჩაიგდეს და ამის გამო, ქალაქში გამოსვლა ვეღარ გაბედეს. ეს იყო სამხედრო სკოლის დამსახურება. ამნაირად, მან გადაარჩინა მთავრობა და სამშობლოს გადატრიალება თავიდან ააშორა; მაგრამ თუ არა ვცდები, სამ მაისს საზღვარზე შეტაკებები დაიწყო; წითელ ხიდთან — ხრამზე <sup>72</sup> ბოლშევიკების ჯარებმა ჩვენი საზღვარი გადმოლახეს.

---

<sup>72</sup> მდ. ხრამი — მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი. ზემოწელში მას ქციას უწოდებენ. ხრამი სათავეს იღებს თრიალეთის ქედის კალთებზე, მიედინება ღრმა ხეობაში. მდინარის სიგრძე 201 კმ-ია, აუზის ფართობი - 8340 კვ.კმ, საზრდოობს უპირატესად თოვლით, არ იყინება, ქვემოწელში გამოიყენება სარწყავად.

გენერალ კვინიტაძემ სარდლობა აიღო; ფოილოს ხიდი<sup>73</sup> მტკვარზე აფეთქებულ იქმნა; ბოლშევიკების ჯარები გასდევნეს ჩვენი საზღვრიდან 15 ვერსის<sup>74</sup> მანძილზე და საქმე უკვე გათავებულად ითვლებოდა, როცა მთელი გვარდია, ღამით, რაღაც შიშის გამო, მტრის დაუდევნელად ერთბაშად ხრამზე აღმოჩნდა, ჩვენი საზღვრების უკან და ამგვარად, მტერს 20 ვერსის მანძილზე მოსცილდა.

ისევ საჭირო შეიქმნა ზომების მიღება და ახალი ჯარების მიშველება. გენ. კვინიტაძისაგან დანამდვილებით ვიცი, რომ გვარდიის შტაბი სამხედრო სკოლის ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდა. სკოლას უკვე უყურებდნენ, როგორც ღონიერს, მხედრული სულით განმტკიცებულ ერთეულს. ის ფრონტზე საჭირო შეიქმნა დასაყრდნობ წერტილად.

16 მაისს მივიღე ბრძანება, რომ სკოლა დატვირთულიყო მატარებელზე და სადგურ სადახლოსაკენ დაძრულიყო. სკოლაში ბრძანებას სიხარულით შეხვდნენ. 2 მაისის შემდეგ, ყველას ხელები ექავებოდა. ბრძანება მოვიდა 17 საათზე, მაგრამ კვირა დღე იყო და სკოლის შეკრება მხოლოდ 22 საათზე მოხერხდა. დავიტვირთეთ სამგზავროდ.

პატარას, მაგრამ მაგარ საბრძოლო ერთეულს წარმოადგენდა სკოლის რაზმი. მშვენიერი ათასეული 4 გუნდიდან შემდგარი, თავისი 8 ტყვიამფრქვევთა გუნდით, 2 სამთო და 2 საველე ზარბაზნიან ბატარეით და 25 კაციან ცხენოსანი მწყობრით.

იუნკრები მე დავნიშნე ათასეულში ნაცვლების ადგილზე, რადგან ჩვენ ჯერ არა გვყავდა კადრის ნაცვლები (ზემდეგების გარდა, რომლებიც დავტოვე თავის ადგილებზე და დავუმორჩილე მათ იუნკრები). ამ გარემოებამ მეტად გააკვირვა სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე და როდესაც სადახლოში სკოლას

---

ამჟამად მდინარე ხრამზე აგებულია წალკის წყალსაცავი და 3 ჰიდროელექტროსადგური. ხრამის შენაკადებია დებედა და მაშავერა.

<sup>73</sup> მდინარე მტკვარზე არსებული რკინიგზის ხიდი. იმ დროისათვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის არსებულ დე-ფაქტო საზღვარს სწორედ ფოილოს სარკინიგზო ხიდი წარმოადგენდა.

<sup>74</sup> ვერსი — სიგრძის საზომი ძველებური რუსული ერთეული; უდრიდა 1,06კმ-ს; იხმარებოდა საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ათვალიერებდა, მითხრა: — „გენერალ კვინიტაძემ გადმომცა, რომ თქვენ იუნკრები დაგინიშნავთ ჯარისკაცების უფროსებად გუნდებში; მერე როგორ არ გეშინიათ, რომ მოხდეს მათ შორის გაუგებრობა?“ მე ვუპასუხე სრულიად დანწმუნებით: — „კარგად ვიცნობ ამათაც და იმათაც: არაავითარი გაუგებრობა არ მოხდება და ამას ჩემ თავზე ვიღებ“. ეხლაც შემძლია დავადასტურო: 1 და 1/2 თვის განმავლობაში არც ერთ გაუგებრობას ადგილი არა ჰქონია. იუნკრები ძალიან მოხერხებულად დაუახლოვდნენ ჯარისკაცებს და მოიპოვეს მათი ნდობა. სჩანს, ჩვენი სამინისტრო ფიქრობდა, რომ ჩვენ ვზრდიდით არა ნამდვილ ქართველ ოფიცრებს, არამედ რაღაც საფრთხობელას.

სადახლოში მე დაგინიშნე მთელი საარმიო ჯგუფის უფროსად; ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა სამხედრო სკოლის გარდა: 1-ლი ქვეითი პოლკი, მე-7 პოლკი, მე-5 პოლკის ორი გუნდი და შემდეგ მთელი პოლკი. მაიორ მახარაძის<sup>75</sup> ბატარეა, მაიორ იოსელიანის ბატარეა და ცხენოსანი პოლკის ორი ესკადრიონი მაიორ დოლიძის უფროსობით. ძალა საგრძნობი შესდგა: მთელი არმიის სამი საუკეთესო ბატარეა 12 ზარბაზნით, ძალიან კარგი 1-ლი პოლკი, - სამხედრო სკოლაზე ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ ცოტა მოსუსტო და საეჭვო მე-7 პოლკი.

17 მაისს სადახლოში მივიღე საბრძოლო ოპერაციული ბრძანება. მეგრძანებოდა: — დავძრულიყავ კერპილზე, აქ გამეთენებინა ღამე და 18-ში დილით, გადავსულიყავ შეტევაზე ბოლშევიკების მარცხენა ფრთის შემოვლით.

სადახლოს სადგურზე სკოლამ გამართა სადილი. მოწვეულ იყვნენ მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრი და ნაწილის უფროსები. განწყობილება კარგი იყო.

15 საათზე გამოვედი სადახლოდან. უკვე ცხენზე ვიჯექი და ჩემს წინ გავატარე სამხედრო სკოლა, რომელიც წინამავალში იყო დანიშნული, რომ მოირბინა პოლკ. ნიკოლოზ გედევანიშვილმა<sup>76</sup>

<sup>75</sup> მახარაძე — სამხედრო მოღვაწე, მაიორი, არტილერისტი.

<sup>76</sup> ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი (1881-1937 წ.წ.) — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, გენერლების, ალექსანდრე და იოსებ გედევანიშვილების უმცროსი ძმა. საქართველოს

და გადმომცა მთავარსარდლის ბრძანება: „განსაკუთრებულ ბრძანებამდე შესრულებული არ იქმნეს საბრძოლო ბრძანება“.

ეს ფაქტი იყო, მაგრამ მას დიდი შედეგები ჰქონდა.

ამ მომენტიდან ბოლშევიკები გადარჩენილნი იყვნენ და საქართველო განწირული დასალუპავად... — ეს შეიძლება ისტორიულ დღედ ჩაითვალოს და მთავრობის განკარგულება — **საშინელ შეცდომად.**

მთავარსარდალი ტფილისს წავიდა. გლეჯდა იქაურობას, მაგრამ ვერაფერი გახდა. მთავრობა დასთანხმდა ბოლშევიკების წინადადებაზე — დაეწყოთ მოლაპარაკება.

საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკების ძალები იმ დროს სუსტნი იყვნენ, როგორც რიცხოვნობით, ისე ვარგისობითაც; ჩვენ გვექონდა სრული შესაძლებლობა არამც თუ ისინი დაგვემარცხებინა, არამედ სრულიად გაგვენადგურებინა.

ჩემი რაზმის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შემოვლით მოწინააღმდეგეს ფრთაზე მოქცეოდა და მტერი მტკვარზე მიეწინხა.

ვამბობ, რომ სამხედრო სკოლა ცხენოსანი დივიზიონით<sup>77</sup>, როგორც გაზომილი მქონდა, უკვე 19 მაისს გათენებისას, იქნებოდა მტრის ზურგში და არც ერთ კაცს არ გაუშვებდა ყაზახის ხიდზე.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ბოლშევიკები საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: სულ ჰქონდათ 8 ზარბაზანი ჩვენი 28 ზარბაზნის წინააღმდეგ; ამავე დროს, აზერბაიჯანელები ამზადებდნენ აჯანყებას ელიზავეტოპოლში<sup>78</sup>, რომელიც მართლაც

---

დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის კადრების განყოფილების უფროსის თანაშემწე, 1918 წელს ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენელი, 1919 წელს ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორისა და ქართული საჯარისო შენაერთის სარდლობის შტაბის უფროსი. საქართველოს 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. 1937 წელს რეპრესირებულ იქნა.

<sup>77</sup> დივიზიონი — საარტილერიო, საკავალერიო და სარაკეტო ჯარების პოლკებში, ბრიგადებსა და დივიზიონებში არსებული მუდმივი საჯარისო ფორმირება, ქვედანაყოფი ან სამხედრო ნაწილი. დივიზიონი შეესაბამება მოტომსროლელი და ქვეითი ჯარების ბატალიონს. ისევე როგორც ბატალიონი, დივიზიონი წარმოადგენს უმცირეს საჯარისო ნაწილს, რომელსაც გააჩნია შტაბი.

<sup>78</sup> ელიზავეტოპოლი — დღევანდელი აზერბაიჯანის ქალაქი განჯა (ყაზახის რეგიონი). ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად, აზერბაიჯანის



მოხდა; მაგრამ ჩვენ ჩვენი ზავით<sup>79</sup> ბოლშევიკები განვათავისუფლებთ და მათ აჯანყებაც ჩააქრეს... გენერალ კვინიტაძეს განხრახული ჰქონდა დაემარცხებინა ბოლშევიკები ყაზახის რაიონში, დაძრულიყო ელიზავეტოპოლზე და ფეხზე დაეყენებინა თათრები (იქ ემზადებოდა შიხლინსკის დივიზია<sup>80</sup>, შემდეგ წასულიყო ბაქოზე და გაერევა ბოლშევიკები აზერბაიჯანიდან. ყველაფერი ეს იყო მიზანშეწონილი და ადვილად განსახორციელებელი. ამას პირობებიც ხელს უწყობდა: იმ დროს აზერბაიჯანის ორი კარგი დივიზია სომხების ფრონტზე იყო და ჯერ კიდევ არა სცნობდა ბოლშევიკების ხელისუფლებას აზერბაიჯანში; ამავე დროს, რუსებს ომი ჰქონდათ პოლონელებთან<sup>81</sup>; ამ გეგმის განხორციელების

---

სიდიდით მეორე ქალაქი. განჯას ყოფილი სახელწოდებები იყო: ელიზავეტოპოლი — 1804-1920 წლებში, ამავე დროს - ამიერკავკასიის ერთ-ერთი საგუბერნიო ცენტრი, საბჭოთა პერიოდში, 1920-1935 წლებში — განჯა, ხოლო შემდეგ 1935-1991 წლებში — კიროვბადი (კიროვის ქალაქი), ცნობილი რუსი ბოლშევიკისა და რევოლუციონერის, სერგეი კოსტრიკოვ-კიროვის საპატივცემულოდ. „პერესტროიკის“ შემდეგ, ქალაქს კვლავ ძველი სახელწოდება - განჯა დაუბრუნდა.

<sup>79</sup> იგულისხმება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.

<sup>80</sup> დივიზია — სხვადასხვა სახეობისა და გვარობის ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ან ოპერატიულ-ტაქტიკური საჯარისო ფორმირება, რომელიც შედგება მმართველობითი ორგანოს, შტაბისა და სხვადასხვა ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. საორგანიზაციო-სამტატო განრიგით, როგორც წესი, დივიზიას მეთაურობს გენერალ-მაიორის (ორვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

<sup>81</sup> პოლონეთთან ომი — იგულისხმება პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომი (1919 წლის თებერვალი - 1921 წლის მარტი). შეიარაღებული კონფლიქტი ოთხ სახელმწიფოს შორის, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, სადაც ერთ მხარეს იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთი და უკრაინა, ხოლო მეორე მხარეს პოლონეთის მეორე რესპუბლიკა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკა. ომის მიზეზი იყო მოწინააღმდეგე მხარეების სურვილი გაეზარდათ ტერიტორიები და გავლენის სფეროები. პოლონეთი, რომლის სახელმწიფოებრიობაც XVIII საუკუნეში პოლონეთის დაყოფის შემდეგ, ვერსალის შეთანხმებით ახალი ადგილი იყო, იმ ტერიტორიების დაკანონებას მოითხოვდა, რომლებიც დაყოფის დროს დაკარგა. საბჭოთა რუსეთის მიზანს იმავე ტერიტორიების კონტროლი წარმოადგენდა, რომლებიც ამ დაყოფის შემდეგ, პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, რუსეთის მიზანს ასევე გერმანიის გასაბჭოება და რევოლუციის გავრცელება წარმოადგენდა. ახალი ტერიტორიული ექსპანსიის პროცესს საბჭოთა რუსეთი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ საფარქვეშ იწყებდა. პოლონელებმა გენერალ (შემდგომში მარშალი) იუზეფ პილსუდსკის მეთაურობით, მოახერხეს თავიანთი ქვეყნის დაცვა. 1920 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა რუსეთისათვის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე კრიტიკული ვითარება შეიქმნა. პოლონელებმა აღმოსავლეთისაკენ წარმატებით დაიწყეს სვლა, 1920 წლის 7 მაისს კი, პოლონეთისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის კოალიციურმა ძალებმა ბოლშევიკებისაგან კიევი გაათავისუფლეს და მდინარე დნეპრის აღმოსავლეთით 15 კილომეტრიანი პლაცდარმიც შექმნეს. გარდა ამისა, რუსებისათვის

შემდეგ, დიპლომატიის საშუალებით შეიძლებოდა შეჩერებულიყო ბოლშევიკების შემდეგი სამხედრო მოქმედებები; ბოლშევიკები დაცლებული იქნებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან დიდი მანძილით და თავიდან აგვეცილებოდა 1921 წლის ომი.

იმის მაგივრად, რომ ასე გვემოქმედნა, ჩვენ შევკარით ზავი და ბოლშევიკები გავიხადეთ ჩვენს მეზობლად; მივეცით შინაურ ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის საშუალება და ამგვარად, მოვამზადეთ 1921 წლის დამარცხება.

სამხედრო სკოლამ, როგორც რაზმში შემავალმა ნაწილმა, დაჰყო კერპილში და შემდეგ კალაჩაში ივნისის უკანაუნელ რიცხვებამდე. კერპილში ჩვენთან მოდიოდნენ სტუმრები, მოჰქონდათ საჩუქრები; მოეწყო კინემატოგრაფი; ჩამოვიდა აგრეთვე მთავარსარდალი ფრანგებთან ერთად. სკოლამ დაჰკარგა სამოსწავლო დრო, სამაგიეროდ გაატარა იგი ნამდვილ საბრძოლო მდგომარეობაში, გამოსცადა საომარი ცხოვრება და ერთ და იმავე დროს, პრაქტიკულად შეისწავლა საველე - საყარაულო სამსახური. ივლისის პირველ რიცხვებში ჩვენ დავბრუნდით ტფილისს.

არ გასულა ერთი სამოსწავლო კვირაც და ისევ კვირა დღეს, ისევ 16-ს რიცხვს (ივლისში), ჩემს ბინასთან მოვიდა მთავარსარდალის ავტომობილი. წამიყვანეს მუშტაიდის ბაღში; როდესაც ბაღში შევედი, ვხედავ გენერალი კვინიტაძე, გენ. ბაქარიაძე<sup>82</sup> და პოლკოვნიკი გედევანიშვილი მოსჯდომიან სუფრას და სადილს შეეცქევიან.

---

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამოქალაქო ომის ყირიმის ფრონტზეც, სადაც ბარონმა ვრანგელმა ყირიმიდან დესანტი გადმოსხა მდინარე დონის აუზში. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის პირველი ომის მსვლელობისას, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, ლენინის პირადი სასწრაფო ბრძანებით, რუსულმა მხარემ 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დამარცხების წინაშე მდგარი რუს ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმია გადარჩა. ეს დიპლომატიური აქტი საბუდისწერო აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის... 1921 წლის თებერვლამდე 10 თვე რჩებოდა...

<sup>82</sup> ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957წ.წ.) — ქართველი სამხედრო მოღვაწე, მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე. 1901 წელს შევიდა თბილისის ოფიცერთა სკოლაში, რომელიც 1903 წელს დაამთავრა. გაანაწილეს 79-ე ქვეით პოლკში. სამხედრო ნათლობა რუსეთ-იაპონიის ომში მიიღო,

მე სიცილით მივმართე გენ. კვინიტაძეს: „— აი, როგორი სამსახურისთვის მიბარებდა თურმე!“. „— ნუ ჩქარობ, ნუ ჩქარობ! როდესაც გაიგებ რაშია საქმე, აღარ გაგეცინება! იძულებული ვარ სკოლას დავაკისრო ყველა საბრძოლო მოქმედებაზე უძნელესი ამოცანა. ლაგოდებში აჯანყდა მე-ნ პოლკი; ამისათვის საჭიროა იქ წასვლა და რანაირადაც არ იყოს, მისი დაწყნარება და წესრიგის აღდგენა“.

ეს იყო ბოლშევიკებთან ჩვენი ზავის პირველი შედეგი! დიახ! დავალება მართლაც და სამჩუხარო და არასასიამოვნო!

საჩქაროდ გამოვბრუნდი სკოლაში და დავგზავნე იუნკრები და ჯარისკაცები სკოლის შესაკრებად. ისევ ღამით მოგვიხდა დატვირთვა, მაგრამ გამოცდილება უკვე გვექონდა და საქმე დაჩქარებით წავიდა.

ღამით უკვე მივეწოდით კახეთში. გზაში დავგეწია მთავარსარდალი. საღამოს მივალწიეთ განაპირა სადგურს — წნორის წყალს. აქ ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა

---

იბრძოდა 147-ე სამარის პოლკში. 1905 წლის 25 თებერვალს თავში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. გამოჩენილი თავდადებისათვის დააჯილდოვეს წმ. ანას IV ხარისხის ორდენით მამაცობისათვის. 1905 წლის ოქტომბერში პეტერბურგში მიავლინეს ახალწვეულთა აღსაზრდელად, თუმცა ცოტა ხანში თბილისში გადმოიყვანეს კურინსკის 79-ე პოლკში. 1907 წელს პორუჩიკის წოდებაზე წარადგინეს. 1909 წლის სექტემბერში ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1911 წელს შტაბის კაპიტნის ჩინით დაამთავრა. 1914 წლიდან კაპიტანია და კავკასიაში მსახურობს. იგი მე-3 კახაკთა დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებს. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. 1915 წელს ზანოსცას რაიონში ბრძოლისას მხარში დაიჭრა. 1915 წლის ოქტომბერში უკვე 27-ე კორპუსის შტაბის ოფიცერია პოდპოლკოვნიკის წოდებით, დეკემბერში კი — პოლკოვნიკი. 1917 წლიდან საქართველოშია, აქტიურად მონაწილეობს ქართული ეროვნული არმიის აღმშენებლობის საქმეში. დაინიშნა ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის შტაბის უფროსად. 1918 წელს სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობს. არის ქართული საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, საველე არმიის შტაბის უფროსი, გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი, სომხეთ-საქართველოს ომის სანაინის ფრონტის კურატორი. 1919 წლის 1 აგვისტოს ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსად და ენიჭება გენერლის წოდება. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. მსახურობს პოლონეთის არმიაში, აქვე იღებს პოლონეთის არმიის დივიზიის გენერლის წოდებას. გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის პოლონეთის კამპანიაში. 1939 წლის სექტემბერში პოლონეთში შეჭრილი გერმანიის არმიის სარდლობამ გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად“ გამოაცხადა. II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945-48 წლებში იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელების საოკუპაციო ზონაში, საბოლოოდ დასახლდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1957 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

გვარდიელების ათასეული. სადგურიდან ტელეფონით დაველაპარაკე გენ. სუმბათაშვილს<sup>83</sup>, რომელიც ლაგოდებში იმყოფებოდა. როგორც სჩანდა, მისი მდგომარეობა ბეჩავი იყო. წინადადებანი იყვნენ დამფრთხალნი და მოითხოვდნენ დაჩქარებულ მოქმედებას. ვაცნობე, რომ ბატარეის გადმოტვირთვისთანავე, სკოლა მყისვე ლაგოდებზე წამოვა-თქო. პატარა სადგურზე გადმოტვირთვა გაძნელებული იყო; ამის გამო, მხოლოდ დილის 6 საათზე მოხერხდა გამგზავრება.

ზაფხულის სიცხე იდგა; დასალევი წყალი არსად იყო; დაწყებული ალაზნის ხიდიდან, კოლოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ და მწარედ იკბინებოდნენ. სალამოს მივედით ილარიონოვკაში.

აქ მოვიდა ბრძანება — განიარაღებულ იქმნას მე-6 პოლკის მოდარაჯე გუნდი და შეპყრობილი პოლკის მთავარი აგიტატორები, რომლებიც გუნდში იმყოფებიან.

ღამე იყო ბნელი. გუნდი სავლელ სადარაჯოზე იდგა ტყიან ადგილას, საზღვარზე. ამის გამო, სკოლისათვის დაკისრებული ამოცანა, არც ისე ადვილი შესასრულებელი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ ორი აგიტატორი ჯარისკაცი ხელიდან არ გავგვსლეთოდა. დავალების შესასრულებლად მე-3 და სანაპირო გუნდები დავნიშნე. გამტარებლად იყო მე-6 პოლკის გუნდის უფროსი.

ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა. მთელ სავლელ საყარაულოზე ტყეში დანაწილებულ გუნდს ისე ჩუმად და მოხერხებულად შემოეხვიენ, რომ როდესაც ინათა, ჯარისკაცებმა

---

<sup>83</sup> სუმბათაშვილი — გრიგოლ ვასილის ძე სუმბათაშვილი (1882-1921 წ.წ.), სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919 წ.), წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი (1915 წ.), რუსეთ-იაპონიის, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1917 წლიდან პოლკოვნიკი და ცარიცინის 146-ე ქვეითი პოლკის მეთაურია. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მე-2 დივიზიის შტაბის უფროსია. როგორც საბრძოლო შენაერთის მეთაური, მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში, ასევე თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ ისლამისტთა საბრძოლო რაზმების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. უშუალოდ მისი შენაერთის მიერ 1919 წლის 20 აპრილს იქნა აღებული არტაანი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურის რანგში. 1921 წლიდან ემიგრაციაშია.

დაინახეს, რომ განშემოვლებულნი იყვნენ და დაჰყარეს იარაღი. აგიტატორებმა გაქცევა მოინდომეს, მაგრამ ყველა შეიპყრეს. მთავარსარდლის მოსვლისთვის დავალება უკვე შესრულებული იყო.

ლაგოდებზე სკოლის მოახლოვებამ ჯარისკაცებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თვითონვე დაასახელეს ყველა მეთაური; ამისათვის აღარ ვჩქარობდით და მხოლოდ ნასადილევის შევედით ლაგოდებში.

მთავარსარდალი ტფილისს დაბრუნდა და ბრძანა, — დასვენების შემდეგ, სკოლის ათასეულის უკან დაბრუნება... მაგრამ მას ყველა იმედით უცქეროდა;

გენ. სუმბათაშვილმა პირდაპირ განმიცხადა: „- განა მე სულელი ვარ სკოლა გაუშვა ჩემი ხელიდან?“ — ლაგოდებში დავრჩით 4 აგვისტომდე, საველე განაჩენის შესრულებამდე. ამ ხნის განმავლობაში საყარაულო სამსახურს ვეწეოდით. მთავარსარდლის მიერ სასწრაფოდ გამოწვეულნი, 4 აგვისტოს ტფილისს დავბრუნდით. იქ მდგომარეობა საშიში აღმოჩნდა, ვინაიდან ბოლშევიკები, ჩვენი მთავრობისაგან უკვე ლეგალურად აღიარებულნი, სკოლის ტფილისში არყოფნის დროს, ამჟამად მოქმედებდნენ.<sup>84</sup>

აგვისტოს პირველ ნახევარში მოხდა სკოლის კურსდამთავრებულ ნაცვლების პირველი გამოშვება. თუმცა, საბათვებლო მეცადინეობანი და უმთავრესად საველე სამსახურის პროგრამა ამ საში თვის განმავლობაში ხეტიალის დროს,

---

<sup>84</sup> 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგალიზებულ იქნა ბოლშევიკების ყოველგვარი საქმიანობა, რაც ძალიან მალე მომაკვდინებელი აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო — „საქართველო ვალდებულია იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური ორგანიზაციების უფლება თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ. კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობის უფლება და გამომცემლობის თავისუფლება, მათ შორის ბეჭდვითი ორგანოებისა. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოყენებული არავითარი რეპრესიები, არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ხასიათისა, არც კერძო პირების და არც ორგანიზაციების მიმართ, თუ ეს ეხება კომუნისტური პროგრამის სასარგებლო სახალხო პროპაგანდასა და აგიტაციას, ასევე მათ ქმედებებს, რომლებიც კომუნისტური პროგრამაზეა დაფუძნებული“.

შემოკლებულ იქმნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, ნაცვლები საკმაოდ მომზადებული იყვნენ, დისციპლინით აღჭურვილნი და განსწავლულნი არსებული წესების მიხედვით.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ჯარისათვის, სადაც სრულებით არ მოიპოვებოდნენ ნაცვლები, ისინი კარგები იყვნენ. უკანასკნელ ბრძანებაში, რომელიც სათითაოდ დაურიგდათ, მივეცით მათ დაწვრილებითი დარიგება, რის შემდეგ სკოლა დასტოვეს.

იუნკრები გადავიყვანეთ უფროს კურსზე და ზაფხულის შვეებულებაში გავეშვით. საზაფხულო მეცადინეობაში იუნკრებმაც ბევრი დაჰკარგეს: ტოპოგრაფიული მეცადინეობა სრულებით ვერ მოეწყო; საერთოდ მომზადების პრაქტიკული მხარე ძლიერ დაზიანდა; მაგრამ მაინც ნაცვალთა მწობრებში ყოფნის დროს, იუნკრებმა ბევრი შეიძინეს გამოცდილების მხრივ.

აღსანიშნავია, აგრეთვე ის გარემოება, რომ სკოლის ყოველნაირ ამ მოგზაურობას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ლაგოდებიდან ჩამოყვანა მუცლის სნება, რომელმაც ხელიდან გამოგვტაცა 12 ჯარისკაცი და 1 იუნკერი,<sup>85</sup> როდესაც ყველაფერი დაწყნარდა და თავის კალაპოტში ჩადგა, იუნკრების უმცროს კურსზე მეორე მიღებისათვის სამზადისს შევეუდექით.

1920 წელს, 1 სექტემბერს, იუნკრების უმცროს კურსისათვის სკოლაში მიღებულ იქმნა 90 კაცი. უფროსი კურსის იუნკრები განაწილდნენ იარაღთა სპეციალურ დარგებზე: 60 იუნკერი ქვეით განყოფილებაში, 15 საარტილერიოში, 10 საინჟინროში და 5 ცხენოსან განყოფილებაზე.

რუსული ჯარის მაგალითიდან გათვალისწინებული მქონდა ის მეტად საზიანო შედეგი, რომელიც მოაქვს სხვა და სხვა იარაღის დარგთა შორის ჩამოვარდნილ ანტაგონიზმს, - ამიტომ მიზნად დავისახე დამეხმო ეს ბოროტება ჩვენს სკოლაში, თუმცა იარაღისა და შეკავშირების სხვაობის გამო, საჭირო შეიქმნა გუნდში სპეციალისტების ცალკე ოთახებში მოთავსება, მაგრამ ვუბრძანე —

---

<sup>85</sup> საბრძოლო მივლინებაში ყოფნის დროს დაავადებული და გარდაცვლილი იუნკერის გვარი ბარნაბიშვილი იყო, რაც საარქივო დოკუმენტებით დასტურდება — საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 3.

წყობაში და სადილ-ვახშამზე იუნკრები სიმალის მიხედვით დაეყენებინათ. შვებულებში სპეციალისტები მიდიოდნენ მიკუთვნებული მოკაზმულობით (დებები, ხმალი და სხვა), მაგრამ სკოლის შიგნით კი, ყველაფერი უნდა მოეხსნათ.

დაუინებით მოვითხოვდი, რომ ოფიცრებს მუდმივ მოეგონებინათ ახალგაზრდებისათვის ანტაგონიზმის ზიანზე. სამწუხაროდ, ზოგიერთ ოფიცერს ვერ გაეგო ჩემი განზრახვა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ამ ზომებს იმით ხსნიდნენ, თითქო მე სპეციალისტები არ მიყვარდა. რა სისულელეა! რა გაუგებრობაა! ჩვენი მომავალი ჯარისათვის - ჩემს სანუკვარ ფიქრებსა და ზრახვებს ხსნიდენ ასე ზერელედ და დაუფიქრებლად. ჩვენი არტილერიის ოფიცრები აშუაზად ოპოზიციაში იდგნენ ჩემს წინააღმდეგ. ბატარეის უფროსს ძალიან ეჩოთიერებოდა ის გარემოება, რომ ის, ბატარეის უფროსი, ქვეითი ჯარის პოლკოვნიკს ექვემდებარებოდა. მე არასდროს ჩემს თავს ნებას არ ვაძლევდი საარტილერიო სპეციალურ საკითხებში ჩავრეოდი, მაგრამ როგორ უნდა დამყარდეს შინაგანი წესრიგი, როგორ უნდა აღიზარდოს ახალგაზრდობა და როგორ უნდა განმტკიცდეს მხედართა შორის მეკობრეული ურთიერთობა - ეს შემოძლია ბევრს ვასწავლო.

ჩვენი არტილერიის ოფიცრები იქამდე მივიდნენ, რომ შავს ყუთ-ყელურებსა და ყაითნიან გრეხილებს განზრახ არ იხსნიდნენ; თავს იმართლებდნენ ახალი ფორმის სიძვირით. გარკვევით იყო ნაჩვენები განკარგულებაში ყველასათვის ერთი და იგივე ფორმა - წითელი ყუთ-ყელურები და ყაითან გრეხილები. ასეთმა ფარულმა წინააღმდეგობამ საქმე მიიყვანა კაპ. ყარალაშვილის მძიმე დანაშაულობამდე.<sup>86</sup> ჩემი წერილობითი და სიტყვიერად განმეორებული ბრძანება არ შეასრულა და კიდევ ახილად განაცხადა უარი მის შესრულებაზე. ამის გამო, ჩემს მიერ იგი

---

<sup>86</sup> ღრმად პატივცემული ავტორი აქ ისევ მცირე უზუსტობას უშვებს. ავტორის მიერ ნახსენები საარტილერიო ბატარეის ოფიცრის გვარ-სახელი იყო, კაპიტანი გიორგი ყარალაშვილი და არა გიორგი ყარალაშვილი, რაც უტყუარი საარქივო დოკუმენტაციით დასტურდება. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 8-11.

დატყვევებულ იქმნა ქუჩაზე, სამსახურის შესრულების დროს (შესარცხვენად იცნო ბრძანება წასულიყო ცხენით წესრიგის დასაჭერად, ორი მოკლული ოფიცრის დამარხვაზე, რომელთაც ჩვენი სკოლის ლაფეტებით მოასვენებდენ). დიდ ხანს არ მიფიქრია, თუ რა უნდა მექნა კაპ. ყარალაშვილისათვის! გასამართლებით მას მოელოდა მძიმე სასჯელი. იმავე დღეს განვათავისუფლე და ოფიცრებში განვაცხადე, რომ ან უნდა გადავცე მისი საქმე სასამართლოს ან-და სრულებით უყურადღებოდ დავსტოვო, ვინაიდან სასაცილო იქნებოდა ერთი კვირით დაპატიმრება ასეთი დანაშაულისათვის; და საერთოდ არც ვსცნობ ოფიცრის დაპატიმრებას!! ასე მოვიქციე კიდევ და კიდევ ჩვენი ჯარის სარგებლობისათვის: მე არ შემეძლო დამეღუპა გამოჩენილი ახალგაზრდა ოფიცრის მომავალი! ის იყო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, როგორც ინსტრუქტორი და მომუშავე. ვიცი, აგრეთვე, ჩვენი არტილერისტები შესჩიოდენ ჩვენს არტილერისტ-გენერლებს. ერთხელ ერთმა მათგანმა მითხრა: „— რა არის, რომ თქვენ ასე შევიწროვებელი გყავთ არტილერისტები სკოლაში“-ო მე ვუპასუხე: — „მინდა შევქმნა ჯარისათვის ნამდვილი ქართული ტიპის არტილერისტი, რომელთაც უნდა იამაყონ არა შავი ხავერდის რუსული საყელურებით, არამედ თავისი საქმის ცოდნით, კარგი სროლით და გაჟღენთილი იყვნენ ერთი მეგობრული გრძნობით!“! საბედნიეროდ, რასაკვირველია, ყველა ასე არ უყურებდა საქმეს; როდესაც ამ ფაქტზე ვუამბობდი მაიორ მახარაძეს და მაიორ იოსელიანს, სრულებით დაეთანხმენ ჩემს შეხედულებას და სიცილი დაიწყეს თავის ამხანაგებზე.

ჩვენი სამხედრო სკოლის დათვალიერების დროს, აზერბაიჯანის ჯარის გენერალმა შიხლინსკიმ სთქვა: „იცით რა? მე ძალიან მომწონს ის, რომ ყველა დარგი ერთად გაქვთ შეკრებილი ერთ სკოლაში; აი, შენ საშუალება გაქვს მოსპო მათ შორის ანტაგონიზმი, რომელიც ყოფილ რუსულ ჯარს ღრღნიდა“-ო. გენერალი შიხლინსკი ხომ ძველი არტილერისტი იყო! დიდათ სამწუხარო იქნებოდა, თუ ჩვენ მომავალ სკოლაში ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება აქ ექნებოდა მიქცეული.



რომ მკითხველმა სხვანაირად არ გამოგოს, საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო: ჩვენი სკოლის არტილერიისტი იყვნენ გამოჩენილი ოფიცრები: — ბატარეის უფროსი ბახუტაშვილი, კაპ. ქარუმიძე, კაპ. ყარალაშვილი;<sup>87</sup> ესენი ბრწყინვალე ოფიცრები არიან; ომის დროს კიდევ დაამტკიცეს.

ზემო მოყვანილი საყვედურები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მისწრაფებით და სურვილით, რომ ქართველი არტილერიისტი რუსული არტილერიისტის ფანტაზიებისაგან განთავისუფლებული იქმნეს.

1-ლ ოქტომბერს გენ. კვინიტაძემ, მთავარსარდლის უფლების დატოვების შემდეგ, ჯარიც დასტოვა და სკოლაში დაბრუნება არ ისურვა. სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრონიკაშვილი<sup>88</sup>. გენ. ანდრონიკაშვილი იყო გენერალური შტაბის ოფიცერი, სამხედრო საქმის მცოდნე, მაგრამ მეტად რბილი და თაქიზი ხასიათის ადამიანი და არ შეეძლო გენ. კვინიტაძის მაგიერობა. მას არ შეეძლო ხელი შეეწყოს საქმისათვის და ებრუნა სკოლის გარეშე ისე, როგორც ამას გენ. კვინიტაძე შერებოდა; მისი ხასიათის სირბილე ყველგან იჩენდა თავს; უთმობდა ხშირად, უკანონო თხოვნებშიაც და ამ გარემოებამ თანდათანობით გავლენა მოახდინა სკოლის შინაურ ცხოვრებაზე. ჩვენ ამხანაგები ვიყავით

---

<sup>87</sup> იგულისხმება კაპიტანი გიორგი ყარაშვილი.

<sup>88</sup> გენერალი ანდრონიკაშვილი — ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი (1871-1923 წ.წ.), ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი 1917 წლიდან, რუსეთ-იაპონიის, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი, სამხედრო საბჭოს წევრი. 1920 წლიდან ქართული სამხედრო (იუნკერთა) სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში თბილისის დაცვის კოჯორ-ტაბახმელას ფრონტის უფროსი. მე-11 წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სამშობლო არ დაუტოვებია და ემიგრაციაში არ წასულა. 1922 წლიდან მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ (დამკომი) არსებული „სამხედრო ცენტრი“-ს ხელმძღვანელი. შეთქმულების გაცემის შედეგად, 1923 წლის მარტში ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრი“-ს სხვა წევრებთან ერთად (გენერლები კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები გოგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი და სხვები) გენერალი ანდრონიკაშვილი დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

კორპუსიდან და ამისთვის მეგობრულად ვეწეოდით სამსახურს სკოლაში.

1921 წლის თებერვალში დაინიშნა ახალგაზრდა ჯარისკაცების გაწვევა, 1-დან 15 თებერვლამდე.

შემკრებ პუნქტებზე სკოლიდან დაიგზავნენ ოფიცრები ახალგაზრდა ჯარისკაცების ასარჩევად. სკოლას უფლება ჰქონდა აერჩია ნაცვალთა ათასეულისათვის წერა-კითხვის მცოდნე და წარმოსადეგი ახალგაზრდები; აგრეთვე, მივიღე უფლება წამომეყვანა ტფილისიდან და ქუთაისიდან ყველა მემუსიკე-დამკვრელები, ვინაიდან სკოლა ეწეოდა საპატიო სამსახურს, ყოველგვარ შეხვედრებისა და გაცილების დროს; და საჭირო იყო კარგი ორკესტრი. 14 თებერვლამდე მოგროვდა 50 ძველი მემუსიკე-დამკვრელი და ჩვენი ერნესტო გიჯინი აღფრთოვანებით გაიძახოდა, რომ ეხლა მას შეუძლია აღადგინოს თავისი ძველი რეპერტუარი. მოდიოდნენ ახალგაზრდა ჯარისკაცებიც: ეტყობოდა ოფიცრებმა გარეგნობას მიაქციეს ყურადღება; ჯარისკაცები ერთი მეორეზე უკეთესი იყვნენ. გადავსწყვიტე დამენაწილებინა ისინი სიმალლის მიხედვით; ყველა მაღალი დაინიშნა პირველ გუნდში და სხვა. მოვიდა ოცი მოხევე; ყველა ლამაზი, შოლტივით ბიჭები, მოყვანილი და ვაჟკაცური გამომეტყველების: ყველა პირველ გუნდში დავნიშნე. ამ დროს, 1-ლ გუნდს უფროსობდა კაპ. ბალუაშვილი, რომელიც თავისი სიმალლით გუნდს არ შეეფერებოდა და ამიტომ შევსცვალე იგი; პირველი გუნდის უფროსად დავნიშნე მაიორი გარდაფხაძე; ნესტორი აღფრთოვანებული იყო თავისი ახალგაზრდებისაგან. ყველა ამოძრავდა, ყველა ემზადებოდა გაორკეცებული მუშაობისათვის.

მაგრამ მოხდა ის, რასაც გენ. კვინიტაძე წინდაწინ ამბობდა 1920 წელს. როდესაც შეგვაჩერეს ბორჩალოში და ნება არ მოგვცეს გაგვესრისა ბოლშევიკები და მათგან აზერბაიჯანი გაგვეწმინდა.

11 თებერვალს ღამით, ბოლშევიკების ჯარები, ქართულ<sup>89</sup> და სომხურ ბრბოებთან ერთად, თავს დაესხენ ჩვენს სანაპირო

---

<sup>89</sup> აქ ცოტა გაუგებარია რომელ „ქართულ ბრბოებზე“ საუბრობს ავტორი. 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით საქართველოს სამხრეთის საზღვრების სანაპიროს უბანზე შეტევა

სადარაჯოებს და რეგულარულ ნაწილებს, რომლებიც ჩვენი მთავარსარდლის, გენ. ოდიშელიძის<sup>90</sup> მიერ ასე უბედურად იყვნენ დაწყობილი და დაჯგუფებული ხეობებში.

ნოემბრის მოწვევის გადაღების შეცდომამ, ეხლა იჩინა თავი; რომ ნოემბერში მოწვევა გატარებულიყო, დღეს გვეყოლებოდა 25000 ახალგაზრდა მშვენიერი ჯარისკაცი და კიდევ 20000 ძველი მეზრძოლი. ამ ძალებით შეესძლებდით მტერი უკუ - გვეგდო. ამის მაგიერ, მტერმა მოგვასწრო აწეწილ და უნუგემო მდგომარეობაში. პოლკები მიდიოდნენ ფრონტზე, ახალგაზრდები კი მიჰყავდათ შტაბების ბინებზე, სადაც მხოლოდ უწესრიგობას ჰქმნიდნენ.

---

მიიტანეს ბოლშევიკური რუსეთის კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის ნაწილებმა, რომელთან ერთად იყვნენ აგრეთვე საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა აზერბაიჯანის საჯარისო ნაწილები. ამ შემთხვევაში, არავითარ „ქართულ ბრბოებზე“ არ შეიძლება იყოს საუბარი.

<sup>90</sup> ილია ოდიშელიძე (1865-1925წ.წ.) — ცნობილი ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და 1885 წელს სწავლა მოსკოვში ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. 1888 წელს 1-ლი ხარისხით დაამთავრა სასწავლებელი და პოდპორუჩიკის წოდებით 39-ე საარტილერიო ბრიგადაში გაიგზავნა. 1905 წელს პოლკოვნიკმა ოდიშელიძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე მთავარ და გადაწყვეტ ბრძოლაში მუკდენტან (19 თებერვალი-10 მარტი). იმავე წელს ილია ოდიშელიძე სამი ორდენით დაჯილდოვდა: წმინდა ანას III ხარისხის ხმლებითა და ბანტით, წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ხმლებითა და ბანტით, წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ხმლებით. 29 მარტს კი ოქროს იარაღი გადაეცა წარწერით "მამაცობისათვის". 1914 წლის 11 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტის წოდება ენიჭება და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე იგზავნება. 13 ოქტომბერს იგი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის შტაბის უფროსად ინიშნება. 23 დეკემბრიდან 1-ლი არმიის სარდალია. 1917 წლის 2 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდალად ინიშნება და საქართველოში ბრუნდება, გენერალი ოდიშელიძე იყო პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. 1919 წლის 1 მაისს მან კონფერენციაზე წარადგინა ივანე ჯავახიშვილთან ერთად შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. 1920 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად ინიშნება, სადაც იგი 1921 წლის 16 თებერვალს გენერალმა კვინიტამემ შეცვალა. 1921 წლის მარტიდან ილია ოდიშელიძემ დატოვა სამშობლო და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. იგი კონსტანტინოპოლში დარჩა და სხვათა მსგავსად საფრანგეთში აღარ წასულა. გარდაიცვალა იქვე, ზუსტი თარიღი და საფლავი უცნობია.

ახალგაზრდების მოსვლისთანავე, ვუბრძანე მათთვის საჩქაროდ ჩაეცვათ, შეეიარღვებინათ და სასწრაფოდ დაეწყათ მათი სროლაში მომზადება; ვგრძნობდი, რომ ბოლოს-და-ბოლოს ჩვენს დაგვიძახებდნენ და წავიდოდით ფრონტზე; ამას გარდა, ჩვენს ბოლშევიკებს კიდევ შეეძლოთ ქალაქში გამოსვლები მოეწყოთ.

დადგა საბედისწერო დღეები. მობილიზაციის გამოცხადებასთან ერთად, აღიძრა საკითხი უფროსი კურსის იუნკრების ოფიცრებად გამოშვების შესახებ, მაგრამ მოვლენები ისე ჩქარა იმლემოდა და მდომარეობა ისე შეიცვალა, რომ ესეც ვერ მოვასწარი. ეხლა კი ვიტყვი: - მადლობა ღმერთს, რომ ვერ მოვასწარი! სულიერად გატეხილ პოლკებში გაფანტული ჩვენი იუნკრები ვერავითარ საგრძნობ სარგებლიაობას ვერ მოიტანდნენ; ეხლა კი, როდესაც მშობლიურ სკოლასთან და თავის ოფიცრებთან ერთად გადაიტანეს ფრონტზე ყოფნის ძნელი პირობები, მიიღეს ძნელი, მაგრამ ქართული სკოლისათვის მარად საამაყო ბრძოლის გაკვეთილი. ახალგაზრდობამ ნათლად დაინახა, თუ რა შეუძლია კარგ ერთეულს გააკეთოს, სადაც სწორად არის საქმე დაყენებული და ღრმადაა გამჭდარი მეგობრული გრძნობები; ეს იქნება გზის მანათობელი ვარსკვლავი, მათი მომავალი სამსახურის დროს.

16 თებერვალ დილით, შიშისაგან დამფრთხალი, ხრამზე მდგომი, გვარდია ერთიანად უკან გამოიქცა, ჯერ სადგურ სანდარზე, შემდგომ ტფილისში. მე-2 საარმიო ბრიგადა<sup>91</sup> განადგურებულ იქმნა ხეობებში და ამგვარად, ფრონტი მოღიავებული და სრულიად გაწმენდილი იყო; რომ მტრის 1 ცხენოსან ბრიგადას ენერგიულად ედევნა, იმავე დღესვე შეეძლო

---

<sup>91</sup> ბრიგადა — ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ერთეული. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ბრიგადა, ისევე როგორც პოლკი, ძირითად საჯარისო ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად, დღევანდელ ქართულ არმიაში სწორედ ბრიგადა არის ძირითადი ოპერატიული დონის სამხედრო ერთეული. მას უკავია შუალედური მდგომარეობა პოლკსა და დივიზიას შორის, სტრუქტურულად კი, პოლკის ანალოგიურია. თუმცა, ბატალიონებისა და სხვა ქვედანაყოფების რაოდენობა ბრიგადაში უფრო მეტია, ვიდრე პოლკში. ეს საჯარისო ერთეული პირველად ფორმირებულ იქნა შვედეთის დიდი მეფის, გუსტავ ადოლფუსის მიერ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, ევროპაში მიმდინარე ოცდაათწლიანი ომის პერიოდში. სამტატო-საორგანიზაციო განრიგით, ბრიგადას, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის/ბრიგადის გენერლის (ერთვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

ტფილისში შემოვარდნილიყო, მაგრამ მტერმა არც კი იცოდა გვარდიის გამოქცევა და ორი დღე იდგა თავის პოზიციებზე.

მხოლოდ ესლა მოიგონეს ერთი ადამიანი, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველთვის მხოლოდ ასეთ წუთებში იგონებდნენ ხოლმე!

გენერალი ილია ოდიშელიძე გადაყენებულ იქმნა. მთავარსარდლად დანიშნეს გენერალი კვინიტაძე; თუმცა ყველა გამოცდილი მეომარისათვის აშკარა იყო, რომ ტფილისის საქმე უკვე წაგებულია, მაგრამ მაინც ამ დანიშვნამ ყველა აამოძრავა! იყო რაღაც განსაკუთრებული რწმენა ამ ადამიანისადმი! მას ყოველთვის თან ახლდა გამარჯვება რუსულ ჯარშიც კი.

საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა ომში გენერალი კვინიტაძე იღებდა სარდლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვების მიერ ყველაფერი გაფუჭებული იყო. ამის მიუხედავად, მან არ იცოდა, თუ რა არის დამარცხება (სომხეთის ომი<sup>92</sup>, ცხინვალის აჯანყების ჩაქრობა და ახლციხის ოპერაციები. 1920 წლის ომი ბოლშევიკებთან და ბოლოს 1921 წლის ომი). ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი ისტორიკოსი გენერალ კვინიტაძეს დაჰხატავს გამარჯვებულ სარდლად.

16 თებერვალ ფრონტი სრულიად შიშველი იყო — არც ერთი ნაწილი (გარდა ორი საპიორთა<sup>93</sup> მწყობრისა, რომლებმაც არ იცოდნენ გვარდიის გაქცევა და ორი დღე იდგნენ წითელ ხიდთან და ბოლშევიკებზე არ აწუხებდნენ), არ დარჩენილა ხრამზე, ტფილისის წინ.

ყველაფერი აირ-დაირია: დაისვა საკითხი ტფილისის ევაკუაციის შესახებ, მაგრამ სწორედ 18-ს მოვიდა ჩვენი გამარჯვების

---

<sup>92</sup> სომხებთან ომში გენ. კვინიტაძე იყო შტაბის უფროსად, მაგრამ მე თვითონ მომისმენია ვ. გოგუაძისაგან, რომ გენ. მაზნიაშვილი დადიოდა პოზიციებზე და თავისი ზურგით ათრევდა ვაზნებს, ოპერაციებს კი ხელმძღვანელობდა გენ. კვინიტაძე (ავტორის - ა. ჩხეიძის შენიშვნა). ავტორის ამ შენიშვნას ვეთანხმებით. სწორედ შულავერის ფრონტის სარდლობის შტაბის უფროსის, გენერალ კვინიტაძის მიერ შემუშავებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის წარმატებით აღსრულების შემდეგ გახდა იძულებული სომხური მხარე, რომ წამოსულიყო მოლაპარაკებებზე ქართულ მხარესთან და ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებისათვის.

<sup>93</sup> საპიორი — გამნაღმველი.

ამბავი და ქალაქში შემოიყვანეს 1500 ტყვე.<sup>94</sup> ეს იყო ამ ადამიანის უნარისა და მისდამი ნდობის შედეგი, მაგრამ მე მოგონებებმა გამიტაცა და შორს წაველ!.. საერთო ისტორიის დაწერა ჩემს გეგმაში არ შედის.

17-ს დილის 5 საათზე, მოვიდა ბრძანება: — სამხედრო სკოლა საჩქაროდ გამოვიდეს ტაბახმელას პოზიციებზე.

ჩემს განკარგულებაში იყო: — 136 ქვეითი იუნკერი, 15 არტილერიისტი, 10 საინჟინერო დარგელი და 5 ცხენოსანი. ახლადმოწვეულ ჯარისკაცებისაგან, რომელთაც მოასწრეს სასროლ მოედანზე წამყვადინება, შევადგინეთ 3 გუნდი, სულ - 350 კაცი. გავაწყვეთ 2 სამთო და 2 საველე ზარბაზნიანი ბატარეა; აქ დავნიშნე იუნკრები. შევადგინეთ 6 ტყვიამფრქვეველიანი გუნდი, აგრეთვე იუნკრების მონაწილეობით. ყველაფერი ეს 5-11 საათამდე იყო გაკეთებული.

დილიდან დაწყებული, მოედანზე არ შეწყვეტილა ცეკვა-თამაში და სიმღერა. განწყობილება იყო გრძნობა-აწეული და ხალისიანი. 11 საათზე და 30 წუთზე სკოლის რაზმი მოედანზე დაეწყო: — იუნკრების გუნდი 115-120 კაცი (10-12 ტყვიამფრქვევთან), 3 გუნდი ახალგაზრდა ჯარისკაცების, 4 ზარბაზნი და 6 ტყვიამფრქვევი. რაზმი ისე წავიდა ფრონტზე, რომ სრულებით არა ჰქონდა სალაშქრო ნივთები; არც თბილი ტანსაცმელი, არც თბილი წინდები; იუნკრები იყვნენ თხელ ფარაჯებში და ჯარისკაცები ნაბდის ფარაჯებში; ზამთარი კი იდგა ცივი.

თუ ტფილისის დატოვება მოგვიხდებოდა, ვფიქრობდი, - ნაბრძანები იქნებოდა პარტიზანული რაზმების შედგენა; ამის შესახებ მოველაპარაკე ნესტორ გარდაფხაძეს და ჩვენც გადავსწყვიტეთ სკოლის პარტიზანულ რაზმს სათავეში მოვქცეოდით. ამ მიზნით,

---

<sup>94</sup> აქ ავტორი საუბრობს რუსეთ-საართველოს 1921 წლის ომის თბილისის ბრძოლებსა და მისი დაცვის სოღანლულის ფრონტსა და მის სარდალზე, გენერალ მაზნიაშვილზე, სადაც 18 თებერვალს, გენერალ მაზნიაშვილის ფრონტის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მე-11 არმიის შენაერთების შემოტევა, გადავიდნენ კონტრიერშიზე, მტერს უკან დაახევინეს და ტყვეთა დიდი რაოდენობაც ჩაიგდეს ხელთ.

თან წავიღე ჩემი ყარაბინი, რომელსაც არაერთხელ გამოვეხსნივარ კატასტროფულ წუთებში.

დაახლოვებით 12 საათზე, გამოვედით ეზოდან და გავემართეთ რუსთაველის გამზირისაკენ; გზაზე და განსაკუთრებით რუსთაველის გამზირზე, საზოგადოება გვხვდებოდა მანიფესტაციებით და ოვაციებით: იძახდნენ ჩვენს გვარებს. გვისურვებდნენ გამარჯვებას. ვაშას ძახილი არ შეწყვეტილა მთელი გზის განმავლობაში. მე რამოდენჯერმე გადავაღვე თვალი ოუნკრებს, მივატყერდი მათ სახეებს: - გამომეტყველება ჰქონდათ ღრმა და ღინჯი; მათი გულისყური შეეპყრო ერთს საგანს; ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იქნება მხოლოდ ჩვეულებრივი ბრძოლა, არამედ ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლო. სამხედრო სკოლის განწყობილება ჰგავდა იმ კაცის განწყობილებას, რომელმაც გადასწყვიტა იათად არ გაჰყიდოს თავისი სიცოცხლე!

გზაზე დავეწიეთ და გავასწარით მე-4 პოლკის 2 გუნდს. ესენი მიდიოდნენ კოჭორზე პოზიციების დასაკავებლად.

დაახლოვებით 17 საათზე, მივედით ტაბახმელას დუქანთან, გბატკეცილზე. აქ დავგვხვდა დაწინაურებული გენ. ანდრონიკაშვილი და სთქვა: - რომ ეხლავე ოფიცერი (გვონებ პოლკ. გურამიშვილი) გვაჩვენებს პოზიციებსო.<sup>95</sup> ნაბრძანები იყო დავგვეკავებინა ძველი დანგრეული სანგრები, დაწყებული კოჭორიდან ტაბახმელაზე გავლით, ვიდრე თელეთის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე.<sup>96</sup> ეს შეადგენდა უკანასკნელ 8 ვერსის სიგანის ფორნტს.

<sup>95</sup> გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ამ მომენტისათვის კოჯორი-ტაბახმელას ფორნტის სარდლად დაინიშნა.

<sup>96</sup> თბილისის გარშემო, და განსაკუთრებით მის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიმეტრზე, 1921 წლის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა გარკვეული ფორტიფიკაციული ნაგებობების სისტემა. საქმე იმაშია, რომ თბილისი, როგორც ამიერკავკასიის რეგიონის ცენტრი და კავკასიის არმიის შტაბის დისლოკაციის ადგილი, რუსეთის იმპერიისათვის თავიდანვე წარმოადგენდა მაღალი ღირებულების მქონე სტრატეგიულ დასახლებულ პუნქტს. ამიტომ, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წლისათვის იგი საგანგებოდ იქნა მომზადებული მომავალი საომარი მოქმედებისათვის. კერძოდ, თბილისის გარეუბნის პერიმეტრზე, კოჯორი-ტაბახმელას უბანზე თავიდანვე იყო მომზადებული სანგრების სისტემა, რომლის დაგეგმვასა და მომზადებაში, როგორც კავკასიის არმიის გენერალ კვარტერმეისტერის ოფიცერი, ჩართული იყო პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე, შემდგომში ქართული არმიის მთავარსარდალი. ასე, რომ თბილისის გარშემო პერიმეტრი გამაგრებულ რაიონს

ადგილ-მიდამოები იყო დაღარული და დაწყვეტილი; აუარებელი ხეები და ხნამები, ტყით და ბუჩქნარით დაფარული; ყველაფერი ეს მართალია ჰქმნიდა მძიმე პირობებს, მაგრამ აუცილებელი იყო რამენაირად დაგვეფარა გაშიშვლებული ტფილისი.

ეს იყო ტფილისის უკანასკნელი პოზიცია.

იუნკრების პირველმა მწყობრმა ჩემი ბრძანებით დაიჭირა სანგარი №3; მე-2 მწყობრმა სანგარი №2; მე-3 და მე-4 მწყობრი დავსტოვე მაშველში (მარქათად),<sup>97</sup> ბალის ლაბორატორიუმთან. ახალგაზრდა ჯარისკაცების პირველმა გუნდმა დაიკავა სანგარი №4, №5 და №6. სანგრებისთვის გამოვყავი თითო-თითო ათეული. მე-2 მწყობრის უფროსმა გამოჰყო 7 იუნკერი და გაგზავნა №1 სანგარში. სანგრები №0 და №00 დაუკავებელი დარჩა. 4 ზარბაზანი დაყენებულ იქმნა გორაკის დაქანებაზე, ბალის წინ. დანარჩენი ნაწილები მოთავსებულ იქმნენ სანგრებში. 18-ს დილას 3 საათზე, ვებრძანე გამოეცვალათ ნაწილები სანგრებში. იუნკრების მე-3 მწყობრმა შესცვალა 1-ლი მწყობრი №3 სანგარში; მე-4 მწყობრმა შესცვალა მე-2 მწყობრი სანგარ №3-ში. ახალგაზრდა ჯარისკაცების 1-ლი გუნდი შესცვალა მე-2 გუნდმა.

ღამემ ჩაიარა მშვიდად. იდვა თოვლი; იყო სიცივე; ყინვა აღწევდა 8-9 გრადს<sup>98</sup>. სკოლის რაზმი იმყოფებოდა მეტად ძნელ პირობებში. დაბვერვამ ახლო-მახლო ვერაფერი აღმოაჩინა.

სამხედრო ისტორიაში გაუგონარი ამბავია! ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებმაც მხოლოდ 2 დღეა, რაც სამხედრო ფორმა ჩაიცვეს, ბრძოლაში იქმნენ გამოყვანილი; მაგრამ გამოაშკარავდა, რომ სკოლაში ჯანსაღი სული ტრიალებდა: იუნკერთა გუნდი იყო დასყრდნობი ქვა-კუთხედი: ოფიცრებმა, კადრის ნაცვლებმა, ბრწყინვალედ შესძლეს ახალგაზრდა ჯარისკაცებში სამხედრო სულის განმტკიცება და ათასეულიც აღმოჩნდა მაგარი, როგორც კირკიტი კაკალი. არც ერთ ნაწილს არ

---

წარმოადგენდა. სწორედ ეს სანგრები და შესაბამისი საბრძოლო პოზიციები დაიკავეს თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა და ნაცვალთა ბატალიონმა პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით.

<sup>97</sup> პოლკოვნიკი ჩხეიძე აქ ტაქტიკურ რეზერვზე საუბრობს.

<sup>98</sup> აქ ცელსიუსის გრადუსი იგულისხმება.



გამოუყვანია ახლად მოწვეული ჯარისკაცები, გარდა სამხედრო სკოლისა.

18 თებერვალს, დილით, გავიგეთ, რომ: — ბოლშევიკებმა მოიტანეს იერიშები სოღანლულზე<sup>99</sup>; გვარდიის ერთი ათასეული თოფ-გაუსროლელად გაიპარა თავის სანგრებიდან; გარღვეულ ალაგას შემოჭრნენ ბოლშევიკები; მდგომარეობა გართულდა. საბედნიეროდ, გვარდიის მეზობლად მდგომი საღარაჯო ათასეული მტკიცედ იზრძოდა თავის სანგრებში, რის გამოც ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ფრონტის გარღვევით ესარგებლათ და შეჩერდნენ. გათენებისას, ჩვენებმა განცვირფრებით შეაჩნიეს ხევებში ჩასაფრებული ბოლშევიკები; გადავიდნენ იერიშზე და ჯავშნოსანი მატარებელის დახმარებით ტყვეთ წაიყვანეს 1500 კაცი.

ეს იყო პირველი კვინიტადისებური საქმიანობა. გამარჯვების ხმა შორს გავარდა - ქალაქი ზეიმობდა...

ჩემი მარცხენა ფრთისა და გენერალ მაზნიაშვილის რაზმს შორის დიდი შუალედის გამო, 18 თებერვალს, დილით, მე გადავსწიე იუნკრების 1-ლი და მე-2 მწყობრი უფრო მარცხნივ, მონასტრის ზემოთ, მთის კალთებზე. იუნკერთა მე-3 და მე-4 მწყობრი, გამოვსცვალე ახალგაზრდა ჯარისკაცებით. ტფილისს ხალხი გავგზავნე ნაზდის ფეხსაცმელებისა და ქეჩების მოსატანად რაზმის საჭიროებისათვის.

ზევით საჭირო იყო აღმენიშნა, რომ სკოლის ორგანიზაციის წესდების მიხედვით, 17 თებერვალს მთავარსარდლის ბრძანებით მე დავინიშნე სკოლის უფროსად; გენ. ანდრონიკაშვილი კი

---

<sup>99</sup> სოღანლული — ფონიჭალა, უბანი თბილისში, კრწანისის რაიონში. ყოფილი სოფელი სოღანლულის ტერიტორიაზე. დასახლების ძველი სახელწოდებაა სოღანლული. „სოღანლული“ თურქული სიტყვაა, რაც ნიშნავს სახახვეს ან სახახვეთს. სოღანლულის ძველი ქართული სახელწოდებაა „გზისკარი“ და „ყურყუთა“. 1930-იან წლებში, სოფელ სოღანლულის მიმდებარე ტერიტორიები საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა დახვრეტის ადგილად იქცა. 1973 წლიდან, სოღანლულს ფონიჭალა ეწოდა. ადმინისტრაციულად შედიოდა გარდაბნის რაიონის შემადგენლობაში. 2006 წელს სოფელი ფონიჭალა თბილისს შეუერთდა. 1921 წლის თებერვლისათვის სოღანლულთან შეიქმნა ქალაქ თბილისის დაცვის კიდევ ერთი ფრონტი, რომელსაც მეორე ქვეითი დივიზიის ყოფილი მეთაური, 1920 წლის დეკემბრიდან კი, ქალაქ თბილისის კომენდანტი და თბილისის გამაგრებული რაიონის უფროსი, გენერალი მაზნიაშვილი სარდლობდა.

დაინიშნა მთელი ფრონტის უფროსად. ეს ფრონტი იწყებოდა თელეთის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიულ პუნქტ №430.2-დან კოჭორამდე, თვით კოჭორის ჩაყოლებით. მან მოაწყო თავისი შტაბი დუქანში, გბატკეცილზე.

დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. დღე-ღამეში ორჯერ ვცვლიდი სანგრებში მდგომ ნაწილებს. მხოლოდ იუნკრების ორი მწყობრი მუდამ მაშველში მყავდა (მარქათად) ყოველ შემთხვევისათვის. ახალგაზრდა ჯარისკაცების გასამავრებლად. ინჟენერებს (10 იუნკერი) დაეკისრათ კავშირის მოწყობა: ცხენოსნები ეწეოდნენ საკავშირო სამსახურს გენ. ანდრონიკაშვილის შტაბში; სამუშაო მათ ბევრი ჰქონდათ, ვინაიდან ფრონტი დიდი იყო და ტელეფონით კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი. 18-ს საღამოს ჩვენს პოზიციებზე ამოვიდნენ ნოე უორდანი, მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრი.<sup>100</sup>

#### 19 თებერვალი.

19 თებერვალს დილით №2 და №3 სანგრებში იმყოფებოდნენ იუნკრების მე-3 და მე-4 მწყობრი; სანგრები №4, №5 და №6 ეკავა ახალგაზრდა ჯარისკაცების მე-2 გუნდს. №1 სანგარში იყვნენ იუნკრები ტყვიამფრქვეველებით; მათ უფროსობდა ლეიტენანტი

<sup>100</sup> აქ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო სამხედრო მინისტრზე, ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძეზე საუბარი. ნიკოლოზ (პარმენ) გაბრიელის ძე ჭიჭინაძე (1873-1921წ.წ.) — ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი 1920 წლის ნოემბრიდან 1921 თებერვლამდე. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წევრი და მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში. 1911-1915 წლებში საქართველოდან გაასახლეს. 1917 წლის რევოლუციის საწყის ეტაპზე ჩაბმული იყო დონის როსტოვის მოვლენებში. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1918-1920 წლებში იგი შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის მოადგილე იყო და პერიოდულად მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. 1920 წელს ჭიჭინაძემ გრიგოლ ლორთქიფანიძე ჩაანაცვლა საქართველოს სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს, 19 თებერვალს, სამხედრო მინისტრი ჭიჭინაძე და დამფუძნებელი კრების წევრები ნოე ხომერიკი, გრიგოლ ურატაძე და გოგოლო ცინცაძე, ფრონტის დათვალიერებისას, ორ შეიარაღებულ წითელარმიელს გადააწყვედნენ, რომლებიც იქვე დაატყვევეს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მინისტრი ჭიჭინაძე საქართველოში დარჩა, იგი მთავრობის სხვა წევრების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა. იგი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მეტეხის ციხეში ტუსაღობისას დაავადდა და მალევე გარდაიცვალა. მის დაკრძალვას საქართველოში ერთ-ერთ პირველი ანტისაბჭოთა დემონსტრაცია მოჰყვა.

ერისთავი - მშვენიერი, მედგარი ოფიცერი.<sup>101</sup> საკვირველი მოვლენა იყო! ტაბახმელაზე ჩემთან მოვიდა 5 ოფიცერი ჩვენი მე-2 ბრიგადის, რომლის ნაწილები განადგურებულ იქმნა ბამბაკის ხეობაში და ითხოვეს ნებართვა ებრძოლათ სკოლის რიგებში! ესენი იყვნენ: ლეიტ. ქავთარაძე, არტილერისტი, ლეიტ. ერისთავი, ტყვიამფრქვევი, ლეიტ. სულუხია, უფროსი ლეიტ. ბარამიძე და ლეიტ. თავზერაძე. ამ მოვლენამ კიდევ გამოააშკარავა, თუ რა მალლა იდგა სკოლის ავტორიტეტი. კარგ ოფიცერებს გული კარგი ნაწილისაკენ უწევდათ. ცხადია, ისინი მე მივიღე...

დილით, დაახლოვებით 8 საათზე, მომივიდა ცნობა, რომ სოფელ ვაშლოვანისა და კუმისის წინ შემჩნეულია მტრის ქვეითი ჯარი. მალე გამოაშკარავდა მტრის შემოტევა ფართო ფრონტით ჩვენს სანგრებზე №№0, 1, 2, 3, 4 და 5. გამოვედი ჩვენი ბატარეის თვალმადევნ პუნქტზე და აქედან აღმოვაჩინე მტრის ერთი ნაწილის მოძრაობა ვაშლოვანიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით კოჭორზე; ჩვენი სანგრების პირდაპირ კი უკვე უტევდა საბრძოლო წყობაში გაშლილი მტრის ქვეითი ჯარი.

მაიორ ბახუტაშვილმა ასტეხა ცეცხლი მტრის მომავალ ნაწილზე და არივ-დარია იგი. ამის შემდეგ, ნაწილი მიემალა ბორცვებს და აღარსად სჩანდა.

მე წავედი ცხენით №4 სანგარში, სადაც იდგა ახალგაზრდა ჯარისკაცების მე-2 გუნდი: მაშველში იყო 1-ლი გუნდი, №4 სანგრებს უკვე უშენდა მტრის არტილერია. ჩამოვქვეითდი და გავიარე სანგრებში; ძალიან მაინტერესებდა ახალგაზრდა ჯარისკაცების სულისკვეთება; შთაბეჭდილება მივიღე პირდაპირ სასიხარულო! არავითარი შიში მათ სახეზე! გამომეტყველება ჰქონდათ გონიერი, თუმცა დაჭიმული, მაგრამ სრულიად მშვიდი; როდესაც კი ვინმეს რაიმე შევეკითხე, მოინდომა ფეხზე ადგომა. ძალაუვნებურად გავიფიქრე: — ეხ, ამაცადინე ესენი ერთი წელიწადი, მაშინ პირდაპირ ლომები იქნებიან!... სანგრებიდან მაშველ გუნდში

---

<sup>101</sup> აქ ქართული სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ახალგაზრდა ოფიცერზე, რაფიელ (რაფო) ერისთავზეა საუბარი, რომელიც სკოლის პირად შემადგენლობას ფრონტზე მისვლისას მიემატა.

გამოვედი. ამ მომენტში დაეცა ყუმბარა გუნდის მარცხენა ფრთაზე: განაპირა ჯარისკაცმა კონტუზია მიიღო და ერთივ დაიჭრა. მალე მეორე ყუმბარა დაეცა გუნდიდან 15 ნაბიჯის მანძილზე (გრანატები); პირდაპირ სავერველებზეა! არც ერთი ჯარისკაცი არ დაძრულა ადგილიდან, არც სხვანაირად როგორმე გამოუჩენიათ თავისი საშიში მდგომარეობა! მივუბრუნდი და ვუთხარი მაიორ შერვაშიძეს,<sup>102</sup> რომელიც თან მახლდა: - „ეხლა კი მაგათი ჯავრი აღარა მაქვს, ნამდვილი გმირები არიან!“.

შევჯექი ცხენზე და წამოვედი ბატარეაში. მივუახლოვედი ბატარეას 25 ნაბიჯზე და წინ მომეგებენ ჩვენი ოფიცრები: მაიორი ანანიაშვილი<sup>103</sup>, კაპ. მაჭავარიანი<sup>104</sup> და კაპ. შავდია<sup>105</sup>; მოვიდენ და დამიწყეს გამოკითხვა - თუ როგორ გრძნობენ თავს, როგორ გრძნობენ თავს იქ ჩვენი ახალგაზრდა ჯარისკაცები. კარგად მახსოვს, რომ ისინი ჩემი ცხენის მკერდთან იყვნენ შეჯგუფებული. მაიორ ანანიაშვილს მტრის მხრიდან უდგენ კაპ. მაჭავარიანი და კაპ. შავდია. სანგრებში №2 და №3 იყო ხანდაზმითი ცეცხლი. უეცრად მომესმა რაღაც მოწყვეტილი დარტყმა და მაიორი ანანიაშვილის ყრუ ამოძახილი: — უჰხ!“. მაიორ ანანიაშვილის სხეულმა, როგორც ელექტროს ჩქერდარტყმულმა, მიიღო იმ კაცის მდგომარეობა, რომელსაც მუცელში მოულოდნელი სიმძიმე მოხვდა — ერთბაშად გადაიღუნა წინ, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე

---

<sup>102</sup> აქ ქართველ ოფიცერზე, მაიორ ელიზბარ შერვაშიძეზეა საუბარი, რომელიც 1921 წლისათვის ქართული სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაური იყო. აქტიურად მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა და სამშობლოში დარჩა. 1937 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

<sup>103</sup> ანანიაშვილი — არჯევან ანანიაშვილი (?-1921), ქართველი სამხედრო ოფიცერი, მაიორი. ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულის მეთაური. დაიღუპა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, კოჯორი-ტაბახმელასთან ბრძოლაში. სამხედრო სკოლის პირადი შემადგენლობიდან ბრძოლაში დაღუპული პირველი სამხედრო მოსამსახურე.

<sup>104</sup> მაჭავარიანი — დავით (დათა) მაჭავარიანი (1893-1939 წ.წ.), ქართველი სამხედრო მოღვაწე, ქართული სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის 1-ლი ასეულის ოფიცერი. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი.

<sup>105</sup> მიხეილ შავდია — სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი. ქართული სამხედრო სკოლის ოფიცერი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიჭრა.

იდგა, თუმცა უკვე მკვდარი იყო. ოფიცრებმა სტაცეს ხელი და დაასვენეს გულალმა. არავითარი მოძრაობა! პენსნე ისევ ცხვირზე დარჩა. ტყვია მოხვდა მარჯვენა ძუძუსთან ახლოს და გაიარა გულში.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ განამტკიცა ჩემში რწმენა, რომ სიკვდილი ყოველთვის დანიშნულ დროზე მოდის და ამისათვის მართლაც არა ჰღირს მასზე ფიქრი. მაიორი ანანიაშვილი პირველად იყო ომში, რაც ძლიერ იშვიათი მოვლენაა ჩვენს დროში და მოკლულ იქმნა, არამც თუ პირველ დღეს, არამედ ბრძოლის დაწყების პირველ საათში. განა ეს არ არის ბედი?

მალე სოფელ შულავერთან, გზაზე, თამამად გამოჩნდა მტრის ცხენოსანი მწყობრი: მაიორმა ბახუტაშვილმა პირველივე ყუმბარა შიგ რაზმის შუაში ჩაავლო და ცხენოსან მწყობრიდან ასე რომ ვსთქვათ „ბურტყლი გაიფანტა“: ესეც ბედია! აბა სცადეთ 3-4 ვერსზე მოახვედროთ ცხენოსან მწყობრს პირველი ან მეორე ყუმბარა!

მოწინააღმდეგემ მოიყნოსა ჩვენი ბატარეა №2 და №3 სანგრებს უკან და დაიწყო ყუმბარებით მისი ძებნა. აქ მოხდა დიდი სერიო! ჩვენი ბარბაზნიდან 150 ნაბიჯზე მარჯვნივ და ცოტა წინ, პირდაპირ ბეჭზე, მიწიდან მალლა იყო ამოშვერილი სამიჯნე ქვა, რუქაზე №510-ით აღნიშნული: თვალით ის ალბათ გარკვევით მოსჩანდა მოწინააღმდეგის პოზიციებიდან და მტერმა მიიღო ჩვენი არტილერიის თვალმდევნ პუნქტად; მთელი ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგე დაუბოგავად გლეჯდა ყუმბარებით ამ ქვას და სრულიად გადათხარა ირგვლივ მიწა; მაგრამ ქვა გულადათ იდგა თავის ადგილზე. თითქო სამხედრო სკოლის სულის სიმტკიცის სიმბოლო ყოფილიყო.

დაახლოვებით 12 საათზე, მოწინააღმდეგის შემტევი ნაწილები მოუახლოვდნენ ჩვენს სანგრებს და იერიშზე გადმოვიდნენ; მაგრამ ორასი ფეხის ნაბიჯზე მათ შეეგება №1 სანგრიდან ტყვიამფრქვეველების ფრთული ცეცხლით აქამდე გაჩუმებული ლეიტ. ერისთავი; ერთ ადგილას დააღაგა 23 გვამი და შეტევა

მოგვრებულ იქმნა. იერიშის უკუგდებაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, იუნკრების მე-3 და მე-4 მწყობრმა, №2-3 სანგრებიდან.

დაიწყეს დაჭრილების მოყვანა. №1-დან და №5-მდე სანგრებზე არ შეწყვეტილა მტრის იერიშები მთელი დღის განმავლობაში. ცეცხლის გასაძლიერებლად საჭირო შეიქმნა კიდევ ერთი მწყობრის გაგზავნა. მაშველში დარჩა იუნკრების მხოლოდ ერთი პატარა მწყობრი. საერთო სულიერი განწყობილება კარგი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ 18-ს საღამოს მოვიდა და ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა მე-10 ათასეული, პოლკ. საგინაშვილის უფროსობით. ვინაიდან ჯარები მოდიოდნენ თანდათანობით და ფრონტი უკვე დაკავებული იყო, შეუძლებელი შეიქმნა მიმეცა მე-10 ათასეულისათვის საკუთარი უბანი; ამის გამო, მისი გუნდები ჩაყენებულ იქმნენ ფრონტის ღია ადგილებში და დაიკავეს №0 და №00 სანგრები. ერთი გუნდი ჩადგა მარცხენა ფრთაზე სანგარში №6.

დაახლოვებით 13 საათსა და 30 წუთზე, კოჯორის აღმოსავლეთ ნაპირზე გამოჩნდა ბოლშევიკების ძალა, ერთ ათასეულამდე; დაიკავეს სოფ. წავკისი და შარებით დაეშვნენ ძირს, სრულიად ჩვენი ზურგისაკენ, გენ. ანდრონიკაშვილის შტაბის მიმართულებით. დუქანი, სადაც შტაბი მოთავსებული იყო, მტრის ცეცხლის ქვეშ მოექცა. მდგომარეობა შეიქმნა კრიტიკული და დამაფიქრებელი.<sup>106</sup> როგორც აღმოჩნდა, კოჯორის დამცველი მე-4 ათასეულის გუნდები დამარცხებულ იქმნენ იმ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, რომელნიც თეთრი დუქნიდან უტევდნენ... მათთან მოქმედებდა, აგრეთვე ის ნაწილიც, რომელიც ჩემ მიერ შემჩნეული იყო დილით. მე-4 ათასეულის გუნდებმა დაიხიეს მამა-დავითის მთაზე და სრულიად გააღეს ჩვენს ზურგში მომავალი გზა. გენ.

---

<sup>106</sup> მოწინააღმდეგის მიერ წავკისისა და ტაბახმელას დაკავების შემთხვევაში, ქართული მხარისათვის ოპერატიული მდგომარეობა მეტად მძიმდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ძალები ქართულ პოზიციებს შემოუვლიდნენ გარს, მათი შემდგომი ალყაში მოქცევის მიზნით, და რაც მთავარია, მათი არტილერია უკვე შეძლებდა უშუალოდ თბილისის დაბომბვას დაკიდებული ტრაექტორიით, რასაც ქალაქში მოსალოდნელი პანიკა და ქართული მხარისათვის გაუთვალისწინებელი მოვლენები შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად. რა თქმა უნდა, ამის დაშვება არაფრით არ შეიძლებოდა.

ანდრონიკაშვილმა, როდესაც შეხედა შტაბის აუცილებელ დაღუპვას და მთელი რაზმის კრიტიკულ მდგომარეობას, სასწრაფოდ გამომიგზავნა შემდეგი შინაარსის სიტყვიერი ბრძანება იუნკერ მიქაძის<sup>107</sup> პირით:

„ბოლშევიკები ჩამოდიან კოჭორიდან ზურგში, შტაბი უკვე ცეცხლის ქვეშ იმყოფება; ამისათვის გენ. ანდრონიკაშვილი უბრძანებს სკოლას და მე-10 ათასეულს, დაიხიონ უკან“.

ჩემს შეკითხვაზე: — „საით ბრძანა გენერალმა უკან დახევა?“

— იუნკ. მიქაძემ მაჩვენა მარჯვენა ხელით ჩრდილოეთის მიმართულებით, მამა-დავითის<sup>108</sup> მთაზე. ბრძანების მიღების დროს, ჩემთან იყვნენ მაიორი გარდათხაძე და ვაპ. მაჭავარიანი. ჯერ კიდევ ბრძანებამდე კოჭორზე ვხედავდი ბოლშევიკურ ძალებს და კარგად შევათვასე ჩვენი მდგომარეობა. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა არამც თუ მართო ჩვენი რაზმისათვის, არამედ მთელი უმთავრესი მიზნისათვის — ტფილისისათვის.

ნაპოლეონობა არ იყო საჭირო იმის გამოსარკვევად, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე ბრძანებას ავასრულებდი, იმ საღამოსვე ტფილისი ბოლშევიკების მიერ იქნებოდა დაკავებული და ჩვენი ჯარების დიდი ნაწილი გზა-გადაჭრილი აღმოჩნდებოდა. დავიწყებდი თუ არა ჩემი ნაწილების ბრძოლიდან გამოყვანას და მტრის ფრთული და ზურგის ცეცხლის ქვეშ უკან დახევას, დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავ იმაში, რომ მამა-დავითის მთაზე მართო იუნკერებს მივიყვანდი; დანარჩენი ყველაფერი ერთმანეთში

<sup>107</sup> მიქაძე — სერგო მიქაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ქართული სამხედრო სკოლის საკავალერიო განყოფილების იუნკერი, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე. იგი მკავშირის ფუნქციას ასრულებდა ფრონტის სარდლის, გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბში.

<sup>108</sup> მამა-დავითის მთა — მამადავითის მთა ანუ მთაწმინდა. თბილისის ცენტრიდან დასავლეთით, თრიალეთის ქედის განშტოების სახით, თბილისთან არსებული მთა. მდებარეობს ზღვის დონიდან 770 მეტრზე. იგი თბილისისა და საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობაა. მის ფერდზე მდებარეობს წმინდა მამა დავითის (გარეჯელის) ეკლესია და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. მთაწმინდიდან მთელი თბილისის ხედი იშლება. მთაწმინდაზე ამჟამად საქართველოში უდიდესი დასასვენებელი პარკი და სატელევიზიო ანთა ფუნქციონირებს.

აირეოდა და ტფილისისაკენ თავევე დაეშვებოდა... ჩვენი უბნის დატოვების შემდეგ, ბოლშევიკები სწრაფად დაიკავებდნენ მას. ვინაიდან ამ დროს დაუინებით მოჰქონდათ ჩვენზე იერიშები; აშკარაა, მათ იცოდნენ კოჯორში გამარჯვების შესახებ და ჩვენი უბნის დაკავებითაც უნდოდათ ტფილისის ბედი გადაეწყვიტათ.

ყველაფერი ეს ნათლად მქონდა წარმოდგენილი და განცვიფრებული დავრჩი გენ. ანდრონიკაშვილმა თუ როგორ გადასწყვიტა ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

მოზღვავდა მწველი განცდები და ფიქრმა გამიტაცა. წარმოვიდგინე, რომ სამხედრო ისტორიკოსი ტფილისთან ბრძოლის აღწერის დროს დასწერს: — „კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლის რაზმმა დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამა-დავითის მთაზე, რის შედეგად ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შევარდნენ ტფილისში“...

არა!

ეს არ იქნება ისტორიაში ასე დაწერილი — გადავსწყვიტე. ფიქრები იცვლებოდა ელვის სისწრაფით...

მომავლად სამხედრო ისტორიიდან შემთხვევები, როდესაც ჯარის ნაწილები სწრაფდენ თავს არმიის დასახსნელად! მივუბრუნდი და დამშვიდებულად ვუთხარი მიქაძეს: — „გადაეცი გენერალს, რომ მე ამ ბრძანებას ვერ ავასრულებ და ეხლავე მოვალ მოსალაპარაკებლად“.

ნესტორ გარდაფხაძეს განუუცხადე, რომ არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევ!

როდესაც ჯერ კიდევ აღრე დავინახე შემოვლა,<sup>109</sup> მე არათფერი ზომები არ მიმიღია, რადგან შემოვლა იყო ჩემი უბანის გარეშე და ვფიქრობდი, გენ. ანდრონიკაშვილი თვითონ მიიღებდა ზომებს. უფლება არა მქონდა იქ ჩაგრეულიყავ! ეხლა კი გადავსწყვიტე ვიმოქმედო!

ვუბრძანე მაიორ ბახუტაშვილს, მოაბრუნოს საველე ბარბაზნები უკან და გახსნას ცეცხლი; გარდა ამისა, ვუბრძანე კაპ.

---

<sup>109</sup> აქ ავტორი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ფლანგურ მანევრზე და მისგან მომდინარე საფრთხეზე საუბრობს.



ქარუმიძეს, ჩამოაგოროს სამთო ზარბაზნები ზევიდან და დააყენოს ბალის და სოფელ ტაბახმელას შუა. თვითონ კი წავედი გენ. ანდრონიკაშვილთან. რაღაც ეშმაკის სიმშვიდემ შემიაპყრო! ფიქრი სრბოლას განაგრძობდა... მომაგონდა შემთხვევა ოსმალეთის ომიდან, ბაიაზეთის<sup>110</sup> სიმაგრეში...

თვალწინ წარმომიდგენ ერეკლე II-ის გმირები, რომელნიც კრწანისის ბრძოლის<sup>111</sup> დროს, ტაბახმელას ქვემოთ, ტფილისზე მიმავალ გზას იცავდნენ და იქ დაწვა ყველა!

როგორ?

განა თავისუფალი საქართველოს იუნკრები ან უნდა გაუსწორდნენ თავის წინაპრებს ვაჟკაცობაში?

ფიქრები იცვლებოდა განსაცვიფრებელი სიჩქარით; მხოლოდ ერთი უფრო ხშირად და ხშირად მიბრუნდებოდა: — ვნახოთ და გენ. ანდრონიკაშვილი დაიჟინებს თავისას და რადგან მე გადაწყვეტილი მაქვს უკან არ დავიხიო, მიბრძანებს უფროსობა სხვას გადავცე? მაშინ რა?

მაშინ...

მე აქ არ მინდა მოვიხსენიო ის, რაც იძულებულია ზოგჯერ ომში ჩაიდინოს უაღრესი დისციპლინით აღჭურვილმა ოფიცერმა! წარმომიდგინეთ, ერთგვარ სულიერ შემსუბუქებასაც ვგრძნობდი! თვალწინ მეხატებოდა სურათი, თუ როგორ იბრძვის უკანასკნელ აღსასრულამდე სამხედრო სკოლა გორაკზე, ან და ვინ იყის, და

---

<sup>110</sup> ბაიაზეთის სიმაგრე — ივლისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძემ (1786-1846 წ.წ.) და მისმა რაზმმა თავგანწირული ტაქტიკური მანევრით ბაიაზეთის ციხე-სიმაგრე აიღო.

<sup>111</sup> კრწანისის ბრძოლა — 1795 წლის სექტემბერში გამართული ბრძოლა ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან, კრწანისის ველზე. სპარსეთის მმართველმა, ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა მოსთხოვა, რასაც ერეკლე მეორემ უარით უპასუხა. ყოველივე ამას 1795 წლის სექტემბერში სპარსელთა ლაშქრის საქართველოში შემოჭრა და კრწანისის ბრძოლა მოჰყვა შედეგად. რიცხოზრივად მრავალჯერ აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. სპარსელებმა თბილისი ჯერ გამარცხეს, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს, მრავალი ათასი მცხოვრები ტყვედ წაიყვანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისაგან დაიღუპა. ქართლის სოფლებს სპარს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ. კრწანისის ბრძოლამ დიდი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს.

ბოლოს, ბაღშიც, მტრის მიერ გარშემორტყმული... თუ ტფილისს ვერ გადავარჩენდით, ეს თავგანწირვა ხომ მაინც სარგებლობას მოუტანს მომავალ ახალგაზრდობის აღზრდას და სკოლის პატივს იხსნის. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ სამხედრო სკოლა ყოფილიყო ტფილისის დაღუპვის მიზეზი...

საშინელია ამის წარმოდგენაც კი!

მივედი შტაბში და აივანზე შევხვდი გენ. ანდრონიკაშვილს; გენერალი სრულიად დამშვიდებული იყო.

უნდა ვაღიარო, რომ მე სრულებით არ ვაპირებ ბრალი დავსდვა გენ. ანდრონიკაშვილს სულმოკლეობაში.

არასოდეს!

საერთოდ, გენერალ ანდრონიკაშვილს თავი ეჭინა მეტად მშვიდად და განაგებდა საზრიანად. მის გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს ფსიქოლოგიური ახსნა. ის იმყოფებოდა თავის შტაბში და ვერ ხედავდა უშუალოდ ჯარებს, ვერ გრძნობდა სკოლის გამობრძმედილ მებრძოლ სულს და როგორც ზუნებით ლბილი ადამიანი, ვერ პოულობდა თავის არსებაში იმდენ ნებისყოფას, რომ მოეთხოვა თავისი ჯარებისათვის, უეჭველი დაღუპვის მიუხედავად, დამდგარიყვენ და დაღუპულიყვენ.

ცნობილია, რამდენადაც ზურგი ფრონტს მოპორებულა, იმდენად შთაბეჭდილება უფრო ძლიერია.

ჩვენს შორის შემდეგი ლაპარაკი მოხდა: -

— რა ბრძანება გამომიგზავნე შენ?

— მაშ რა ვქნათ, ხედავ? ისინი ზურგში არიან!<sup>112</sup>

— მაგრამ თუ მე დავიხიე, ტფილისი ხომ დაიღუპება დღესვე?

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— იცის თუ არა მთავარსარდალმა შენი გადაწყვეტილების შესახებ?

— არა!

— მაშ როგორ გადადგი ასეთი ნაბიჯი? მე არ შემიძლია ეს შევასრულო! გავაკეთებ, რაც შესაძლებელია, მივიღებ ბომებს, მაგრამ პოზიციიდან დახევა მე არ შემიძლია!

---

<sup>112</sup> იგულისხმება ბოლშევიკების ჯარი.

— ჩემო კარგო, თუ შენ ხედავ გამოსავალს, იმოქმედე ჩქარა და დიდი მადლობელი ვიქნები!

— მე მივდივარ! — ვუპასუხე და მოვაბრუნე ცხენი ბალისაკენ, აქედან გამოვიყვანე იუნკერთა მე-2 მწყობრი, რომელსაც იმ დროს ოფიცერი ან ჰყავდა და წავედი შენობისაკენ ოფიცერის დასანიშნავად; ამ დროს, სახლიდან გადმოხტა და წინ შემომეგება კაპ. თოიძე<sup>113</sup>, ინჟინერი.

დავეუჭირე ხელი, ვაჩვენე და ავუხსენი მდგომარეობა და გავაგზავნე მწყობრით დუქნისაკენ. ზარბაზნებს ვუბრძანე ცეცხლი აეჩქარებინათ; ნესტორ გარდაფხაძეს ვუბრძანე, მოეხსნა სანგრებიდან და დუქანთან მოეყვანა ახალგაზრდა ჯარისკაცების 1-ლი გუნდი. ამას გარდა, მოხერხდა გამოგვეყო მე-10 ათასეულიდან ნახევარი გუნდი, რომელსაც უფროსობდა იმავე ათასეულის კაპიტანი ქარუმიძე. გამოჩენილი და გულადი ოფიცერი.

ნათლად მქონდა წარმოდგენილი, რომ ეს ნაწილები ვერ შესძლებენ კოჯორიდან ბოლშევიკების გამოყრას, მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, რომ ვერც ბოლშევიკები იგრძნობდნენ თავს გამარჯვებულად.

მოწინააღმდეგის ზურგში შემოვლა და იქ მოქმედება, როდესაც ფრონტი მაგრად სდგას, არც ისე იოლია, — სახიფათოა და განწირული. ეს მათი მერყეობა და გაუბედაობა, მაშინვე თვალში მეცა და დამებადა იმედის ნაპერწკალი, რომ ჩვენი, თუმცა სუსტი კონტრ-იერიშები მოწინააღმდეგეს შეაჩერებს.

ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ ეს იყო საჭირო.

გენ. ანდრონიკაშვილს ვსთხოვე, საჩქაროდ მთავარ-სარდლისათვის ეცნობებინა.

---

<sup>113</sup> თოიძე — ირაკლი თოიძე (1898-1921წ.წ.) — ქართველი სამხედრო ოფიცერი, კაპიტანი. 1918-1920 წლებში მსახურობდა თბილისის მესანგრეთა ბატალიონში და მონაწილეობას იღებდა ყველა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყველა საომარ კამპანიაში. 1920 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულის საინჟინრო საქმისა და საჯარისო სამსახურის ინსტრუქტორად. 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ტაბახმელასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

იერიში დაიძრა! ნახევარი გუნდი წავიდა მარჯვნივ, იუნკრები - მარცხნივ. ნახევარი გუნდის იერიში რამოდენიმედ დაფარული იყო ბორცვებით. იუნკრები კი უტევდნენ სუფთა თოვლით დაფენილ ღია ადგილებზე.

დიდებული და ლამაზი სურათი იყო! არც ერთხელ არ დაწოლილან ისე გაიარეს ცეცხლის ქვეშ 1 და 1/2 ვერსი.

ეს მორალური დანტყმა ბოლშევიკებისათვის ცეცხლზე ძლიერი იყო!

მიუახლოვდნენ 100-120 ნაბიჯზე და გახსნეს ცეცხლი, მაგრამ უბედურება არ გვტოვებდა ჩვენ! მე-10 ათასეულის ნახევარ გუნდში მოკლულ იქმნა კაპ. ქარუმიძე; იუნკრების მწყობრში მოჰკლეს კაპ. თოიძე. ნახევარმა გუნდმა დაიწია უკან, მაგრამ შემდეგ გასწორდა და შეჩერდა. ბოლშევიკები გადმოვიდნენ ხიშტით იერიშზე ერთ - მუჭა იუნკრების წინააღმდეგ (სულ იყო 23 იუნკერი). იუნკრებმა დაიწიეს უკან, მოიმარჯვეს ადგილი და შეეგებნენ ცეცხლით! ჩვენმა ზარბაზნებმა გაახშირეს სროლა. ბოლშევიკები გაიქცნენ უკან თავიანთ თოვლის სანგრებში.

ჩვენი არტილერიის მარჯვე ცეცხლმა (პირდაპირი დამიზნებით)<sup>114</sup> და გმირულ კონტრ-იერიშის მორალურმა დანტყმამ მტერი ადგილებზე მიაჭედა!

ჩვენ უკვე გადაარჩენილი ვიყავით!

ვინც ხედავდა ამ იერიშს, მხოლოდ ის გაიგებს, თუ რა შეუძლია გააკეთონ ერთ მუჭა თავგანწირულ ჯარისკაცებმა!

ამ დროს, მოვიდა მთავარსარდლის ტელეფონოგრამა: — გამაგრდით, როგორც არ უნდა იყოს, ვიღებ ყოველ ზომას. მართლაც, გენ. კვინიტაძემ ჩვეულებრივი ენერგიით მოაწყო შველა.

---

<sup>114</sup> აქ აშკარად იკვეთება ის სურათი, რომ კოჯრის მისადგომებთან ღია პოზიციებზე ქვეითთა შეტევის მხარდაჭერას ქართული არტილერია მოძრავი გადამღობი ცეცხლის წარმოებით ახდენდა, რაც თავისთავად მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა და საარტილერიო გათვლებისაგან მაღალ პროფესიონალიზმს ითხოვდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საარტილერიო ცეცხლის მართვის ეს ინოვაციური მეთოდიკა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შუა წლებში დამუშავდა და დაინერგა ევროპის მოწინავე ქვეყნების ჯარებში. შესაბამისად, ქართველი არტილერისტების, და ამ შემთხვევაში ბატარეის მეთაურის, მაიორ ბახუტაშვილის მიერ არტილერიის მოძრავი გადამღობი ცეცხლის წარმოება მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

ტფილისიდან მოჰყავდათ ავტომობილზე მე-5 ათასეული; ქალაქის ფუნქციონირებით აიყვანეს მამა დავითის მთაზე გვარდიის ათასეული; სოფელ ზებუთოვკაში გაიგზავნა გვარდიელების ერთი ათასეული კოჯორზე ზურგიდან შემოსატევად; გენერალ მაზნიაშვილისაგან, თელეთის ქედით, მოვიდა 1-ლი ათასეული პოლკ. გეგელაშვილის უფროსობით და ერთიც გვარდიის ათასეული. ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს მეტიც იყო, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა და ნათელს ჰჴვენს იმას, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა კოჯორს მთავარსარდალი.

მოსულმა ნაწილებმა მიიღეს ჩემგან ცნობები მდგომარეობის შესახებ და ბოლშევიკების წინააღმდეგ გაიშალენ.

ვუბრძანე მოეგროვებინათ მე-2 მწყობრიდან დარჩენილი იუნკრები: დაჭრილ-მოკლული იყო 8 იუნკერი და კაპ. თოიძე; რადგან ჯარის ნაწილები უკვე მოსული იყვნენ, ვისარგებლე შემთხვევით და ვსთხოვე გენ. ანდრონიკაშვილს გამოეცვალა სკოლა და მოეცა დასვენების საშუალება, თუნდაც ერთი ღამით. გენერალი დასთანხმდა. ჩემი უბანი პოლკ. გეგელაშვილმა ჩაიბარა. შევკრიბე სკოლა და ის იყო სოფ. შინდისისაკენ<sup>115</sup> უნდა წავსულიყავი, ამ დროს მივიღე გენერალ ანდრონიკაშვილის ბრძანება, რომ იუნკრები წამეყვანა და ათასეული დამეტოვებინა ბაღში. თურმე გულად გვარდიას ეთხოვნა სამხედრო სკოლის დატოვება!

შემჩნეული იყო, რომ მიუხედავად ცუდი მომზადების და გაწვრთნისა, ჯარი უკეთესად მოქმედებდა და უფრო გულადათ ეჭირა თავი, ვიდრე გვარდიას. რითი აიხსნება ეს?

ერთი და იგივე ხალხის შვილები და ასეთი განსხვავება?

მხოლოდ იმით, რომ სამხედრო საქმე ვერ იტანს და ვერ ითმენს ვერავითარ კომიტეტებს და სცნობს მხოლოდ და მხოლოდ

---

<sup>115</sup> სოფელი შინდისი — ამჟამად სოფელი თბილისში, მთაწმინდის რაიონში. მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი განშტოების კალთაზე, ზღვის დონიდან 820 მეტრზე, თბილისის ცენტრიდან — 15 კილომეტრის დაშორებით. 2007 წლამდე, სოფელი ადმინისტრაციულად გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტაბახმელას თემს მიეკუთვნებოდა, 2007 წლიდან დაექვემდებარა ქალაქ თბილისის დიდგორის რაიონს, 2013 წლის თბილისის ტერიტორიული რეფორმის შემდეგ კი, მთაწმინდის რაიონის შემადგენლობაში გადავიდა.

ერთის უფლებიანობას და უფროსისადმი განსაკუთრებულ მორჩილებას, რაც ჯარში, მართალია, არა საკმაოდ დონეზე, მაგრამ მაინც არსებობდა.

წავედი იუნკრებით სოფელ შინდისს. ცუდათ თუ კარგად მოვეწყეთ ვიღაც მემამულის სახლში. რაკი საქმე გამოკეთებული იყო, კოჯორის ჯავრი აღარა მქონდა.

კოჯორის ამგვარი ინციდენტისა და მიღებულ ზრძანების შესახებ არავისათვის არათფერი მითქვამს, ჩემს მეგობარ გენერალ კვინიტაძესაც კი ვუამბე ეს მხოლოდ კონსტანტინეპოლში და ამ შემთხვევაშიც ჩვენმა ოფიცრებმა გამომიწვიეს.

უნდა ვსთქვა, რომ ამ ომში ჩვენმა ხალხმა ერთიანად ვერ გამოჩინა პატრიოტიზმი! ამას ჩვენ ვხედავდით ძალიან ხშირად, რასაც გზა და გზა აღვნიშნავ! შინდისში ცხენების საკვებავი ერთი ფუთი<sup>116</sup> თივის საფასურად 200 მანეთი გამომართვეს, როდესაც დაწესებული ფასი ნახევარს არ აღემატებოდა! ეს წვრილმანია, მაგრამ დამახასიათებელი!

20 თებერვალი.

დილით ადრე მივიღე ზრძანება — საჩქაროდ წამეყვანა იუნკრები №2 და №3 სანგრებზე მისაშველებლად. მტერმა, სჩანს, კოჯორის თავისი ნაწილების გამოსახსნელად, რომლებსაც ჩვენები უკვე აწვებოდნენ, თავგანწირულად შემოუტია №2 და №3 სანგრებს, სადაც ჩამდგარი იყო გვარდია და მე-5 ათასეული. მდგომარეობა კვლავ უნუგეშო შეიქმნა.

საკვირველებია: იქ, სადაც იუნკრები 20-25 კაცისაგან შემდგარი მწყობრით მტერს უკუაქცევდენ, 150-200 კაცისაგან შემდგარი და ასეთივე მაშველით, მთელი გუნდები ვერც კი უძლებდენ!

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ნაპოლეონის ძველი გვარდია<sup>117</sup> სულის სიმტკიცით იუნკრების გუნდზე უმაგრესი.

<sup>116</sup> ფუთი — მასის არქაული ერთეული. უდრის 16,38 კგ-ს (40 გირვანქას). იხმარებოდა საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღებამდე.

<sup>117</sup> გვარდია — ჯარების რჩეული, პრივილეგირებული ნაწილი. უმკვლეს მმართველებს (ბელადები, მეფეები და სხვა მონარქები) თავის განკარგულებაში პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად ჰყავდათ განსაკუთრებული, რჩეული საჯარისო ქვედანაყოფები

იუნკრების ნამოქმედარი არავითარ აღწერას არ დანებდება! ამისი დანახვა და ხილვა იყო საჭირო. აქ აისახა უმწვერვალესი შეგნება თავის მოვალეობისა და ჭაბუკობა. ესე იგი გრძნობა, რომელიც წარმოშობს მეგობრისადმი მიშველებისა და მის დასახსნელად თავის განწირვას! ყოველ მათგანს უნდოდა მომკვდარიყო მეგობრისადმი მეგობრის გვერდში! მთელი გუნდი წარმოადგენდა ერთი გმირის ერთ სხეულს! 4-5-ჯერ უძლიერესი მტრის წინააღმდეგ მიდიოდნენ ხიშტზე ისე მაგრად და დარწმუნებულნი, როგორც გაუვლიათ სასახლის წინ ალუმის დროს!

გამბედაობაში ამ გუნდს შეიძლება დაედაროს რუსეთიდან უკანდახევის დროს, ცხენოსან გვარდიისაგან გადარჩეულ მედგარ ოფიცრებისაგან შემდგარ ნაპოლეონის ცნობილი ესკადრონი.<sup>118</sup>

დავეწყვეთ და წავედით ღუქნის მიმართულებით. გზაზე კვლავ მივიღე ბრძანება აფქარებელიყავ. ვუბრძანე იუნკრებს, მოეხსნათ გარდა ვაზნებისა, ყველა ნივთი, დაეტოვებინათ გბატკეცილზე და სასწრაფოდ გორაკისაკენ დაძრულიყვნენ. გამოვიდა თუ არა გუნდი გორაკზე, ბალის მარჯვნივ, გაიშალა შარაში და სწორედ საჭირო დროს! გვარდიელების ორი გუნდი, №2-3 სანგრებში, ვედარ გაუძლეს რა მოწინააღმდეგის შარების მოახლოვებას, მოსწყდა ადგილიდან და გამოიქცა პირდაპირ იუნკრებისაკენ. ამ მომენტში კაპიტანმა შავდიაშ წაიყვანა იუნკრები იერიშით გვარდიელებზე და ბოლშევიკებზე. სანგრები დაბრუნებულ იქმნა.

---

და შენაერთები, რომლებიც საომარი მოქმედებების წარმოების დროს ჯარების განსაკუთრებულ სარეზერვო ნაწილს წარმოადგენდნენ. ისინი ბრძოლაში, მმართველის, რომელიც ამავე დროს მთავარსარდალსაც წარმოადგენდა, უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ და როგორც წესი, ბრძოლაში მხოლოდ მისი პირადი ბრძანებით ერთვებოდნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია, ნაპოლეონ ბონაპარტეს დაუმარცხებელი საიმპერატორო გვარდია, რომელიც თავისი მხედრული თვისებებითა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით, მართლაც შესანიშნავ შენაერთს წარმოადგენდა.

<sup>118</sup> აქ ისევ ნაპოლეონ ბონაპარტეს საიმპერატორო გვარდიაზეა საუბარი, კერძოდ, გვარდიის ესკადრონზე. ესკადრონი — საკავალერიო ჯარების ტაქტიკური და ადმინისტრაციული ერთეული, ქვედანაყოფი ან სამხედრო ნაწილი 100-150 ცხენოსნის შემადგენლობით. შეესაბამება ქვეით ასეულს (ბატალიონს) და საარტილერიო ბატარეას. კავალერიაში ნაკლები სიდიდის ერთეული იყო ნახევარესკადრონი — დაახლოებით 50-70 მხედარი.

ვინაიდან ვშიშობდი, ბოლშევიკებს სადმე ფრონტი არ გაერღვიათ და ჩვენი მაშველი ნაწილიც დახმარების მაგიერ არ გაქცეულიყო მაშველში, ბალთან მეჭირა იუნკრების ნაწილი და კრიტიკულ წუთებში ვაგზავნიდი კონტრ-იერიშებზე.

იმ დილას მოგვრებულ იქმნა მოწინააღმდეგის სამი იერიში.

მე კვლავ ჩავიბარე საბრძოლო უბნის უფროსობა. უკვე ბევრი იყო იუნკრებში დაჭრილ-დახოცილი — აღემატებოდა 25-ს. საღამოსა და ღამე მტერმა რამოდენჯერმე გაიმეორა იერიშები და იუნკრებიც გადადიოდნენ კონტრ-იერიშებზე სანგრების წინ (აქ ბოლშევიკებმა სხვათა შორის დაჩეჩვეს კონდახებით იუნკერი კეზელი<sup>119</sup>).

დაახლოვებით 2 საათზე კოჭრიდან ჩამოვიდა ჯუღელი და გვაცნობა, რომ ჩვენებმა დაიკავეს კოჭორი და უტევენ ძველ სიმაგრეს ქორ-ოლლის.

მოწინააღმდეგეს უნდოდა იმ ღამეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხელთ ჩაეგდო ჩვენ მიერ გამაგრებული გორაკი და ამ მიზნით, ჯიუტად იერიშები მოჰქონდა; ორი დღის განმავლობაში გრგვინვა არ შეწყვეტილა. მტერმა, თავის გამარჯვებაში დარწმუნებულმა, გამოგზავნა ათასეული 4 ზარბაზნით, გბატკეცილზე. ჩემი მარჯვენა ფრთის №00 სანგრების ავლით, შულავერიდან კოჭორზე, იმ ანგარიშით, რომ დილიდანვე დაეწყო ტფილისის დაბომბვა და ნგრევა, ეს რაზმი მოვუშვით ძალიან ახლოს და შემდეგ ცეცხლით დავცხრილეთ და დავფარცხეთ სანგრებ №00-დან.

ბოლშევიკებმა დაავდეს 4 საველე ზარბაზანი და გაიქცნენ; იქვე აღმოჩნდა პატარა ჯავშნოსანი<sup>120</sup> ვაზნებით. სანგრებში №00 იდგა მე-10 ათასეულის გუნდი.

21 თებერვალი.

---

<sup>119</sup> კეზელი — ლევან კეზელი (?-1922), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკერი. 1921 წლიდან, პოლიტიკური ემიგრანტი. გარდაიცვალა 1922 წელს, ვარშავის „პოდხორუნჟების“ სკოლაში ყოფნის პერიოდში. დაკრძალულია ვარშავაში.

<sup>120</sup> აქ მე-11 არმიის ჯავშნოსან ავტომობილზეა საუბარი, რომელიც ქართული მხარის მიერ აგრეთვე ალაფად იქნა მოპოვებული.



ზემოთ აღნიშნული მარცხის შემდეგ, ბოლშევიკები მაინც დაუინფორმებდნენ კედაროვს იერიშებს და მხოლოდ 21 თებერვალს დილით, დაახლოებით ათ საათზე დასტოვეს პოზიციები და საგრძნობ მანძილზე დაიხიეს უკან, ასე რომ მტრის ქვეითი ჯარი აღარსად სჩანდა და არტილერიის ცეცხლის მიუხედავად, დღემ მშვიდად ჩაიარა.

20 თებერვალს მოაგროვეს თოიძის იერიშის დროს დახოცილი იუნკრები, მაგრამ თვითონ თოიძე ვერ აღმოაჩინეს. 21 თებერვალს მოვიდა პოლკოვნიკი გურამიშვილი მავთულის ფერხის გასამართავად და მთხოვა მეჩვენებინა საშიში და საფრთხილო ადგილები; მე მას წაყვევი, თუმცა ძალიან მინდოდა წავსულიყავი თოიძის გვამის საძებნელად. როდესაც თოიძე უტევადა, მე ვიჭექი სამთო ზარბაზნებთან, ბალთან და გარკვევით ვხედავდი ჭოგრიტით, თუ სად დაეცა თოიძე; მე ეს ადგილი დავიმახსოვრე და ეხლა, როდესაც იმის გვამის ძებნა დაგვჭირდა, ვაჩვენე ეს ადგილი დუქნიდან კაპ. სულხანიშვილს და ცხენოსანი იუნკრებით გავაგზავნე გვამის მოსაძებნად. წავიდენ და კიდევ იპოვეს. კაპიტ. თოიძეს ჰქონდა ტყვიის ჭრილობა მუცელში და შემდეგ დარტყმული ჰქონდა ხიშტი, უთუოდ ღამე, პირდაპირ გულში. იგი იყო მხოლოდ საცვლებში.

21 თებერვალს ჩვენ რომ ხელთ გვყოლოდა 2-3 ხელუხლებელი ათასეული, შესაძლებელი იყო შეტევაზე გადასვლა და ბოლშევიკების განდევნა. ამის შესახებ კიდევ ვუთხარი გენ. კვინიტაძეს, მაგრამ მან მიპასუხა, რომ არც ერთი ათასეული აღარ დარჩა; მხოლოდ ახალციხიდან მოელის მე-11 და მე-12 ათასეულებს და მაშინ შესაძლებელი გახდება იერიშზე გადასვლა. იმ ნაწილებზე კი, რომელნიც შემფრთხალი იყვნენ ან მოქანცული და ბრძოლის დროს განიცადეს დიდი დანაკლისი, იმედის დამყარება და შეტევაზე გადასვლა სახიფათო იყო. თორემ ცნობილია გენერალ კვინიტაძის სისტემა.

21-ს ჩვენს უბანზე მოვიდა მაიორ ჩრდილელის<sup>121</sup> ბატარეა (მაიორი ჩრდილელი ენერგიული და შეუდრეკი ოფიცერი იყო; შემდეგ იგი ბოლშევიკებმა დახვრიტეს ტფილისში). ბატარეა დადგა პოზიციებზე ღუქანთან. მოვიდა, ავრეთვე, მაიორ მახარაძის ბატარეის ერთი მწყობრი, გოგი მესხიშვილის უფროსობით (ამის გმირობის დღე 24 თებერვალი იყო).

ბოლშევიკებმა თავისი ენერგია და ცდა ერთიანად ტაბახმელას მოაპყრეს, როგორც მთელი პოზიციის გასაღებს და სწორედ ამიტომ, მთავარსარდალმა არტილერიით გაგვაძლიერა.

არ მახსოვს რა დღე იყო. — ტფილისიდან ამოვიდნენ ქალები და მოიტანეს საჩუქრები; შემოვიდნენ ბაღში - ჩემს ოთახში და ძალიან მხიარულად და რიხიანად ეჭირათ თავი; ამ დროს, დაიგრიალა ბახუტაშვილმა: ზარბაზნები იდგა სწორედ ფანჯრის პირდაპირ; ერთმა ქალმა ზარბაზნები ფანჯრიდან დაინახა და უკვე მადა დაკარგული კილოთი იკითხა: — „როგორ? ეს თვით პოზიციებია?“ — „რასაკვირველია!“ — ვუპასუხე მე. უნდა გენახათ, იმ საწყლებს რა მოუვიდათ! დაავლეს ხელი ჩანთებს და მოუსვენს ოთახიდან; მიატოვეს ყველაფერი, საჩუქრებიც და გაჰქრნენ.

## იხილეთ სქემა №1

---

<sup>121</sup> ჩრდილელი — დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი (1893-1923 წ.წ.), ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, როტმისტრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1922 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან “არსებული - „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის მარტში, ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

22 თებერვალი.

22 თებერვალს თითქმის ყველგან სიწყნარე იყო; მხოლოდ დროგამოშვებით ისმოდა ანტილენიის სროლა და აქა-იქ თოფის ხმა; ეს უკვე ბრძოლად აღარ ითვლებოდა! ბოლშევიკები სოფლებში მიიმაღლენ - ერთვის, ვაშლოვან, კუმისში.

ჩვენ უკვე გვყავდა კიდევ ორი ოფიცერი დაჭრილი: - ლეიტენ. ერისთავი და ლეიტ. ანდრონიკაშვილი.<sup>122</sup> ეს უკანასკნელი სამკითხველოს გამგედ იყო სკოლაში და თავისი სურვილით წამოვიდა სკოლასთან ერთად პოზიციებზე. ის აღმოჩნდა მამაცი და გაბედული ოფიცერი; დაჭრილი იყო გვერდში, ტყვიის გამოსვლით; დაუხმარებლად თვითონ მოვიდა შესახვევ პუნქტზე.

მე წავედი გენ. ანდრონიკაშვილის შტაბში, რადგან მან მითხრა: — „მე თავი როგორც ქვაბი ისე მაქვს“-ო და მთხოვა დაუხმარებოდი. ჩვენ შევუდექით ნაწილების დაწყობასა და გადაჯგუფებას: — №6-დან №000 სანგრამდე იდგნენ სხვადასხვა ნაწილების გუნდები, ერთმანეთში საშინლად არეულნი. გადავსწყვიტეთ ისინი ათასეულებში მოგვეკრიფა და უბნებზე გაგვენაწილებინა. იქ იყვნენ: — 1-ლი ათასეული, მე-5 ათასეული, მე-10 ათასეული, გვარდიის ერთი ათასეული და სამხედრო სკოლა. გამოვიძახეთ უფროსები და შეძლებისდაგვარად ნაწილები წესრიგზე მოვიყვანეთ. მოვაწესრიგე, ავრეთვე, ყუმბარებისა და ვაზნების მიტან-მოტანა.

გენერალ ანდრონიკაშვილს, მართლაც უძნელეს პირობებში უხდებოდა მუშაობა; დუქანში, სადაც ის იდგა, მოთავსებული იყო 7 ტელეფონის სადგური. ყოველ წუთს მას ტელეფონთან თხოულობდნენ, არა ჰყავდა არც ერთი თანამემჩე! შემდეგში საიდანღაც გაჩნდა შტაბში, არავინ იცოდა რისთვის, პოლკ. გოგოტიძე და კიდევ შემდეგ, ლეიტ. გოცირიძე.

სალამოს მოვიდა ტფილისიდან სკოლის ოფიცერი კაპ. ყიფიანი და თან მოიყვანა რეზერვიდან მოწვეული 50-60 ჯარისკაცი.

---

<sup>122</sup> აქ იუნკერთა ასეულის ოფიცერზე, ლეიტენანტ ალექსანდრე ანდრონიკაშვილზეა საუბარი. გენერალ ანდრონიკაშვილის მსგავსად, მასაც ალექსანდრე ერქვა.

ერთი მეორეზე საძაგელები იყვნენ, რალაც ნაყარი ხალხი. დავაყენე ისინი ბაღში.

სალამოს №1-ელ სანგარიდან მივიღე ცნობა, რომ გვარდიელები თავისი ნებით წავიდნენ და სანგარი №0 ცარიელია. კაპიტან ყიფიანს ვუბრძანე დატოვებული სანგარი დაეკავებია. სახეზე ვამჩნევდი, რომ მაინც და მაინც არ ესიამოვნა ბოგანო ხალხის უფროსობა, მაგრამ არჩევანი არ იყო: იუნკრების გაგზავნა არ შეიძლებოდა, ისინი მაშველში იყვნენ საჭირო.

კაპიტანმა ყიფიანმა ბრძანებაზე მიპასუხა: — მესმის! — და წავიდა.

საჭიროა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრძოლების დროს: იუნკრები მიდიოდნენ იერიშზე არა მარტო მტერზე, არამედ, აგრეთვე გვარდიელებზეც. 22-ს თუ 23-ს ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: - გვარდიის უფროსმა ჯუღელმა მოიყვანა გვარდიელების ორი, ძალიან დიდი შემადგენლობის გუნდი. გენ. ანდრონიკაშვილმა უბრძანა გამოეცვალა ამ გუნდებით ჩემი ახალგაზრდა ჯარისკაცები №2 და №3 სანგრებში. ჯუღელი მიუბრუნდა გვარდიელებს სიტყვით: - „აბა, ამხანაგებო, წავიდეთ!“, წაიყვანა და ჩააყენა სანგრებში. ჩემი ახალგაზრდები წამოვიდნენ შენობებში, მაგრამ იუნკრები იმყოფებოდნენ მათ ზურგში, თუმცა ბრძოლა არ სწარმოებდა და იყო სრული სიჩუმე. იუნკრებს მაინც ნაბრძანები ჰქონდათ გვარდიელებისათვის ეთვალყურებინათ; ეს იმისთვის, რომ მათ ჩვეულება ჰქონდათ ღამ-ღამობით სანგრების დატოვება და ზურგში წამოსვლა. სანგრებში ცვლა უთუოდ შემჩნეული იქნებოდა მოწინააღმდეგის მიერ, ამიტომ მიიღეს მათ რამოდენიმე ყუმბარა.

გვარდიელებს დიდ ხანს აღარ უფიქრიათ — ერთი გუნდი ამოვარდა სანგარიდან და გამოიქცა უკან; ჯუღელი ჯერ კიდევ გორაკზე იყო ზარბაზნებთან ახლოს; ამ დროს, კაპიტანმა შავდიამ წამოაყენა იუნკრები და „ვაშას“ ძახილით გავარდნენ გვარდიელების შესახვედრათ; არ დაუზოგიათ ტკბილი სიტყვები და კონდახები მათთვის! ხიშტებით შერევეს ისევ უკან სანგრებში და განუცხადეს, რომ თუ გაიმეორებენ ასეთ საქციელს, გახსნიან მათზე ცეცხლს. აი,

ამ შემთხვევაში გამოააშკარავდა კომიტეტებისა და ამხანაგობის დისციპლინა. თვით ჯარისკაცები — გვარდიელები ხომ უკეთესები და უფრო გამოცდილები იყვნენ არმიის ჯარისკაცებზე! ყველა დიდ ომში ნამყოფი და რუსული ჯარის სათადარიგო ჯარისკაცები!

ეს სურათი თვით ჯუღელს ენახა და მას ცრემლები გადმოსცვივნოდა.

23 თებერვალი.

23 თებერვალმა საერთოდ მშვიდობიანად ჩაიარა; საერთო ზრძოლა არ ყოფილა და პატარ-პატარა შეტაკებები არავის არ აწუხებდა.

მხოლოდ საღამოს შემოუტია მტერმა №0 და 00 სანგრებს და მათ ცოტა დასავლეთით. კაპიტან ყიფიანის ხალხმა რამოდენიმეჯერ მოიგერია მტერი, მაგრამ საღამოს ვეღარ გაუძლო და გამოიქცა. აქ მოხდა საშინელი ტრაღედია.

ძნელი წარმოსადგენია და უფრო ძნელი ასაწერი ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც ახალგაზრდა და გულადმა კაპ. ყიფიანმა გადაიტანა. აი რით დასრულდა ყოველივე ეს: — კაპიტანმა ყიფიანმა იძრო ნაგანი და ოთხი ტყვია დაირტყა მკერდზე. პირველმა ტყვიამ მარცხენა გვერდი გაიტანა და იგი წაიქცა, მაგრამ დასუსტებული ხელით კიდევ განაგრძობდა სროლას საკუთარ მკერდში, ვიდრე რევოლვერი არ გამოსტაცა ხელიდან მისმა კადრის ნაცვალმა (ერთად-ერთი კაცი, რომელიც მასთან დარჩა სანგარში); ნაცვალი იყო კაპიტან ყიფიანის აღზრდილი.

კაპიტან ყიფიანს აღმოაჩნდა ორი ჭრილობა, ორი ტყვიით კიდევ გახვრეტილი ჰქონდა მარტო ფარაჯა, მკერდის დაზიანებით.

განა ეს არ არის იაპონური სამურაისებური თავგანწირვა? განა ეს არ არის თავგანწირვა რაინდულ დროის, როდესაც ამბობდნენ: „შენ მე წამართვი პატივი, წაილე ჩემი სიცოცხლეც“-ო. სულის რამოდენა სიღიადგა იქ! ჩვენ, რომელთაც ბევრი გადავიტანეთ და გამოვცადეთ, ვერ ვგრძნობთ და ვერ განვიცდით კაპ. ყიფიანის საგმირო საქმის მთელ სილამაზეს; მაგრამ შემდეგი შთამომავლობა დააფასებს მის მაღალ ღირსებას და მის სახელს არ დაივიწყებენ საქართველოში! სამხედრო სკოლაში კი, კაპიტან ყიფიანის

თავგანწირვის გამომხატველი სურათი სამაგალითო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის!

მე წავედი შესახვევ პუნქტზე მის სანახავად; როდესაც მიუახლოვდი, დამინახა, სახე დაიფარა და აქვითინდა; ძლივს-ძლივობით ვიკავებდი თავს და მორეულ ცრემლებს. მოვეხვიე მას, ვაკოცე და ვუთხარი:

— თქვენ, ჩემო კარგო მეგობარო, ეს რა ჰქენით? რისთვის?

— ბატონო პოლკოვნიკო, მე ვერ შევასრულე თქვენი ბრძანება და ეხლა ყველას შეუძლია სთქვას, რომ კაპიტან ყიფიანს ბრძოლაში ჯარისკაცები გამოეცხენ!

ამ სიტყვებში გამოიხატა მისი სულის ტრალედია და ამასთანავე სილიადე!

24 თებერვალი.

დადგა 24 თებერვალი — ქართული სამხედრო სკოლის და მისი ოფიცრების გმირობისა და დიდების დღე!

ორი დღის განმავლობაში ჩამოვარდნილმა სიწყნარემ, საშუალება მოგვცა დაგვესვენებინა, გავსწორებულიყავით და მოგვემარაგა იარაღი და ვაზნები და ასე შევხვედროდით 24 თებერვალს რიცხობრივად თუმცა სუსტნი, მაგრამ ძლიერნი სულის სიმტკიცით. ამ ხნის განმავლობაში, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბოლშევიკები ელოდნენ ახალი ძალების მოსვლას და მათ შორის ბაქოდან კურსანტების სკოლას. ეს უკანასკნელი 24 თებერვალს გამოგზავნილ იქმნა ტაბახმელას მაღლობებზე, ჩვენი ოუნკრების წინააღმდეგ.<sup>123</sup> შეხვედრა მართლაც და საყურადღებო!

დილას ახალგაზრდა გუნდებს ეკავათ №2 და №3 სანგრები; ოუნკრები იმყოფებოდნენ ბაღში, — მამველში. ოუნკერთა გუნდში 136 კაციდან — ინჟინრების მომატებით, დარჩა მხოლოდ 85-90 კაცამდე; მეორე მწყობრი, 19 თებერვლის მძიმე დაზარალების შემდეგ, დაშლილ იქმნა; დარჩენ — 1-ლი, მე-3 და მე-4 მწყობრი. დილიდანვე დაიწყო მტერმა არტილერიის ძლიერი ცეცხლით

<sup>123</sup> 23 თებერვლისათვის მოწინააღმდეგე შემლო ფოილოს აფეთქებული ხიდის აღდგენა და ჯავშანმატარებლების, მძიმე ტექნიკისა და დამატებითი ძალების მტკვრის მრცხენა სანაპიროზე გადმოყვანა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გაართულა თბილისის დამცველთა წინაშე მდგარი ამოცანა.

მოქმედება და მალე შემოუტია მთელ ჩვენ ხაზს კედაროზე. ჯერ კიდევ 23 თებერვალს ლეიტ. მესხიშვილმა გამოუცვალა ადგილი თავის ზარბაზნებს გორაკზე და დააყენა ბალის ცოტა აღმოსავლეთით, ბილიკზე, №4 სანგრების უკან. ჩვენი ზარბაზნები იდგა ძველ პოზიციებზე. ბოლშევიკებმა შემოუტოეს ძალიან ენერგიულად. რამოდენჯერმე გადმოვიდნენ ხიშტზე, მაგრამ ვერ უძლებდნენ და უკუ იქცეოდნენ; შემდეგ გასწორდებოდნენ, მიიღებდნენ მაშველს და ხელახლა მოიწევდნენ წინ. ძნელი სათქმელია, რამდენი იყო იერიში ამ დღეს: ბრძოლა, უკეთ, გაცოფებული იერიშები და კონტრიერიშები გაგრძელდა გათენებდან ღრმა დაღამებამდე. მოუახლოვდებოდნენ მთელი ფრონტით კედაროს 400-600 ფეხის ნაბიჯზე და ეკვეთებოდნენ ხიშტით ხან ერთ სანგარს, ხან მეორეს; უკუგდებულნი, გაბრაზებული, სიკვრივით კვლავ ეცემოდნენ სანგრებს ახალ-ახალი მაშველით გაძლიერებული. უნდა ითქვას სიმართლე, ისინი ცეცხლის ქვეშ მოდიოდნენ კარგად. უკვე ბევრი იერიში იქმნა მოგერიებული და ბოლოს, ნაშუადღევს, ბოლშევიკებმა მიზანს მიაღწიეს; შეტეხეს წინააღმდეგობა და შემოვარდნენ სანგარში №4, რომელიც 1-ელ ათასეულს ეკავა.

## იხილეთ სქემა №2

ამოვიდნენ გორაკზე თუ არა, ისინი აღმოჩნდნენ ლეიტენანტ მესხიშვილის ზარბაზნებთან და გამარჯვების ზემოთ მისცვივდნენ ხიშტზე ზარბაზნების ასაღებად (ესენი იყვნენ კურსანტები). სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა ლეიტ. მესხიშვილმა აქ გამოაჩინა გმირობა; მან გადასწყვიტა მომკვდარიყო თავის ზარბაზნებთან; შემოიკრიბა თავისი ბატარეის ჯარისკაცები, იძრო ხმალი, თავგანწირული გამბედაობით გადაეშვა მტრებში და დაუწყო ჩეხვა; საქმე ისე იყო, რომ თითქო მტერმა მიზანს მიაღწია, გააკეთა თავისი

საქმე; მე-4 სანგარი აღებულია და ფრონტი გარღვეული, ბატარეა დაკავებულია...

თითქო მათი გამარჯვება სრული იყო! მაგრამ! მაგრამ ქართული სამხედრო სკოლის იუნკრებს ჯერ კიდევ არ ეთქვათ თავისი უკანასნელი სიტყვა! ისინი ჩამსხდარნი, კაპუეტის გამჭრიახობით ბრძოლის მსვლელობას უთვალთვალეზდნენ და როდესაც კურსანტები შემოვარდნენ სანგარ №4-ში, იუნკრები ბალიდან უკვე გამოდიოდნენ. როგორც გამოცდილმა მეომრებმა სიზუსტით გაზომეს თავისი გამანადგურებელი დაკვრა. იმ დროს, როდესაც კურსანტები შეეტაკნენ ბატარეაზე ლეიტ. მესხიშვილს, მის ზურგთან უკვე გრიალებდა ძლიერი „გამა“ იუნკრებისა, რომელნიც მიჰყავდათ მამაც ოფიცრებს: — შავდიას, ხომტარეას<sup>124</sup> და ჩოჩუას<sup>125</sup>. ყველაფერი აირია... სროლა, ხიშტები, კონდახები, რევოლვერები, ხმლები... აკეთებდნენ თავის საქმეს. კურსანტები მდგნად შემოხვდნენ იუნკრების დაკვრას, მაგრამ მათი ხუთ-წვერიანი ვარსკვლავის ბრწყინვალეობა დაჩრდილა თეთრი გიორგის ელვარებამ და... ჩაქრა.

ისინი გაიქცნენ უკან მე-4 სანგარების მიმართულებით; ამ დროს გორაკზე სანგართან გამოჩნდა კურსანტების ტყვიამფრქვევი; უკან გაქცეული მტერი, ტყვიამფრქვევით შუა-გაყოფილი, გაიფანტა მარჯვნივ და მარცხნივ და გზა მისცა თავისი იარაღის ძლიერ ცეცხლს; მტრის ტყვიამფრქვევმა დაუშინა იუნკრებს ღია მინდორზე 100-120 ნაბიჯის მანძილიდან.

ასეთ სასწრაფო და საბედისწერო წუთში სხვა არჩევანი აღარ იყო! რჩებოდა მხოლოდ ერთი: უნდა აეღოთ ის! მე-3 მწყობრი კაპ. ჩოჩუას მეთაურობით ტყვიამფრქვევისაკენ გაეყანა; ჯერ არ მიახლოვებოდნენ, რომ კაპ. ჩოჩუა დაეცა დაჭრილი, მაგრამ

---

<sup>124</sup> ხომტარეა — ვარლამ ხომტარეა. ქართველი სამხედრო ოფიცერი, კაპიტანი. სამხედრო სკოლის იუნკრთა უმცროსი კურსის მე-3 განყოფილების ოფიცერი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელას პოზიციებზე, სადაც დაიჭრა კიდევ.

<sup>125</sup> ჩოჩუა — დომენტი ჩოჩუა. ქართველი სამხედრო ოფიცერი, კაპიტანი. სამხედრო სკოლის იუნკრთა უმცროსი კურსის მე-2 განყოფილების ოფიცერი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელას პოზიციებზე, სადაც მძიმედ დაიჭრა.



იუნკრები ასკდებოდენ წინ; ამბობენ, რომ პირველი წინ მიწობდა ფეხბურთში განთქმული, მუხლ-სწრაფი შალვა ერისთავი<sup>126</sup>. მივარდენ და აიღეს ტყვიამფრქვევი; მემიზნე ოფიცერი მოკლულ იქმნა ერისთავის ხიშტით, რომელიც, აგრეთვე, თვითონ დაეცა ზედ მტრის ტყვიით განგმირული. სანგრები ისევ ჩვენებმა დაიკავეს.

ამ ბრძოლას მეც და გენერალი ანდრონიკაშვილიც ვუყურებდით პირადათ. ამგვარად, რუსების და ქართველი მომავალი ოფიცრების სამკვდრო-სასიცოცხლო შეხვედრა პირველთათვის საუბედუროდ გათავდა.

აქ უნდა შევნიშნო შემდეგი: — იყო თუ არა შალვა ერისთავის ამბავი ნამდვილად ასე. ამის სისწორით დადასტურება დღეს აღარავის შეუძლია; მხოლოდ მე ვამტკიცებ, რომ შეტაკების ერთი საათის შემდეგ, შესახვევ პუნქტზე, დაჭრილებისაგან მოვისმინე ბევრი სხვადასხვანაირი ვარიანტი და ყველა ნაამბობში ერთი და იგივე მტკიცდებოდა, რომ ერისთავი მიწობდა წინ, ტყვიამფრქვევთან ჩამჯდარი ოფიცერი ნახეს ხიშტით განგმირული და ბრძოლის უკანასკნელ წუთებში თვით ტყვიამფრქვევზე, მოკლულ იქმნა ერისთავი. გვიან საღამო ხანს გამოჩნდა კიდევ ერთი ვერსია: ოფიცერს ჰქონდა ხიშტი გარჯობილი და ტყვიამფრქვევს ზედ ეწვა შალვა ერისთავი ჯერ კიდევ ცოცხალი; როდესაც მას მიუახლოვდენ სანიტრები, შემოსძახა: — „დადექ! ვინა ხარ?“ და მოკვდა!

ასეთი ლეგენდა შეიქმნა მისი სიკვდილის გარშემო. მხედრულ გმირობაზე ყოველი ლეგენდა იქმნებოდა თანამონაწილეთა მიერ და შემდეგ გადაჰქონდათ სურათებზე. ამ ბრძოლაში იუნკრების რაოდენობისა და მისი დიადი სილამაზის სამარადისო სიმბოლოურ სურათად დარჩება ტყვიამფრქვევზე მწოლიარე, განგმირული შალვა ერისთავი!

---

<sup>126</sup> შალვა ერისთავი (1897-1921წ.წ.) — ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი. ტაბახმელას ბრძოლის გმირი. ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ბოლო მემკვიდრის, ცნობილი დეკლამატორისა და თეატრალური მოღვაწის, ახალგორელი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის ვაჟი. შალვა ერისთავი, თბილისელებისთვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა, პირველი ფეხბურთის მოთამაშე და მორბენალი იყო.

ამ იერიშის დროს მოკლულ იქმნენ იუნკრები: შალვა ერისთავი, ოთარ ლორთქიფანიძე, იოსებ ჯანდიერი; დაჭრილი 15-მდე, როდესაც ვაპ. ჩოჩუა ვნახე, მითხრა: „მე თქვენ გამოგიგზავნეთ ჩვენ მიერ აღებული ტყვიამფრქვევი!“

მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა იერიშები ტაბახმელის სანგრებზე გონაკის ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ხან შუაგულში; ეს იყო რალაც გიჟური მოხეტეება! თოფების განუწყვეტელი ბათქა-ბუთქი, ტყვიამფრქვევთა ქოთქოთ-კაკანი. ტყვიების სეტყვისებური სასიკვდილო წეილი, მღვრიე სინათლეში ყუმბარათა სკდომა, გაბმული ტკეცა და შუილ-ბუზუნი-ბმუილი მსხვრეულ ფოლადის და თუჯის, ჩვენი ბარბაზების გაუთავებელი ღრიალი — ყველაფერი ეს, გაათრთებულ ჯადოსნურ ცეცხლში ჩახლართული და ერთად არეულ-დარეული, გათენებიდან დაღამებამდე — ჯოჯობეთურ მუსიკას ჰქმნიდა!

მაგრამ ტაბახმელელებს ახსოვდათ კრწანისის ბრძოლა, მისი გმირის მრისხანე აჩრდილი შფოთავდა მეგრძოლთა რიგებში, მედგრად იდგა იგი და არ უთმობდა მტერს დედაქალაქს. ამ დღეს დაიჭრენ ოფიცრები: შავდია, ჩოჩუა, ხომტარია; დაჭრილ-დახოცილი იყო 35 იუნკრამდე, ასე რომ თითო მწყობრში დარჩა 10-12 კაცი.<sup>127</sup> დღე იყო საშინელი, მაგრამ სადიდებელი და სავსე თავგანწირული საქმობით. ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში; გამწარებულად და უშიშრად

---

<sup>127</sup> ღრმად პატივცემული ავტორი აქაც უზუსტობას უშვებს. და ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ მხოლოდ საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობით წერდა ესოდენ რთული და დატვირთული მოვლენების შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული უტყუარი საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ იუნკერთა საბრძოლო დანაკარგების რიცხვი განსხვავებული იყო ავტორთან მოტანილ მონაცემებთან შედარებით. ამ საბრძოლო დანაკარგებს შემდეგი სახე ჰქონდა: მსუბუქად დაიჭრა 7 იუნკერი, საშუალოდ - 22, მძიმედ - 13. ბრძოლებში დაიღუპა 9 იუნკერი. სულ საბრძოლო დანაკარგი - 51 იუნკერი. ერთი მათგანი კი, მძიმედ დაჭრილი ილია ჯანდიერი, მოგვიანებით გარდაიცვალა საავადმყოფოში. არჩილ ჩაჩხიანი, „ქართველი იუნკრები - ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენტებში“. ახალი და უახლესი ისტორიის საკუთხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2(13) 2013. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 11.

მოიწვედნენ წინ და კვდებოდნენ, მაგრამ ყველა მათი მექუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელას გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე.

დღე იქცა ისტორიულად. გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული!

როდესაც სიბნელები მოიცვა არე-მარე, ბოლშევიკები ტაბახმელას მოშორდნენ.

ტფილისთან ჩვენ მოვიგეთ რვა დღის განმავლობაში გათამაშებული ყველა ბრძოლა უსწორო პირობებში, ჩვენზე უძლიერესი მტრის წინააღმდეგ, რომელიც მუდამ წელში იმართებოდა ახალ-ახალი მაშველი ჯარებით - და ეს გააკეთა ჩვენმა ჯარმა, რომელიც ხრამიდან მტერს ბრძოლაში გამოეყცა. მოწინააღმდეგის პირველ დაკვრისთანავე ერთიანად დაიმტვრა, როგორც მორალურად, აგრეთვე, ფიზიკურად და ტფილისთან მოსვლამდე გაფანტა.

საინტერესოა, რაში იყო საქმე? რა მოხდა ისეთი, რომ მდგომარეობა ასე ერთბაშად შეიცვალა?

ის, რომ ქართულ არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი კვინიტაძე. ტფილისთან გამარჯვებები — ეს მისი მხედრული მისნობის საქმეა, მისი ინტუიციური შეცნობის ნაყოფია; მეომრის ეს თვისება მის სულთან არის შესისხლხორცებული.

მაშინ როდესაც ტფილისთან ყოველ დღე ვიგებდით ომს ტაქტიკურად, იმავე დროს, ჩვენ ვაგებდით ყოველ დღე სტრატეგიულად. ბოლშევიკები უვლიდნენ და განს ერტყმოდნენ ტფილისს ერთსა და იმავე დროს, ჩვენი საზღვრების ყველა გადმოსავალიდან. განს ერტყმოდნენ საქართველოს ტერიტორიას და ამგვარად, 1921 წელს, ჩვენი სამშობლო აღმოჩნდა მტრის ძალების რკინის ქამარში მომწყვდეული.

დაისვა საკითხი: — დავრჩეთ ტფილისში, მტრისაგან ალყა შემორტყმული და ვიბრძოლოთ უკანასკნელამდე, — თუ დავსტოვოთ დედაქალაქი, წამოვიდეთ საქართველოს სიღრმეში და თანდათანობით კიდევ შევეცადოთ ძალების მოკრებასა და გასწორებას?

სამხედრო თავდაცვის საბჭოს თათბირზე, ჯერ კიდევ 1920 წელს, დადგენილი იყო, რომ ტფილისის დატოვება არ ნიშნავს ომის გათავებას; ამის-და-მიხედვით, მთავარსარდალმა მოახსენა მთავრობის თავმჯდომარეს 24 თებერვალს 20 საათზე, უკიდურესი მდგომარეობის შესახებ და მისი თანხმობით ტფილისის დატოვების ბრძანება გასცა.

### იხილეთ სქემა №3

სტრატეგიულად ომი წავაგეთ; მმართველობა, ხალხი და ჯარი არ იყვნენ მომზადებული ასეთი სერიოზული ომისათვის; ტფილისთან ტაქტიკური გამარჯვებანი სავსებით ეკუთვნიან გენ. კვინიტაძის საქმიანობას და უდავოდ მის სახელს უნდა მიენიჭოს. ჩვენი სტრატეგიული მარცხი კი გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომელნიც შექმნეს გენ. კვინიტაძის წინამორბედებმა და სამხედრო, სამოქალაქო მოღვაწეებმა. ამიტომ დამარცხებაც ერთიანად მათ ეკუთვნის.

რუქაზე შეხედვით ადვილად გასაგებ კრიტიკულ მდგომარეობას, 24 თებერვლის საღამო ხანს, მიემატა ორი შესანიშნავი ფაქტი: - მთავარსარდლის შტაბმა მიიღო ორი ცნობა:

1) — გვარდია ორხევის ფრონტზე, 6-7 ვერსის სიგანეზე დასტოვა მავთულით გამაგრებული სანგრები და დაიხია ტფილისისაკენ;

2) — მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა თელეთის სერი იერიშით აიღეს.

24 თებერვლის ღამეს, 12 საათზე, მთავარსარდლის ბრძანების მიხედვით, დავიწყეთ პოზიციებიდან უკან დახევა. უკანასკნელი კაცი, რომელიც დახევის შემდეგ ტაბახმელას მოპორდა, იყო გენ. ანდრონიკაშვილი.

აქ მინდა ცოტა ხნით შევჩერდე იუნკრებზე. არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ ტფილისთან ისტორიული დღეების განმავლობაში,

იუნკერთმა გუნდმა გამოაჩინა მასიური გულადობა, რომელიც რომელიმე გამოჩენილი გმირის გულადობისაგან არ განიზღვება! შეკრებილი ადამიანების თვისება და ცალკე ადამიანის თვისება მოქმედებაში აღმოჩნდა იდენტიური. მეტად საყურადღებოა ამ მოვლენის გაშუქება. რა არის მიზეზი? ნუთუ ბრმა შემთხვევამ შეახვედრა ერთმანეთს გუნდში ყველა შეუპოვარი ვაჟკაცი? რასაკვირველია არა! ასეთი ეგებისობა არ შეიძლება ყოფილიყო! ასეთი კომბინაცია არ არსებობს!

მიზეზი უნდა მოიძებნოს სხვაგან, ჩემთვის ეს სრულიად ნათელია; ამ მოვლენის სათავე და მიზეზი არის ჩვენი სკოლა. ჩვენი პატრიოტული ინტელიგენტური ახალგაზრდობა, რომელსაც თანდაყოლილი აქვს მეომრის ყველა საუკეთესო თვისება და ჯანმრთელად შენახული ამ თვისებათა საღი თესლები; ახალგაზრდობა, რომელსაც ძარღვებში უდღეს თამარისა და ერეკლე მე-2-ის ღროინდელი ჩვენი წინაპრების სისხლი, სკოლაში შემოსვლის პირველ დღიდანვე დაყენებული იყო გზაზე, რომელსაც მიჰყავდა ჩვენი ძველი გმირები სამშობლოს სამსხვერპლოზე. აქ მათ ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც ომშია საჭირო. ამ სწავლა-გაწვრთნაში ლამაზი ვარდივით გაითურჩენა სამშობლოს სიყვარული მათი ცხოვრების გზაზე. სკოლაში მათ სულს ამყინდენ მეგობრულ სიყვარულს, უვითარებდენ მათშივე არსებულ კეთილშობილი გრძნობის ჩანასახს, ამზადებდენ თავგანწირვისათვის: — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის! რაინდული დევიზი: „ფართი ან ფარზე“ — მეთაურობდა ყველა მათ მოქმედებას, სკოლის მშვიდობიან ცხოვრებაშიც და იყო გზის მაჩვენებელი ვანსკვლავი ომის დროს.<sup>128</sup>

ამ რაინდობის პრინციპებმა, რომელნიც საძირკვლად დაუდვა სკოლის შენობას მისმა პირველმა უფროსმა გენ. კვინიტაძემ თავის უფროს თანაშემწე ოფიცრებთან ერთად,

<sup>128</sup> „ფართი ან ფარზე“ — (ლათინურად - A ut cum scuto, aut in scuto) – ფრაზეოლოგია, რომელიც მომდინარეობს ძველი სპარტიდან. ეს იყო მოწოდება ომში მიმავალი სპარტელი მეომრებისადმი, რომელიც აღნიშნავდა ბრძოლაში გამარჯვების მიღწევას, ან სახელოვან სიკვდილს, რომელიც დიდებას მოუტანდა ბრძოლაში დაღუპულს. ძველ სპარტაში ბრძოლაში დაღუპული მეომარი სავარაოდ ფარზე დასვენებული გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან.

ბრძოლის ნაყოფი გამოიღო. სკოლის უფროსების შემადგენლობა აღჭურვილი იყო იუნკერთა ავტორიტეტით; იუნკრები ხედავდნენ, რომ ოფიცრების სიტყვასა და საქმეს შორის სრულიად არ იყო განსხვავება. ბრძოლის პირველი დღიდანვე, ისინი დარწმუნდნენ, დაიმედდნენ თავის ოფიცრებში, რომელნიც თავის სიცოცხლეს ანაზღაურებდნენ და ყველაფერში მათ გულადობისა და საბრძოლო მაგალითებს ეძლეოდნენ. ასეთმა მაგალითმა დააფუძნა ისეთი სულიერი და მორალური კავშირი მათ შორის, რომ ყოველმა ცალკე იუნკერმა დაჰკარგა თავისი პიროვნული სახე, საკუთარი ინდივიდუალური მე, იუნკერთა გუნდი შეიზარდა და შედუღდა ერთში, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად და ბრძოლაში მოქმედებდა, როგორც ერთი კაცი, მებრძოლი ჭაბუკის ყველა საუკეთესო თვისებით გასხივოსნებული.

წესრიგი, მოყვრობა-მეგობრობა, თავის განწირვა, ამტანობა, მოთმინება, მორჩილება, გამბედაობა, რომელსაც საზღვარი ანა აქვს - აი, ხორცშესხმული თვისებანი იმ გმირისა, რომელსაც ეწოდება „იუნკერთა გუნდი!“

ამავე თვისებებით იყვნენ აღჭურვილნი და იმავე მებრძოლი სულით განმტკიცებულნი სამხედრო სკოლის ოფიცრები, რომელნიც იუნკრებს მაღალ-კეთილშობილებით ხელმძღვანელობდნენ და მეთაურობდნენ. სადიდებელნი და ბრწყინვალე ოფიცრები: მაიორი ანანიასვილი, კაპ. შავდია, ჩოჩუა, ხომტარია, თოიძე; ლეიტ. ანდრონიკაშვილი, ერისთავი, ყიფიანი — ყველამ საკუთარი სისხლით დაუკავშირა თავისი სახელი ქართულ სამხედრო სკოლას. იუნკერთა გუნდის ყოველი რაინდული მოქმედება, ამავე დროს, მათი საკუთარი მოქმედებაა!

კაპიტანი ყიფიანის უმაგალითო საქმეს ვერ ნახავთ ვერსად და მსგავსს ვერ ამოიკითხავთ ვერსად, ვერც ერთი ერის ისტორიაში! ყველა ამით მე არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ, უფროსებმა შევექმენით იუნკრები და ოფიცრები გმირებად! ანა! ეს განზრახვა ჩემგან შორს არის! მხოლოდ ვამბობ, რომ უფროსებმა სწორ ნიადაგზე დავაფუძნეთ აღზრდის სისტემა, მეგობრული ურთიერთობა, წესრიგი და მხედრული პრინციპები; ყველა ამან

შექმნა ის ატმოსფერო, რომელშიც ჩვენ მიერ მიღებული ნათელი თვისების ნორჩი მასალა, განვითარდა და ამოქმედდა გმირებში. ეს არის ჭეშმარიტება და ამისი თქმა აშკარად შეიძლება.

სტამბოლში<sup>129</sup> ჯუღელმა სთქვა: — „ერთად-ერთი საბრძოლო თვისებებით აღჭურვილი, ნამდვილი მებრძოლი ნაწილი ტფილისთან იყო სამხედრო სკოლა“-ო. შესაძლებელია ვ. ჯუღელი ვერც კი ამჩნევდა, რომ ამ სიტყვებით მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იმ პრინციპებს, რომელთაც თვითონ იგი და საერთოდ სოციალისტები ჰქადაგებდნენ ჩვენი ჯარის მშენებლობის დროს.

სამწუხაროდ, საშუალება არ მოგვეცა გამოგვეცადა ბრძოლაში სამხედრო სკოლის 1920 წლის ნაცვალთა ათასეული, მაგრამ ღრმად დანრწმუნებული ვარ, რომ ეს ათასეულიც, აღზრდილი და გაწვრთნილი სკოლაში იმავე პრინციპზე, იმავე ატმოსფეროში, ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემდა.

განა ისტორიას შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ სკოლაში ახალგაზრდებმა დაიწყეს მოსვლა 11 თებერვლიდან და 17 თებერვალს სკოლამ გამოიყვანა ფრონტზე 350 კაცი, რომელნიც ტაბახმელას ფრონტზე დიდებულად იბრძოდნენ! ბევრად უკეთესად, ვიდრე საარმიო პოლკების ძველი ჯარისკაცები! გვარდიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ოფიცრებმა და ჩვენს მიერვე აღზრდილმა ნაცვლებმა, რამოდენიმე დღის განმავლობაში შთაბერეს მათ მხედრული სული; იუნკრების მაგალითმა გაუღვიძა და აუმოძრავა ყველა საუკეთესო თვისება და ამან შეჰქმნა მათი მორალური სიძლიერე და გამტანობა. მათ მოქმედებებში შემჩნეული იყო ბევრი მაგალითი; მათგან საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: — ახალგაზრდების ერთი მწყობრი დანიშნული იყო ბატარეის მფარველად. ერთი ჯარისკაცი, მტრის ცეცხლის მიუხედავად, არ წვებოდა. არტილერიის იუნკერმა ურჩია

---

<sup>129</sup> სტამბოლი — დღევანდელი თურქეთის დედაქალაქი და მოსახლეობით ევროპის უდიდესი ქალაქი. 1930 წლამდე სტამბოლს ფორმალურად და ოფიციალურად კონსტანტინოპოლი, „კონსტანტინეს ქალაქი“ ერქვა. ამჟამად თურქეთის უდიდესი ქალაქი. თურქეთის მთავარი სავაჭრო, სამრეწველო და კულტურული ცენტრი, ქვეყნის ძირითადი საზღვაო პორტი. მსოფლიოში ერთადერთი ტრანსკონტინენტალური ქალაქი. რომის, ბიზანტიის, ლათინთა და ოსმალეთის იმპერიების ყოფილი დედაქალაქი.

დაწოლილიყო და პასუხად მიიღო: - „როგორ დავეწვე, ოფიცერი დამინახავს და მშიშარა ვეგონები“-ო!

ოჯახში ნაკლიანიც გამოერევა. აქაც იყო ერთი. ერთმა ოფიცერმა გამოიჩინა სულმოკლეობა, უკეთ, ავადმყოფური მდგომარეობა; სხვა ნაწილში შესაძლებელია ის დარჩენილიყო, მაგრამ ჩვენთან ისე შესამჩნევად გამოიჩინა სხვა ოფიცრებისაგან, რომ მის წინააღმდეგ ვიხმარე საშუალება, რომელსაც ვხმარობდი დიდ ომში<sup>130</sup> პოლკის უფროსობის დროს: იგი დაუყოვნებლივ გავგზავნე უკან, ბურგში; ერთ ქეცციან ცხვარს შეუძლია მთელი თარა გაათუქოს!

ასე დასრულდა ტაბახმელას ომების ბრწყინვალე პერიოდი, რომელმაც მარად წარუხოცელი დიდება და სახელი მოუხვეჭა სამხედრო სკოლას და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სული უძლიერესია მატერიალურ სამხედრო საშუალებაზე. არ ვიცი, გრძნობენ თუ არა ჩემი ძვირფასი ახალგაზრდები, რომ მათ უკვე გააკეთეს ქართული ჯარისათვის ისტორიული საქმე!

ამ ბრძოლებს მოიგონებს მომავალი შთამომავლობა, გაიმსჭვალემა მეგრძოლ თანამემამულეთა სულით და აღიზრდება მასზე ისე, როგორც ჩვენ, რომელნიც ვიგონებთ დღეს კრწანისის ბრძოლას, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი<sup>131</sup> თავისი დიდი ლაშქრით ტფილისს მოადგა და აქვე, ცოტა ქვემოთ, და ქალაქიდან უფრო ახლოს, მტრის მიერ ტფილისის შემოვლის დროს, ერეკლე მეფის 600-მა ყრმა-მეგრძოლმა დასდო თავი უსწორო ბრძოლაში სამშობლოსათვის.

ტაბახმელას ბრძოლებში სამხედრო სკოლამ **შემდეგი დანაკლისი განიცადა:** — მოკლულ იქმნა 2 ოფიცერი, დაიჭრა 7, მოკლულ იქმნა 10 იუნკერი, დაიჭრა 43.<sup>132</sup>

<sup>130</sup> აქ პირველ მსოფლიო ომს გულისხმობს ავტორი.

<sup>131</sup> ალა-მაჰმად-ხანი — (1742-1797 წ.წ.) ირანის გამგებელი 1794 წლიდან და ირანის შაჰი 1796 წლიდან. ყაჯართა დინასტიის დამარსებელი. 1795 წელს მან აზერბაიჯანსა და საქართველოზე გაილაშქრა, დაარბია თბილისი (კრწანისის ბრძოლა, 1795).

<sup>132</sup> ავტორი აქაც მცირე უზუსტობას უშვებს დაჭრილ იუნკერთა რაოდენობასთან დაკავშირებით. უტყუარი საარქივო დოკუმენტების მიხედვით დაჭრილი იუნკრების რაოდენობა 41 იყო და არა 43, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს. საერთო ჯამში, სულ თბილისის სამხედრო სკოლამ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში მოკლულთა სახით



სამწუხაროდ, საშუალება არა გვექონდა გამოგვეჩვენა ახალგაზრდა ჯანისკაცების დანაკლისი, რადგან ოფიცრებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ მათი გვარები. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ახალგაზრდათა ათასეულიდან გამოაკლდა 35-40% დაჭრილი და დახოცილი. უნდა ვსთქვა, რომ ტაბახმელას გმირული საქმე ეკუთვნის თანაზრად ყველა იუნკერს, იარალის დარღვის განურჩევლად. ქვემეხებზე და ტყვიამფრქვევებზე მუშაობდნენ ერთიანად იუნკრები და შესანიშნავად მოქმედებდნენ. ჩვენი ტყვიამფრქვევები დადიოდნენ გასტროლებზე; სადაც კი გამოჩნდებოდა ხიფათი და საშიშროება, მათ ვაგზავნიდით.

შევნიშნავ, რომ არსებული ცნობების მიხედვით, რამდენადაც ჯერ გამორკვეულია, ტფილისის სამხედრო გალავნის ტაძარში<sup>133</sup>

---

დაკარგა: იუნკრები — ლოლუა მიხეილ, დოლიძე პლატონ, კანდელაკი ლევან, ჯანდიერი იოსებ, ერისთავი შალვა, ახვლედიანი ალექსანდრე, ლორთქიფანიძე ოთარ, ჯანდიერი ილია, იაკობაშვილი პავლე, ჯაფარიძე ალექსანდრე; ოფიცრები — მაიორი არჯევან ანანიაშვილი და კაპიტანი ირაკლი თოიძე. დაიჭრნენ: იუნკრები — დგებუაძე ნიკოლოზ, ვეფხვაძე ივანე, ზაუტაშვილი იოსებ, იაშვილი კონსტანტინე, ლოლაძე კონსტანტინე, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, საღინაშვილი გიორგი (პირველი), ტატიშვილი ზურაბ, წიკლაური ვლადიმერ, ჯაფარიძე ნიკოლოზ (პირველი), ჭილაძე სოლომონ, ავალიშვილი შალვა, ალაძე ირაკლი, გიორგაძე ვლადიმერ, იაშვილი ალექსანდრე, იაშვილი სიმონ, მამუჩაიშვილი დავით, მორჩაძე დავით, სომხიანცი მელიქ, ხინველი ისააკ, ცქიტიშვილი გიორგი, ჯაფარიძე ნიკოლოზ (მეორე), აბაშიძე ვარლამ, ვახვახიშვილი ნიკოლოზ, ზალდასტანიშვილი გიორგი, მაჩაბელი ივანე, მირზაშვილი რევაზ, სამხარაძე ბაგრატ, ტატიშვილი ალექსანდრე, ქაჯაია ვასილ, ხიდირბეგიშვილი მიხეილ, ასათიანი მამუკა, ამირაჯიბი დიმიტრი, გორდუხიანი ამბროსი, იოსავა აბესალომ, საღინაშვილი გიორგი (მეორე), საღინაშვილი ნიკოლოზი, ხუციშვილი დიმიტრი, ჩილოჩავა ალექსანდრე, ჩხეიძე გრიგოლ, ფერაძე ისიდორე. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 12-17.

<sup>133</sup> ტფილისის სამხედრო გალავნის ტაძარი (ე.წ. „სობორო“) - თბილისში აღმართული მართლმადიდებელი ქრისტიანული საკათედრო ტაძარი რუსეთის კავკასიის ომში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთან გამარჯვების აღსანიშნავად. იგი შუასაუკუნეების რუსი წმინდანის — ალექსანდრე ნეველის სახელობისა იყო. ამ ნეობიზანტიური სტილის ნაგებობის პროექტი ი. გრიმს ეკუთვნის. გემის მიხედვით ტაძარს უნდა დაეტია 2000 მდე მომლოცველი და უნდა ღირებულყოფიყო 300-500 ათასი რუბლი. 1866 წლის 1 მაისს ლუნიხის მოედანზე სამხედრო ტაძრის ასაშენებლად ჩატარდა კონკურსი რომელშიც მონაწილეობდა 16 პროექტი. 1871 წლის 16 აპრილს ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში ლუნიხის მოედანზე (მოგვიანებით „სობორნი“ მოედანი დაერქვა, ამჟამად რუსთაველის გამზირის ნაწილი), კათედრალის მშენებლობისათვის გაჭრეს საძირკველი, თუმცა ტაძრის თავდაპირველი სახე თავიდანვე შეიცვალა. საბოლოოდ, ტაძარმა ფუნქციონირება 1897 წელს დაიწყო. ტაძარს განაგებდა საქართველოს ეგზარქატი 1917 წლამდე, რის შემდეგაც იგი გადაეცა

დასაფლავებული არიან: მაიორი ანანიაშვილი, კაპიტანი თოიძე, იუნკერი იაკობაშვილი და პირველი გუნდის ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი<sup>134</sup> და სპირიდონ ჭავჭავაძე<sup>135</sup> მიამბობდნენ, რომ ქართველი ხალხი დიდი ქებით იხსენიებს სამხედრო სკოლის ბრძოლებს და ყოველ ყოფილ იუნკერს პატივს სცემენ, როგორც გმირს და ამბობენ: — „ეგ იუნკერი არის ჩვენი გმირული სკოლისა!“-ო.

პოლონეთში ყოფნის დროს, შევკრიბე კერძო პირებისა და აგრეთვე, ჩვენი მოწინააღმდეგის ცნობები ჩვენი სკოლის ბრძოლის შესახებ ტაბახმელაზე. ომის გათავების ერთი წლის შემდეგ, საქართველოდან ჩამოვიდა ბატონი გ., რომელმაც შემდეგი მიამბო: — „ტფილისის დატოვების შემდეგ, ჩემი პირადი საქმეებისათვის, გავიარე სოფელ კუმის-ვაშლოვანზე: პირადათ ვნახე ტაბახმელას მთის კალთებზე დაზვავებული დახოცილი ბოლშევიკების გვამები; ბოლშევიკურმა მმართველობამ გამოიწვია ყველა ახლო-მახლო მცხოვრები მკვდრების დასამარხავად, რაც თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა; მკვდრების რიცხვს ანგარიშობდნენ 3000-მდე.

---

ავტოკეფალიამინიჭებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს. 1930 წლის 7 თებერვალს, საბჭოთა მმართველობამ დაიწყო ტაძრის დემონტაჟი. ამჟამად თბილისის სამხედრო ტაძრის ადგილას საქართველოს პარლამენტის შენობა დგას.

<sup>134</sup> ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი (1888-1930 წ.წ.) — დიდი ქართველი ეროვნული, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის პორუჩიკი და ქართული არმიის პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული გმირი. პირველი მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, კავალერისტი. იბრძოდა აღმოსავლეთისა და კავკასიის ფრონტებზე. 1917 წლიდან საქართველოშია, მსახურობს ცხენოსან დივიზიონში. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში და შავი ზღვისპირეთში დენიკინელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ საქართველო არ დაუტოვებია და დარჩა სამშობლოში. 1922-1924 წლებში, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ გაშლილი პარტიზანული ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, პოლიტიკური ემიგრანტი.

<sup>135</sup> სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე (1878-1952 წ.წ.) — პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის პოლკოვნიკი და ქართული არმიის გენერალი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1924 წელს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულთა ერთ-ერთი ლიდერი და სარდალი. 1924 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1947 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1951 წელს დააპატიმრეს და 25 წელი მიუსაჯეს. გარდაიცვალა ტყვეობაში 1952 წელს.

ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყო მათი მოწინააღმდეგე ტაბახმელაზე“...

აგრეთვე, კიდევ მე-2-ე ცნობა. პოლონეთის ერთ-ერთ სამხედრო სკოლაში, სადაც იმყოფებოდნენ ჩვენი იუნკრები, ერთმა პოლონელმა უამბო იუნკრებს შემდეგი: „თქვენი ომის დროს პეტროგრადში<sup>136</sup> ვიმყოფებოდი და ვკითხულობდი ოფიციალურ ცნობებს ტფილისთან ბრძოლების შესახებ; ცნობებში ყოველ დღე მოხსენებული იყო ქართული სამხედრო სკოლა; აცხადებდნენ, რომ ყველაზე მკაცრი და ამასთანავე, უნაყოფო ბრძოლები მიდის ქართული სკოლის ფრონტზე, რომლის წინააღმდეგობა ვერ იქმნა შეტეხილი დიდი მსხვერპლის მიუხედავათ. იყო, აგრეთვე ცნობა მის წინააღმდეგ კურსანტების გაგზავნის შესახებ“. ეს არის მოწინააღმდეგის ცნობა ქართული სამხედრო სკოლის ბრძოლებზე.

ამგვარად, 1921 წლის 24 თებერვალს, ღამის 12 საათზე ნაზრძანები იყო დაგვეტოვებინა ტაბახმელას პოზიციები; სამხედრო სკოლას ნაზრძანები ჰქონდა დაძრულიყო წინმავალში, ქალაქის გამოვლით, მცხეთაზე: მე მაშინვე ყურადღება მივაქციე იმ გარემოებას, რომ სკოლა დაინიშნა წინმავალში.

რა შემოძლია ვსთქვა იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა მიღებულმა ბრძანებამ? არ ვიტყვი, რომ ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი იყო, როდესაც მოწინააღმდეგის ერთი მხარე, შექმნილი პირობების გამო, იძულებულია აწარმოოს მხოლოდ პასიური თავდაცვა, ვერ იღებს გასამაგრებლად ახალ-ახალ ძალებს, რის გამოც მოკლებულია საშუალებას — გამოასწოროს თავისი ფიზიკური და მორალური ზიანი და მიბმულია იმ მიდამოზე, სადაც მოქმედებს, — მეორე მხარე კი მუდამ იღებს და ძლიერდება ახალი ხელუხლებელი ნაწილებით, ივსებს დანაკლისს და გაშლილი აქვს სამოქმედო ასპარეზი, — ასეთ პირობებში, რა გმირობაც არ უნდა გამოიჩინოს პირველმა, ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული ხდება უკან დაიხიოს ანდა დაიღუპოს... იმდენათ

---

<sup>136</sup> პეტროგრადი — დღევანდელი სანქტ-პეტერბურგი. ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი რუსეთში. ჩრდილო-დასავლეთის ფედერალური ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქს 1914 წლამდე — სანქტ-პეტერბურგი, 1914-1924 წწ. — პეტროგრადი, 1924-1991 წწ. კი ლენინგრადი) ეწოდებოდა.

ნათელი იყო ეს ჩემთვის, რომ გენ. კვინიტაძეს ფრონტზე ერთ-ერთი ამოსვლის დროს ვუთხარი: „დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც ტფილისის იძულებითი დატოვებით, არ გათავადება ომი“ — „რასაკვირველია, არა!“ — მიპასუხა გენერალმა, „ორი კვირის შემდეგ, იმედი მაქვს, ბოლშევიკების ზურგში გადავისროლო 3000 ცხენოსანი და ავაჯანყო ყაზახის თათრები სამოქმედო“.

მაგრამ შემდეგმა პირობებმა გამოააშკარავა, რომ ომი უკვე გათავებული იყო და ტფილისის დატოვებასთან ერთად, წაგებულიც. ამის მიზეზებს შევეხები ქვემოთ.

თავისი შემზარავი შინაარსის მიუხედავად, ბრძანება მიღებულ იქმნა დამშვიდებით. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარები დარწმუნებული არიან თავიანთ სარდალში. შევკრიბე სკოლა და გამოვიყვანე გზატკეცილზე; გენ. ანდრონიკაშვილმა გაატარა თავის წინ რაზმის ყველა ნაწილი და თვითონ წამოვიდა ჯარების უკანასკნელ ჯგუფთან ერთად. გამოვემართეთ ქალაქისაკენ. ბოლშევიკები ისე მაგრად იყვნენ იმ დღეს დამარცხებული და პოზიციებიდან შორს მანძილზე დაცილებული, რომ ჩვენი წამოსვლის შესახებ მათ გაიგეს, როგორც ამბობენ, 12 საათის შემდეგ.

არ შემიძლია დავივიწყო და ამასთანავე, ძნელი ასაწერია ის განწყობილება, რომელსაც განვიცდიდით ქალაქში გამოსვლის დროს. გვიპყრობდა რაღაც დაბეჩავებული გრძნობა; გვენანებოდა მშობელი ქალაქი; გვეცოდებოდნენ მცხოვრებნი, ვნანობდით მათ უპატრონოდ და დაუთარავად მიტოვებას: ხშირად გვაწვებოდა სირცხვილის გრძნობა; პოლიციელების დამტრთხალი სახენი, არტილერიის ბრახუნით გაღვიძებულ მცხოვრებლების, რომელთა ლანდების ფაცი-ფუცი მოსჩანდა ანთებულ სინათლებზე, ფანჯრებიდან გამოყოფილი თავები და სასოწარკვეთილი შეკითხვები — ყველა ეს იწვევდა საძაგელ განცდას და გინდოდა ჩქარა გასულიყავი ქალაქიდან. მოვიგონე მე ჩემი მეგობრები - დაჭრილი ოფიცრები და იუნკრები; ისინი რჩებოდნენ საავადმყოფოში, მაგრამ რა უნდა მექნა?... ასეთია ომი!

ინათა და შემოვედით დილომის ველზე. გზაზე განვიცადეთ უკან დახევის ყველა მშვენიერება. შეწუხებული და დაფეთებული იყვნენ უმთავრესად ისინი, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ვინც ბურგში იმყოფებოდნენ; მიდიოდნენ შემბულობით, მიჰქონდათ ბარგი-ქონება, როგორადაც მოეხერხებინათ; ბევრი იყო აგრეთვე, ქვეითად მაგალი ქალაქის ინტელიგენციიდან; მტკვრის მეორე მხარეზე მოსჩანდა ერთი მეორეზე გამჭკრივებული მომავალი მატარებლები; ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა ჩვენი ოჯახებიც და სამხედრო სკოლის ქონება.

დილომის ველის ბოლოს შემოგვხვდა მთავარსარდალი; გამოირკვა, რომ წინმაგალში სკოლის დანიშვნას, როგორც ამას ზემოთ ყურადღება მივაქციე, თავისი მიზანი ჰქონია; იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით და ვამარცხებდით მტერს, ტფილისის წინ, მოწინააღმდეგე გვივლიდა ფრთებზე და იმ დილას უკვე ჩასული იყო დილომის ველზე; მტკვრის მეორე ნაპირას კი, რამდენიმე ხნით დაკავებული იყო სადგური ავჯალა, როგორც მოსალოდნელი იყო, თუ უკან დახევა გზა-გადაჭრილი აღმოჩნდებოდა, გზის გასახსნელად წინმაგალში დაინიშნა სამხედრო სკოლა; მაგრამ მტრის თარეშები ჯერ კიდევ ვერ ჰხედავდნენ გზაზე გამოსვლას და ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა. მიუხედავად მტრის პატარ-პატარა ცხენოსანი თარეშების თავდასხმებისა, საერთოდ ჯარებმა მცხეთამდე მშვიდობიანად გაიარეს, მაგრამ უკან დახევის დამახასიათებელი ყოველგვარი მშვენიერებით.

პოლკებმა და განსაკუთრებით გვარდიამ სრულიად დაჰკარგეს ორგანიზაციული სახე; მცხეთის სადგურზე ხდებოდა რალაც წარმოუდგენელი რამ! რამოდენიმე ათასი ჯარისკაცი და გვარდიელი, უფორმო მასად ქცეული, ვეებერთელა იარაღებს<sup>137</sup> წააგავდა. მთავარსარდალის ცდანი, რომ ჯარი დაწყობილიყო პოზიციებზე ტფილისის მიმართულებით, განსახორციელებლად შეუძლებელი შეიქმნენ. ორგანიზაციულად მოწყობილი ნაწილები უკვე აღარ არსებობდნენ. მხოლოდ სკოლა და ცხენოსანი პოლკის

<sup>137</sup> იარაღებს — (გერმ.-რუს.) (ძველად) ბაზარი, ბაზრობა.

ორი ათასეული იყო წესრიგში; სხვა ყველაფერი სამხედრო ბრძოლს წარმოადგენდა.

გვარდიის შტაბმა განაცხადა, რომ მცხეთაში ვერ შესძლებდა ათასეულების შემოკრებას და სთხოვა მთავარსარდალს, დაეხია გორში, სადაც იმედი ჰქონდათ მოეწესრიგებინათ გვარდია. ბრძანების მიხედვით, ნაწილები უნდა დაბანაკებულიყვნენ იმ ლამისათვის მცხეთაში, ირგვლივ მდებარე გორაკებზე, რომლებიც განაწილებული იყო; მაგრამ ამას ანგარიშს აღარავინ უწევდა; უმთავრესი მასა — გვარდია — არ სცნობდა არაფერს, აწვებოდა მიმავალ მატარებლებს. მიძვრებოდა ვაგონებში, ბაქნებზე, მატარებელთა სახურავებზე, საიდანაც რამოდენჯერმე გადმოდენეს იუნკრების საშუალებით; საუბედუროდ, ეს არაფერს შეელოდა და თავაშვებული ისევ განაგრძობდა თავის საქმეს.

რა საჭიროა თავის დატარვა? სად ან ვის უნდა დავემალო?

პირდაპირ უნდა ითქვას ის, რაც იყო სინამდვილეში. — ჩვენ არ ვიყავით ამ ომისათვის მომზადებული, არც სულიერი შეგნებით და არც მატერიალურად.

ეს სინამდვილე მთელი თავისი საშინელებით გაშიშვლდა 1921 წელს. ჯარებში არ იყო პატრიოტიზმი და თუ მამულის სიყვარულის გრძნობა სადმე ღვიოდა, მეტად სუსტად; ხალხში კი სრულეობით არ არსებობდა.

უკვე ტფილისიდან დაწყებული, დარღვეული და დაშლილი გვარდია, საერთო საქმისადმი ლალატს ჰფარავდა ძრო-გამოვარდნილი პატრიოტიზმით; კახელებისაგან შემდგარი გვარდიის უკეთესი ათასეულები ერთიანად წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში; ასევე მოიქცნენ არმიის ცალკე ჯარისკაცები; შედარებით მეტი რიცხვი ჯარისკაცებისა დარჩა მხოლოდ სკოლაში, რაც ყველასაგან ცნობილი ფაქტია.

26 თებერვლის დილის 7 საათზე მოვიდა ბრძანება: უნდა გავსულიყავით მცხეთიდან გორისაკენ. გვარდიას უნდა ევლო მტკვრის მარცხენა ნაპირით, ხოლო არმიას — მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კავთისხევისა და ქალაქის გამოვლით; ჯერ კიდევ გათენებული არ იყო და ყველა გამოაღვიძა ბარბაზნების გრგვინვამ

და ტყვიამფრქვევთა სროლის რახრახმა; გრგვინვა იყო უსაშველო! გავიღვიძე; ვერასგზით ვერ მომესაზრა, თუ რა ხდებოდა! რა ზარბაზნებია, ან ვის უშენდენ! მინებჩამტვრეული სადგური კი კანკალებდა. ბოლოს შევხედე ფანჯრების წინ მომანიოვრე გოგუაძის<sup>138</sup> ჯავშნოსან მატარებელს, რომელიც თავგამოდებით ესროდა ზარბაზნებიდან და ტყვისმფრქვეველებიდან უჩინარ მტერს. ცაში ტუჩ-მიშვერილი ზარბაზნების დანახვაზე მეგონა, რომ მტრის მფრინავები გამოჩნდნენ; მაგრამ გამოირკვა, რომ ისინი ებრძოდნენ სადგურზე დამყურე მწვერვალებს. ამბობდნენ, რომ იქიდან ვიღაცას ესროლა და ხელ-ყუმბარებიც გადმოეყარა; ყოველ შემთხვევაში ჯავშნოსანმა მატარებელმა შეასრულა ცნობილი არაკის სამსახური!

თუ ადამიანს რამოდენიმედ კიდევ რჩებოდა იმედი, რომ დილას დაწყობილი და მოყვანილი იქნებოდნენ წესრიგში გვარდია და არმიის დარჩენილი ნაწილები, ზარბაზნების გრიალთან ერთად,

---

<sup>138</sup> ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954) — ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი კავკასიაში, სოციალ-დემოკრატი, ტერორისტი. 1900 წელს გაიწვიეს რუსეთის არმიაში. მსახურობდა ოდესაში, მანჯურიაში 1901-02 წლებში. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, 1903 წლიდან მუშაობდა ბაქოს რკინიგზაზე. 1904 წელს გაწევრიანდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. რევოლუციური იატაკქვეშა კომიტეტის დავალებით თანამებრძოლებთან ერთად გოგუაძემ მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტი ჩაატარა მეფის რეჟიმის მსახურთა წინააღმდეგ ოხრანკის ჯაშუშების ლიკვიდაციის მიზნით. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ გამოსვლებში ბაქოში, შემდეგ — გურიაში, სადაც გოგუაძე და მისი რაზმელები სდევნიდნენ ყაჩაღთა და ავაზაკთა ბანდებს, რომელთა რაოდენობაც ძლიერ მომრავლდა რევოლუციის პერიოდში. ბაქოში მას „დიდი ვალოდია“ შეარქვეს. მთავრობის მიერ იგი კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და მკვლელებიც ჰყავდა მიჩენილი, მაგრამ გოგუაძე ყოველთვის ახერხებდა დასხლტომოდა მტერს, თუმცა მრავალჯერ დაიჭრა ბრძოლებში და ტერორისტული აქტების ჩატარების დროს. 1917 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობდა თბილისის „წითელი გვარდიის“ (შემდეგში საქართველოს სახალხო გვარდია) შექმნაში. 1918-1921 წლებში საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების მეთაური, მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ გადახდილი თითქმის ყველა დიდ-პატარა ომსა და ბრძოლაში, საიდანაც თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდა. 1918 წლის 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და რევოლუციის პირველი გმირის წოდება მიანიჭეს. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. 1923 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში. გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა ვრცელი „მოგონებები“, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გარდაიცვალა 1954 წელს, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ყველაფერი გათავდა და ყოველგვარი შესაძლებლობა დაიღუპა. იმის მაგიერ, რომ ჯავშნოსანი მატარებელი გასულიყო მცხეთის წინ, ვიწრო გასავალში, სადაც მისი მოქმედებისათვის შესანიშნავი პირობები იყო და გაემაგრებინა იქ მყოფი ცხენოსანი პოლკი, წამოვიდა და დადგა პირდაპირ სადგურთან და დილას თავისი სროლით, ყველა პირწმინდათ გარეკა. მცხეთიდან გაიქცენ გორისაკენ უკანასკნელ კაცამდე, რითაც კი შეიძლებოდა! ცხადია, გვარდიის არც ერთი ნაწილი არ გადასულა მტკვრის მარცხენა ნაპირზე; არამედ შებმულობით თუ ქვეითად გაიქცენ რკინიგზით;

კიდევ იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ სკოლა თავის ადგილზე დარჩა; იუნკრებისაგან ეს არ იყო გასაკვირველი, ხოლო განცვიფრებას იწვევდა ახალგაზრდა ჯარისკაცების ქცევა და ერთგულება! მართალია, ისინი რიცხვით შემცირდნენ, მაგრამ მათში არც ერთხელ არ დარღვეულა წესრიგი. გულდასმით შეაბეს ბატარეა და საბარგულები; დანიშნულ დროს დავსტოვეთ მცხეთა და ბრძანებისამებრ გავემართეთ კავთისხევისაკენ. ერთად ერთი საარმიო ბატარეა, სამწუხაროდ არ ვიცი ვისი იყო, მიდიოდა ჩვენს წინ წესრიგით; ჩვენი წამოსვლის შემდეგ, მცხეთაში არ დარჩენილა სულიერი სამხედრო პირთაგან; ჩვენ უკან მოდიოდა მარტო ცხენოსანი პოლკი; უხილავ მტერთან მძიმე და თავდადებული ბრძოლის შემდეგ, ჯავშნოსანიც აჩქარდა გორს წასულიყო. გზა და გზა გვხვდებოდა გვარდიის ნაწილების გადაბრუნებული და დამტვრეული ჯავშნოსანი და საბარგო ავტომობილები, რომლებიც მცხეთიდან გამოიქცენ; არც ერთი მათგანი არ გასულა; ყველა გზაში ჩარჩა; გზები იყო ძალიან ცუდი და წარმოუდგენელი ტალახით დაფარული; ამასთანავე, კავთისხევთან წააწყდნენ პატარა ხრამს, რომლის გავლა ვერ შეძლეს; იქავე ჩაიფლა ჩვენი, წვივ-მაგარ ჯორებში შებმული ბატარეა.

მცხეთაში ბატარეის უფროსის მოხსენების თანახმად, ნება დავრთე დაეტვირთათ მთამეხები (სამთო ბარბაზნები) მატარებელზე, ხოლო საველე ბარბაზნები, როგორც უფრო საიმედო, ზედმეტ შებმულობით, თან წამოეღოთ; შემდეგ გამოირკვა, რომ ორთქმავალს დაეგდო მცხეთაში მატარებლის



მთელი შემადგენლობა და თვითონ გორს გაქცეულიყო! ამ ხრამთან მაიორ ბახუტაშვილმა გამოაბა ჯორები სრული შებმულობით, გააუქმა საველეები და აგრეთვე, ჯავშნოსნები და წავიდა კავთისხევზე.

ჯერ კიდევ ადრე ვსთხოვე გენ. ანდრონიკაშვილს, გამოეგზავნა კავთისხევიდან რამოდენიმე ულელი კამეჩი, რომელთა საშუალებითაც იმედი მქონდა გავიტანდით ზარბაზნებს ამ სასაფლაოდან. ვუცადე ორი სათის განმავლობაში და როდესაც არაფერ გამოჩნდა, წავედი თვითონ; აღმოჩნდა, რომ გლეხები ხარკამეჩებს არ იძლეოდნენ! არაფითარი შეგნება, არაფითარი წარმოდგენა საერთო მდგომარეობაზე მათში არ არსებობდა! სრულიად უეცრი იყვნენ. არ აღმოაჩნდათ მეგრძოლ თანამემამულეთადმი გაჭირვების დროს დახმარების გრძობა! ვინ არის ამაში დამნაშავე? ეს მომავალმა გამოარკვიოს და დასწეროს! მომავალი თაობა დაფიქრდეს იმაზე, თუ რა მწარე სინამდვილე უნდა განგვეცადა ჩვენ!

მაგრამ ამით არ გათავებულა! მიუხედავად იმისა, რომ კომისარის საშუალებით პური წინდაწინვე დავიბევე, მივიღეთ იგი დიდი მუქარის შემდეგ და ისიც განსაზღვრული რაოდენობის! საჭირო იყო სხვა საშუალებით ჭკუის სწავლება ამ უკუნურებისათვის! მაგრამ ისინი მართლაცდა არ იყვნენ ამაში დამნაშავე!!!

კავთისხევში ორი საათი დავისვენეთ; გამოსვლის წინ ჩამოგვიარა ცხენოსანმა პოლკმა; ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მიდის პოლკი, როდესაც იგი ბურგ-მავალში უნდა იყოს, პოლკ. ერისთავმა მიპასუხა: „— კუდში მოგვსდევენ ბოლშევიკები“-ო. კარგად გავსინჯე ჩემი ყარაბინი და მოვიმართე ვაზნები, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, რომ ისინი ცოცხალს ხელში ვერ ჩამიგდებდნენ; პოლკი წამოვიდა და ჩვენ კიდევ თითქმის ერთი საათი დავრჩით სოფელში; ერისთავის კუდი კარგა მოგრძო აღმოჩნდა! ბოლშევიკები ჯერ-ჯერობით არსად სჩანდნენ!

წამოვედით კავთისხევიდან და 26 თებერვალს ღამე შემოვედით სოფელ ახალქალაქში. მოვსთხოვე ადგილობრივ კომისარს ღამის გასათევი ბინა სკოლისათვის. აქ უნდა შევნიშნო,

რომ თუმცა გენ. ანდრონიკაშვილი სკოლას ახლდა, მაგრამ ტაბახმელაზე წასვლის და სარდლად დანიშნვის დღიდან, სკოლის შინაურ საქმეებში არ ერეოდა. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი იყო დანიშნული ფრონტის უფროსად და მე კი სკოლის უფროსად.

კომისარმა გვიჩვენა სოფლის სკოლის დიდი შენობა, მაგრამ იგი დაკეტილი იყო; დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გვითხრეს, რომ გასაღებს არ იძლევა ვიღაც ქართველი პატრიოტი. ეს უკვე ყოველგვარ მოთმინებას გვიკარგავდა. მოკლედ ვუბრძანე: „კარები გაეტეხათ!“ სკოლა მოთავსდა შენობაში; კიდევ განმეორდა იგივე შემთხვევა პურის შესახებ. ახალქალაქი დიდი სოფელია, მაგრამ მაინც გავვიცხადეს, რომ არც პური და არც მჭადი სასყიდლად არ იშოვებო, — ეს მაშინ, როდესაც გორიდან მთავარსარდალს დიდიდანვე დაეშვებინა სკოლისათვის პური, კომისარის საშუალებით; დიდი მუქარის შემდეგ, მოგვიტანეს მჭადი და გადაგვახდევინეს მისი ღირებულება ერთ სამად.

ესენი და აუარებელი მსგავსი მაგალითი, რომელნიც ბედნიერება გვქონდა ჩვენ გვეგვმნა უკან დახევის დროს, ააშკარავებენ ხალხის განწყობილებას და მის სულიერად სრულ მოუმზადებლობას! ამას სჩადიოდენ ქართველები, ჩვენი ძველების შთამომავალნი, იმ დროს, როდესაც საქართველო იღუპებოდა და თვით ხალხი, მტრის კლანჭებში გამოიმწყდეული, სისხლის ორმოებში უნდა ჩამხრჩვალაიყო!

27-ს დილით, გავემართეთ გორისაკენ; ჩვენთან აღარავინ მოდიოდა. სად წავიდა მცხეთიდან გამოსული მთელი ეს მასა, გაუგებარი იყო! ჩამოვედით რკინიგზაზე და შევხვდით ჩვენს გულად ჯავშნოსან მატარებელს; მისსა და მოწინააღმდეგეს შორის ხიდი აფეთქებული იქმნა; ჩავსხი ყველა ფეხოსანი და ცხენოსნებით გავეშურე გზატკეცილით გორისაკენ. იქ მივალწიეთ შუადღემდე; დავლაგდით სადგურთან; აქ რკინისგზასთან, გორაკებზე, მთავარსარდალს მოეწყო მტრისათვის შემთხრები<sup>139</sup>. გვარდიის შეპირება, რომ გორში მოწესრიგდებოდა, შეპირებად დარჩა;

---

<sup>139</sup> იგულისხმება წინაღობა.

მთელმა გვარდიამ ჩაიარა და წავიდა ხაშურში; ხოლო აქ ვხედავდით ორ გუნდს და ვ. ჯუღელს. გორში დავეყავით ორი დღე - მაშველში — შემთვერხის უკან, რომ საშუალება ჰქონოდათ გაეტანათ მომარაგებული ქონება, — 29-ს, გვარდიის სიმშვიდისათვის წავიწიეთ წინ, რკინიგზის ხიდისაკენ, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებმა, ცხადია, შინაურმა ბოლშევიკებმა, სოფლის მარჯვენა ნაწილიდან, სროლა აგვიტყვეს. სალამოს, უკეთ მტრის შრაპნელების ქვეშ, დავჯექით მთავარსარდლის მატარებელზე და წამოვედით გორიდან. სკოლიდან გადარჩენილი ნაწილები მოთავსდნენ მთავარსარდლის მატარებელში; თუმცა ნაბრძანები არ იყო, მაგრამ ვავეცი განკარგულება მატარებლისათვის ედარაჯნათ. თვითონ მთავარსარდალს კი, სადგურზე მუდამ თან დაჰყვებოდნენ იუნკრები მისდა შეუმჩნეველად.

არ მახსოვს კარგად, რა რიცხვი იყო, ხაშურში მისვლის სამი დღის შემდეგ, მივლინებულ ვიქენი ქუთაისში, სადაც იყო ჩვენი სკოლის ქონება და სამნეო ნაწილი და აგრეთვე, ახლად-მოწვეული ჯარისკაცები, გადაწყვეტილი იყო მოეწყოთ და გაემგზავრებინათ ხაშურში ჩვენი ჯარის დანარჩენი ნაწილები. უკან აღარ დაეხიათ და უკიდურეს შემთხვევაში ებრძოლათ სურამის გადასავალზე უკანასკნელ შესაძლებლობამდე. გვარდია აქ მართლაც მოწესრიგდა, გასწორდა და მთავარსარდლის ხელში აღმოჩნდა ერთგვარი ძალა; სურამის გადასავალზე პოზიციებს ამგზავბდნენ: ჩვენი მდგომარეობა აღმოჩნდა იმდენად სასურველად მტკიცე და მოლონიერებული, რომ გენ. კვინიტაძემ გადასწყვიტა გადასულიყო შეტევაზე.

შექმნილი პირობების მიხედვით, შესაძლებელი იყო მტრის წინამავალის შემოხლართვა და ტომარაში ჩავდება:<sup>140</sup> სულიერად შემავრებულმა საარმიო ნაწილებმა მიიღეს ჯარების შნო და ამბობენ გულდა-გულ წავიდნენ შეტევაზე. კიდევ შემოხალთეს რუსების მარცხენა ფრთა, მაგრამ გადამწყვეტ წუთში, კედაროს შუა-წელში გაწყობილმა გვარდიის ათასეულებმა, ჯერ ბრძოლაც არ

---

<sup>140</sup> აქ ავტორი მოწინააღმდეგის ძალების გარშემორტყმას და მის ალყაში მოქცევას გულისხმობს.

დაეწყოთ, ისე დააგდეს თავისი ადგილები, გაიქცენ სურამის გადმოსავლებზე. ამის შემდეგ აუცილებელი შეიქმნა მთელი ჯარის დახევა.

გვარდია არ შეჩერდა სურამის მთის კარებში გამაგრებულ პოზიციებზედაც, გადასავალს იქით კი გაიფანტა.

ყველაფერი გათავდა! პატარა იმედი, რომ სურამის უღელტეხილზე გამაგრებული ჩვენი ნაწილები მოწინააღმდეგეს შეაჩერებდენ, რაც საბუალებას მოგვცემდა მოგვეკრიფა ქუთაისის მაზრაში ახალი ძალები და გავმაგრებულიყავით, ეს სუსტი იმედიც სამუდამოდ გაჰქრა...

ქუთაისიდან სკოლა გადმოვიდა ბათუმში და დადგა კინოში, მთავარსარდლის მახლობლად; ბათუმის ქუჩებზე დადიოდნენ ქემალისტების ნაწილები და ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ისინი შემოუშვებდენ ბოლშევიკებს ქალაქში, მაგრამ მათ საკუთარი განზრახვა ჰქონდათ. სახელდობრ — ხელში ჩაეგდოთ ბათუმი! აქ ჩვენ მოვედით 14-15 მარტს; 18-ს ჩვენმა მთავრობამ უკვე გადასწყვიტა დაეტოვებინა საქართველოს მიწა-წყალი და წასულიყო კონსტანტინეპოლში; ნაზრძანები იყო წამოსულიყვნენ აგრეთვე, მსურველი ოფიცრები და იუნკრები. 18-ს საღამოს, რამოდენიმე ოფიცერმა: პოლკ. კაკაბაძემ, აბესაძემ, მაჩაბელმა, გერასიმე ქავთარაძემ, შეადგინეს რევიკომი<sup>141</sup> და რომ ბოლშევიკების წინაშე თავი დაემსახურებინათ, არამც თუ ურჩევდნენ ოფიცრებს არ წასულიყვნენ საზღვარგარეთ, არამედ განიზრახეს მთავრობის დატყვევება და ბოლშევიკების ხელთ გადაცემა.

ბათუმში ამ დროს ერთად ერთი სამხედრო ნაწილი, რომელსაც შენახული ჰქონდა სამხედრო წესრიგი იყო — სამხედრო სკოლა. აი, ამ პატრიოტებმა, რომლებსაც სოც.-დემოკრატები დიდი ნდობით უყურებდენ, გამოგზავნეს სკოლაში პოლკ. აბესაძე (სამწუხაროდ, იმ დროს იქ არ ვიყავ!) და ითხოვდენ

---

<sup>141</sup> რევიკომი (რევოლუციური კომიტეტი) — რუსეთის სამოქალაქო ომისა და ბოლშევიკური ინტერვენციის პერიოდში ბოლშევიკთა მიერ შედგენილი საგანგბო უფლებამოსილებით აღჭურვილი დროებითი სახელისუფლებო ორგანოები. რევიკომებში იყო თავმოყრილი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების სრული სპექტრი. არსებობდა რესპუბლიკური, საგუბერნიო და სამაზრო რევიკომები.

ოფიცრებისაგან გამოეყვანათ სკოლა და დაეტყვევებინათ მთავრობა. იმ დროს სწარმოებდა ბათუმში დამფუძნებელი კრების და მთავრობის უკანასკნელი სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიცრების და ჯარისკაცების უმრავლესობა არ მოდიოდა საზღვარგარეთ, სკოლაში არ აღმოჩნდა არც ერთი კაცი, რომელიც მათ წინადადებას თანაგრძნობით შეხვედროდა! ოფიცრებმა გულისწყრომით უკუაგდეს მათი განზრახვა და განუცხადეს პოლკ. აბესაძეს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სკოლის სადგომი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრენ, რომ საჩქაროდ ყველაფერს მე შემატყობინებდენ.

სამწუხაროა, რომ ეს ჩაიდინეს ქართველმა ოფიცრებმა, მაგრამ მეორე მხრივ, აქ გამოირკვა მათი სახე. ესენი იყვნენ იმ ჯგუფის ოფიცრებიდან, რომელნიც მთავრობისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრივ, განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდენ.

უკვე პირველი დღიდან დადიოდა ხმები, რომ ქალაქის კომინდანტი ვაკაბაძე და გერასიმე ქავთარაძე, სარგებლობენ რა პირველის თანამდებობით, მიდიოდენ ციხეში სერიოჟა ქავთარაძესთან<sup>142</sup> და აწარმოებდენ მოლაპარაკებას, — ეს იმ დროს, როდესაც მთავრობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოდან გასვლა.

1919 წელს, გენ. კვინიტაძის სკოლის უფროსად დანიშვნის დროს, სამხედრო კომისიის გადაწყვეტილებით, მე არ მტოვებდენ სკოლაში, ალბათ როგორც არასაიმედოს და ჩემს მაგიერ

---

<sup>142</sup> სერგო ივანეს ძე ქავთარაძე (1885-1971წ.წ) — ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. 1915 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი. პარტიის დავალებით გაემგზავრა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. წლების განმავლობაში ეწეოდა პარტიულ და ჟურნალისტურ მუშაობას პეტერბურგში, თბილისში, ბათუმში, იმყოფებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოსკოვში, ორენბურგში. 1920 წლის 7 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იყო რ.ს.ფ.ს.რ წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1921 წლის 25 თებერვლიდან, მცირე ხნის განმავლობაში იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს (ე.წ. „სახკომსაბჭოს“) თავმჯდომარე. მოგვიანებით ტროცკისტობის ბრალდებით იქნა დაპატიმრებული, თუმცა შემდეგ სასჯელი მოეხსნა და რეაბილიტირებულ იქნა სტალინთან მისი პირადი მეგობრობის წყალობით. 1939 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა, 1954 წლიდან პერსონალური პენსიონერი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ინიშნებოდა გენ. არჯევანიძე <sup>143</sup>, კლასების ინსპექტორად კი, უნდოდათ დაენიშნათ ზემო დასახელებული პოლკ. აბესაძე; მხოლოდ გენ. კვინიტაძის მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ სკოლის შემადგენლობა თვითონ უნდა აერჩია, შეუშალა ხელი. — მე დავრჩი სკოლაში და აბესაძე არ იყო მიღებული სკოლაში ინსპექტორად გენერალ კვინიტაძის მიერ.

ზემოთ თავის ადგილას დამავიწყდა აღმენიშნა შემდეგი ფაქტი: - ტაბახმელაზე შტაბში ვხედავდი მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს და სხვა და სხვა ჯურის მიტინგურ მოკამათეებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ სრული საბრძოლო მოკაზმულობით და თავი მოხალისეს თვითკმაყოფილებით ეჭირათ; მაგრამ არც ერთი მათგანი შტაბსა და გზატკეცილს არ გასცილებია; ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდა რ. გაბაშვილი <sup>144</sup>, რომელიც ჩოხაში,

---

<sup>143</sup> გიორგი პავლეს ძე არჯევანიძე (1863-1940წ.წ.) — ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. დაამთავრა პეტროვსკ-პოლტავის სამხედრო გიმნაზია. 1881 წლიდან იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. პოლკოვნიკი 1910 წლიდან. I მსოფლიო ომის დროს თავი გამოიჩინა კავკასიის ფრონტზე. მონაწილეობდა აღმოსავლეთ ანატოლიის მთავარი ქალაქის, არზრუმის ციხესიმაგრის აღებაში, ხელმძღვანელობდა კუპდაღის გადასასვლელისათვის ბრძოლას. 1918–1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შევიდა წითელ არმიაში. 1921 წელს იყო ქართული წითელი არმიის სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი, 1922 წლის მაისიდან — ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, ხოლო 1927 წლის სექტემბრიდან ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლის პედაგოგი. 1928 წლის იანვრიდან — პერსონალური პენსიონერი.

<sup>144</sup> რევაზ გაბაშვილი (1882-1969წ.წ.) — ქართველი პოლიტიკური და კოოპერაციული მოძრაობის მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი. 1902 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. სწავლობდა ბელგიის ქალაქ ლიეჟის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში. სამშობლოში სწავლის დასრულებამდე დაბრუნდა. მონაწილეობდა 1905–1907 წლების რევოლუციაში, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამავე წლებში თანამშრომლობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1906 წელს წავიდა ემიგრაციაში. 1907 წელს დაბრუნდა და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1911 წელს ჩამოვიდა საქართველოში. 1912 წელს დააარსა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „კლდე“. იყო მისი რედაქტორ-გამომცემელი. 1915 წელს, „კლდის“ დახურვის შემდეგ, თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოში“. 1914–1918 წლებში, I მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა გორის მაზრაში ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ. ქართველ გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა მიწა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული

თოფით ხელში ახლდა სკოლას ბრძოლაში და მასთან ერთად გადაიტანა მძიმე პირობები. გორში ის წავიდა წინა პოზიციებზე და ამხნევებდა ჯარისკაცებს.

18 მარტს, საღამოს დაიწყო შესხდომა გემ „მარია“-ზე და „ვესტა“-ზე. მთავრობა შეჯდა იტალიურ გემზე; ნაბრძანები იყო დაერიგებინათ ფული ოფიცრებისათვის და ჯარისკაცებისათვის, რომელნიც რჩებოდნენ. სანამ სკოლაში ვიყავი, ყველაფერი წესრიგზე მიმდინარეობდა; პირადათ სათითაოდ შევეკითხე ოფიცრებს წამოსვლის შესახებ; წამოსვლაზე სურვილი განაცხადეს — ვაპ. ალავიძემ, მაჭავარიანმა, არონიძემ, ჯაფარიძემ, სულხანიშვილმა და მაიორმა მესხელმა; ოფიცრების სულიერი განწყობილება იყო მძიმე და მეტად უიმედო; არავინ იცოდა, ვის რა მოელოდა!

პირადათ მე, საზღვარდარეთ წამოსვლა გადავწყვიტე უყოყმანოდ და ადვილად; ბათუმში ყველაფერი გათავებული იყო; როდესაც ტფილისიდან ბრძოლის ველზე მივდიოდით, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ შემთხვევაში თუ დავმარცხდებოდით, მთელს საქართველოში შესდგებოდა სამოქმედო პარტიზანული რაზმები, რის შესახებაც მოველაპარაკე ნესტორ გარდაფხაძეს, მაგრამ მცხოვრებთა განწყობილებამ და ჩვენდამი დამოკიდებულებამ მოსპო პარტიზანული მოქმედების ყოველგვარი იმედი და შესაძლებლობა.

პარტიზანობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არსებობს თანაგრძნობა მცხოვრებთა; <sup>145</sup> ამისათვის ბათუმში ასარჩევი

---

ყრილობის მუშაობაში. იყო ქართული ეროვნული საბჭოს – საქართველოს პარლამენტის წევრი. 1921 წლიდან ემიგრაციაშია.

<sup>145</sup> პოლკოვნიკ ჩხეიძის ეს ფრაზა ზუსტად გამოხატავს პარტიზანული ომის თეორიის მთავარ თეზას, რაც მხოლოდ წლების შემდეგ იქნა ჩამოყალიბებული მარქსიზმის დიდი კლასიკოსის, ჩინეთის პარტიული, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, მათეძუნის მიერ, თავის ნაშრომში „პარტიზანული ბრძოლა“. მათეძუნი წერდა: „ხშირად ამბობენ, რომ პარტიზანული ბრძოლა პრიმიტიულია. ეს სახიფათო განზოგადებაა, რომელიც მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა სამართლიანი. თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, პარადოქსი მაშინვე ცხადი გახდება. ხოლო გარე პრიმიტიულობა გაცილებით უფრო რთულად მოგვეჩვენება, ვიდრე ატომური ან ისეთი ომი, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად, საზღვაო და საჰაერო ძალებიც მონაწილეობენ. ამ ბრძოლის ძირითადი ელემენტი ადამიანია. ის გაცილებით უფრო რთული ქმნილებაა, ვიდრე მის მიერ შექმნილი რომელიმე მანქანა... ბევრს არ სჯერა,

აღარათფერი იყო! თუ დავრჩებოდით, 1920 წელს სკოლაში მომხდარი ამბებისათვის დახვრეტა არ ამცდებოდა; ამის შესახებ ჩემს ოფიცრებს ველაპარაკე და მათაც ერთხმად იგივე დაადასტურეს.

სამშობლოს მოშორების წუთებს, ვიტყვი გულახდილად, ღრმა კვალი აღარ დაუმჩნევია ჩემზე. დიდი ხანია სამშობლო დაკარგული იყო!

დედაქალაქიდან ჯერ კიდევ შორს არ ვიყავით მოცილებული, რომ გრძნობა მიყუჩდა, ცნობა გაურკვეველობამ შეიპყრო... დაახლოვებით 15 საათზე წამოვცურდით კონსტანტინეპოლისაკენ...

18-ს შევსხედით „მარია“-ზე და საღამოს გავედით რეიდზე 19-ს. ამით ვათავებ ქართული სამხედრო სკოლის საომარი ცხოვრების აღწერას.

ისტორიამ და მომავალმა შთამომავლობამ გაგვასამართლოს ჩვენ!

სტამბოლი, 1921 წელი.  
ვარშავა, 1923 წელი.

---


რომ პარტიზანებმა შეიძლება დიდხანს გაძლონ მტრის ზურგში. მიზეზი ის არის, რომ ისინი ვერ აფასებენ იმ დამოკიდებულებას, რაც ხალხსა და ჯარისკაცებს შორის არსებობს. ხალხი შეიძლება წყალს შეადარო, ჯარისკაცი კი, თევზს. განა შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი ერთად ვერ იარსებებენ? უდისციპლინო დანაყოფები ხალხს მტრად იკიდებენ, მაგრამ ისინი, ისევე როგორც თევზები უწყლოდ, ხალხისაგან განცალკევებით ვერ იარსებებენ“.




გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მიერ შედგენილი თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ბრძოლების ამსახველი სამხედრო სქემები, რომელიც თან ერთვის მის ნაშრომს — „სამხედრო სკოლა“.

(ყურნ. „მხედარი“, №13, პარიზი, 1933წ.)


სქემა №1



## სქემა №2



სქემა №3



## ბიბლიოგრაფია

1. ავალიშვილი ზ., „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, პარიზი, 1924; თბ., 1929.
2. არჩილ ჩაჩხიანი, „დამნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“. გამომცემლობა „არადანი“, თბილისი, 2007.
3. არჩილ ჩაჩხიანი, „ქართველი იუნკრები - ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენტებში“. კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკუთხები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2(13) 2013.
4. არჩილ ჩაჩხიანი, ნიკოლოზ ჯანჯღავა. „პირველი ქართული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის სამართლებრივი ასპექტები“, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 1(20). 2017.
5. არჩილ ჩაჩხიანი, „რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში 1918-1920 წლებში“. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი, 2014.
6. Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы (1917 - 1921), Тбилиси, Гос. Изд-во „Сაჩოთა საქართველო“, стр. 563-568, 1958.
7. Boris Mirkine-Guetzévitch, `La doctrine soviétique du droit international“, p. 18, Publisher Pedom, Paris, 1927.
8. ბენდიანიშვილი ალ. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წ.წ)“. გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2001.
9. გრიგოლ ურატაძე, „ნამდვილი და ყალბი ისტორია“, გვ.78, პარიზი, 1958.
10. გაბაშვილი რ., „რაც მახსოვს“, ქართულ ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, ტ. III, თბილისი, 1992.
11. გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, „ჩემი მოგონებების დასასრული“ (გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მოგონებები დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სკოლის შემადგენლობაზე (სია) და საქართველოს ანექსია 1921 წელს), პუბლიკაცია მოამზადა გ. შარაძემ, „მხედარი“. N1. - გვ.41-56; N2. გვ. 39-50; N3 გვ.66-71, თბილისი, 1991.

12. გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1990.
13. გურამ შარაძე, ალექსანდრე ჩხეიძე - „სამხედრო სკოლა“, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტომი 4, გვ.372-439, თბილისი, 2003.
14. გურული ვ., ვაჩნაძე მ., „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1998.
15. გაზეთი „სახალხო საქმე“, 3 თებერვალი, 1921.
16. დაუშვილი რ., „ამბავი კიდევ ერთი იუნკერისა“ (ეძღვნება ვანო ბაქრაძეს), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 თებერვალი, თბილისი, 1991.
17. დაუშვილი რ., „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, გამომცემლობა „რაეო“, თბილისი, 2007.
18. დიმიტრი სილაქაძე „საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება“, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2017.
19. დოდო ჭუმბურიძე, „გრიგოლ ლორთქიფანიძე“, გამომცემლობა „არტლანის აკადემიური წიგნები“, თბილისი, 2012.
20. დოდო ჭუმბურიძე, „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1818-1924 წლებში და ჟურნალი „მხედარი“, გვ.402-413, მისივე წიგნში: „ისტორიული პორტრეტები. წერილები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
21. დოდო ჭუმბურიძე, „აკაკი ჩხენკელი - სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.
22. ვიქტორ ნოზაძე, „სანავთო პოლიტიკა და კავკასია“, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №34, გვ.5, პარიზი, 1928.
23. ზურაბიშვილი ივ. „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“, პარიზი, 1935.
24. ინასარიძე კ., „პატარა ოქროს ხანა“, მიუნხენი, 1984.
25. კვინიტაძე გ., „რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის ბრძანება“, გაზ. „ერთობა“, №209, 14 სექტემბერი, 1920.
26. კვინიტაძის გ., „მიმართვა: ჩემს იუნკრებს“, ჟურნ. „მხედარი“, რვეული მე-10, პარიზი, 1934.
27. Квиницадзе Г. И., „Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921“, „Умса-пресс“, Париж, 1985.
28. ლევან დოლიძე, „გენერლები საქართველოდან“, საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატთანე, თბილისი, 2003.

29. ლევან თოიძე, „ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია“, თბილისი, 1991.
30. ლევან თოიძე, „მხოლოდ სიმართლე კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ...“, წერილი მესამე, გაზეთი „კომუნისტი“, 11 ნოემბერი, 1989.
31. ლელა სარალიძე, „სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს“, სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, მეომრის ბიბლიოთეკა №6, თბილისი, 2008.
32. ლელა სარალიძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მიხედვით) (მონოგრაფია), გვ.304-349, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
33. ლელა სარალიძე, „1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის გეოსტრატეგიული ამოცანა“, წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მიხედვით) (მონოგრაფია), გვ.232-251, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016.
34. ლელა სარალიძე, „საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1921-1924 წწ.)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (17), გვ:165-197, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015.
35. ლელა სარალიძე, „რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია (1921 წ.) და ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება“, საიტზე: <http://expertclub.ge>
36. ლელა სარალიძე, „იოსებ პილსუდსკი და პოლონელი ხალხის ბრძოლა რუსული აგრესიის წინააღმდეგ, სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, მეომრის ბიბლიოთეკა №19, თბილისი, 2008.

37. მანველიშვილი ალ., „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან ფრანცისკო, 1884.
38. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“, გვ.53, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007.
39. მიხეილ ბახტაძე, „გენერალი ოდიშელიძე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2017.
40. მიხეილ ბახტაძე, „1921 წლის რუსეთ-საქართველოს საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2013.
41. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე №107, ფურც. 8.
42. შარაძე გ., თბილისის ივ ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში დაცული პირადი ფონდი და ფოტოები.
43. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 17, აღწერა 2, საქმე 232, ფურცელი 1.
44. „მხედარი“, №16, პარიზი, 1933.
45. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, част III: От снятия блокады с Советской России до десятилетия Октябрьской Революции. Выпуск I: Акты советской дипломатии / Проф. Ю.В. Ключников и проф. А.В. Сабанин., , стр. 87, Москва, Издание Литиздата НКВД, 1928.
46. Manvelichvili A., „Histoire de Georgie“, Nouvelle editions de la Toison d'or, Paris, 1951.
47. ნანუაშვილი ვ., „სამხედრო სკოლა“, ჟურნალი „მხედარი“, (ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო), №1, ივნისი, პარიზი, 1929.
48. ნიკოლოზ მათიკაშვილი, „იუნკრები და სხვები (პუბლიცისტიკა, თარგმანი, გამოსვლები, ნოველები, მემუარები, მიმოწერა)“, შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია, რედაქტორი ლაშა ბაქრაძე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2016.
49. ჟორდანია ნ., „ჩემი წარსული“ (მოგონებები), პარიზი, 1953 წ., თბ., 1990.
50. Российская социалистическая федеративная советская республика и Грузинская демократическая республика стр. 16, Москва, 1922.
51. რამიშვილი ნ., „საქართველო და რუსეთი“, პარიზი, 1924.
52. საქართველოს სამხედრო ისტორია, ტომი 2, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, დ.პ.7-50.17, სამეთაურო-სამტაბო სკოლა, თბილისი, 2013.

53. საითიძე გ., „პირზე დიმილი შერჩათ იმ გმირებს...“ ჟურნალი „რაინდი“ (ქაქუცა ჩოლოყაშვილის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი), №1, 2008.
54. საითიძე გ., „სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია...“, გაზეთი „კომუნისტი“, 1 აგვისტო, 1989.
55. სამხედრო ისტორიული ატლასი 1783-2008, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და ინტერვენცია საქართველოში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, სამხედრო კარტოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2010.
56. Serge Afanasyan L'Armenie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviétique 1917-1923“, p:88, édition l'Harmattan, Paris, 1981.
57. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 თებერვალი, 1991.
58. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 59, ფურცელი 76-79.
59. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27, ფურცელი 140.
60. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 3.
61. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 8-11.ა
62. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 12-17.
63. სილაქაძე დიმიტრი, „ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 239-255, თბილისი, 2011.
64. ქართველები უცხოეთში, წ. 1, რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი, გვ.202-203, თბილისი, 2012.
65. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 4, გვ. 83, თბილისი, 1979.
66. შალვა მალაქელიძე, „მოგონებები“, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, გვ. 121, გამომცემლობა „პეგასი“, თბილისი, 2012.
67. ჩხეიძე ალ., „ჩემი მოგონებების განმარტებანი გამოწვეული კრიტიკით“, ჟურნ.



68. ღვენევაძე ნ., „პირველი მსხვერპლი ქალი“ (ემღვნება მარო მაყაშვილს), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 თებერვალი, 1991.
69. ცხაკაია ვ., „ცოტა რამ გენ. ალ. ჩხეიძის მოგონებაზე“, ჟურნ. „მხედარი“ №14-15, აპრილ-ივლისი, პარიზი, 1933.
70. ხუბულური ლ., „სადაურსა სად წაიყვან ბედო“ (ემღვნება მიხეილ კვალიაშვილს), გაზ. „კომუნისტი“, 23 ივნისი, გვ: 3, 1990.
71. ჯავახიშვილი ნიკო, „ტოპონიმ „თბილისის“ ისტორიისათვის“, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(7) გვ.445-447, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010.
72. ჯანელიძე ო., „სპირიდონ კედია (პოლიტიკური პორტრეტი)“, თბილისი, 2002.
73. ჯანელიძე ო., „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში“, თბილისი, 1999.
74. ჯანელიძე ო., „ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გვ.230, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2014.

UDC (უაკ) 37.035+355.231/232+355(479.22)(09)

ჩ-971

წიგნი გამოცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს  
სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის  
დეპარტამენტი

რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
**არჩილ ჩაჩხანი**

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო  
ისტორიის დოქტორმა **ლელა სარალიძემ**

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხონბლაძე**  
ტექნიკური ჯგუფის უფროსი: ვიცე-პოლკოვნიკი **დავით ჩოგოვაძე**  
დიზაინერი: **ვახტანგ ონიანი**  
დამკვამლავლებელი: **მარიამ ჭონიჭილი**

წიგნი მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში დაცულ მასალებზე დაყრდნობით

© საავტორო უფლებები დაცულია. Copyrights reserved.  
ISBN 9 78-9 9 41-8-0065-8

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის  
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის  
ტოპოგრაფიული სამსახური

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20  
ტელ.: +995 32 91-19-83  
ფაქსი: +995 32 91-19-83  
ტირაჟი 500

თბილისი  
2018

